# საერთო გაზეთი

№38 (401) • 12 ოქტომბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## არა „ნაცმოძრაობას“!

ნაციონალებმა გადაწყვეტილება მიიღეს, რომ შევიდნენ პარლამენტში და მონაწილეობა მიიღონ არჩევნების მეორე ტურში. ისინი ჩვეული აგრესიით და უტიფრობით კვლავ უპირისპირდებიან ქართველი ხალხის არჩევანს.
ახლა მთავარი სიტყვა ქართველ ხალხსა და უპირველეს ყოვლისა, ამომრჩეველთა იმ 49% ეკუთვნის, რომელიც პირველ ტურში არჩევნებზე არ მოვიდა, რამაც გამოიწვია ჩასაძირად გამზადებული „ნაციონალების“ კვლავ ზედაპირზე ამოტივტივება.

**ქუდზე კაცი საქართველოს შეურაცხმყოფელი მანიაკებისა და სადისტების დასამარცხებლად!**

მეორე ტურში ნაციონალების ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ უნდა გაიმარჯვოს!

## არა „ნაცმოძრაობას“!

# ბიძინა ივანიშვილმა სიტყვა შეასრულა – „ნაცმოძრაობა“ ნელ-ნელა ქრება რადარებიდან, ხოლო ქართული დემოკრატიით ევროპელებიც გაოცებულნი არიან და ამერიკელებიც...



თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ოლქში დანიშნულ განმეორებით ტურებს, 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები დასრულდა.

არის გულისწყრომა, გულგატეხილობა, მიღწეულით უკმაყოფილება, მაგრამ, უნდა ითქვას, კიდევ ერთი გამოცდა ჩავაბარეთ და, სხვათა შორის, არცთუ ისე ცუდად. ჩვენი სიტყვების ჭეშმარიტებაში რომ დაგარწმუნოთ, ცოტა შორიდან დავიწყებთ:

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაცემების მიხედვით, „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა 54,97%, „ნაცმოძრაობას“ — 40,34%.

„ქართული ოცნება“ 2012 წლისთვის პოლიტიკური კოალიცია გახლდათ, რომელშიც შედიოდა საკუთრივ „ქართული ოცნება“, ალასანია—„თავისუფალი დემოკრატები“, რესპუბლიკელები, კონსერვატორები, „ეროვნული ფორუმი“, „მრეწველები“ და სხვები.

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში არა კოალიციამ, არამედ პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 49% დააგროვა. რაც იმას ნიშნავს, რომ დღეის მდგომარეობით, „ქართული ოცნების“ რეიტინგული შკალა, რეალურად, ზევით მიიწევს.

რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“. მისთვის ეს არჩევნები სრული კატასტროფა იყო. მშვენივრად აღიქვეს ეს ოდესაშიც და საქართველოს სტაჟიანმა „ნაციონალებმაც“, რომლებიც დღეს ხან ორჭოფული განცხადებებით შემოიფარგლებიან და ხან ღია კომენტარებს აკეთებენ, პოლიტიკიდან საერთოდ გასვლის გადაწყვეტილება მიიღეს და განაცხადეს კიდევაც ეს საჯარო სივრცეში. მაგალითად, აკაკი მინაშვილი უკვე ხმამაღლა აღიარებს, რომ განმეორებით ტურში მონაწილეობის მიღება წყლის ნაყვაა და „ნაცმოძრაობა“ უეჭველად დამარცხდება. კონფლიქტები და ორჭოფობა შეინიშნება, ბოკერიას გარემოცვაშიც...

„ქართული ოცნება“ კოალიციაც რომ იყოს და არა ცალკე პარტია და კოალიციასაც რომ ჰქონდეს ხმების 49%, 5%-იანი რეიტინგის კარგვა ოთხი წლის განმავლობაში, საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ნორმალური პროცესია.

გავიხსენოთ, როცა სააკაშვილმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა, რევოლუციით მოსულ პოლიტიკოსს „გრეჩიხა“ გაჩეჩილაძემ მოუგო არჩევნები. რაც ბუნებრივად ნიშნავს იმას, რომ არც „დიდებული ნაციონალური ზეობისას“ ჰქონიათ პროგრესული რეიტინგი. ბოლო ხანებში ოპოზიციაში მყოფმა „ნაცმოძრაობამ“, რომელიც, ფაქტობრივად, ყველა ასპექტში პოლიტიკურად სასათბურე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რეიტინგის შენარჩუნებაც ვერ შეძლო. იმის მიუხედავად, რაც 9 წლის განმავლობაში იბოგინეს, იფურთხეს, კლეს, იტაცეს, აწამეს, ცოცხები უტენეს ხალხს უკანალში, პროდასავლურ პარტიად სხვა ვერავინ აღიქმება საქართველოში, ესენი ახლა ხელისუფლების რეალურ პრეტენდენტად მიიჩნევენ თავს და სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ყველაზე კონსტრუქციულ ოპოზიციად წარმოაჩენენ თავიანთ მარგინალურ პერსონას, თან 15%-იანი კლება აქვს რეიტინგში. ეს კი სრულ კრახს ნიშნავს, საბოლოო ჯამში. ანუ, როგორც ალასანიას უყვარდა თავის დროზე თქმა: „ნაცმოძრაობა“ უკვე გაქრა რადარებიდან...

მაჟორიტარებს რაც შეეხება, დაახლოებით, 50-მდე მაჟორიტარულ ოლქში განმეორებითი არჩევნებია დანიშნული, სხვაგან ყველგან „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო, ანუ 50-მდე მაჟორიტარულ ოლქში, ყველგან პირველ პოზიციაზე „ქართული ოცნებაა“, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „პატრიოტთა ალიანსი“, ბურჯანაძე და სხვები „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები არ არიან. „ნაცმოძრაობასთან“ აშკარად გაერთიანებას არასდროს, არც ერთი პარტია არ გარისკავს, თუ არ ჩავთვლით ბურჭულაძის გაურკვეველ პოლიტიკურ კონგლომერატს, რომელიც „შინაგანად“ (და გარეგნულადაც) „ნაცმოძრაობის“ კუდი და გაგრძელებაა.

„ნაცმოძრაობა“ გაქრება პოლიტიკური სივრციდან, ჩვენ გავაოცებთ მსოფლიოს ჩვენი დემოკრატიით! — ამბობდა 2012 წელს ბიძინა ივანიშვილი.

ზემოთმოყვანილი ლოგიკური და დოკუმენტურად დამტკიცებული მონაცემებით, „ნაცმოძრაობა“, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. მისი ნაწილები მოჩანს, როგორც ლევიათანის აყროლებული ტანის ნაგლეჯები, ხოლო ევროპა და მსოფლიო ნამდვილად გაოცებულია დემოკრატიის ხარისხით. მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი ორგანიზაციის საერთაშორისო დონის დამკვირვებლებმა 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები დემოკრატიის უმაღლესი ხარისხის გამოვლინებად გამოაცხადეს.

ჯერ კიდევ არჩევნებამდე, ევროპაამერიკის ლიდერები ხმამაღლა ამბობდნენ, საქართველო დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესების გზას ადგას და წარმატებული ნაბიჯებით მიიწევს წინ. ამ არჩევნებით, მართლაც მსოფლიო გაოცდა. არავის უთქვამს, რომ საარჩევნო მარათონში ადმინისტრაციული რესურსი იქნა გამოყენებული, ან ზეწოლებს ჰქონდა ადგილი, ან კარუსელები გამოიყენეს, ან საჯარო უწყებას დაავალეს ხელისუფლების სასარგებლოდ ემოქმედა. ერთი კარუსელის შემთხვევაც არ დაფიქსირებულა არსად. ყუთის მოპარვა განუზრახავთ თურმე დასავლეთ საქართველოს ერთ სოფელში და ისიც „ნაციონალების“ წარმომადგენელს. ჰოდა, ესაა, ჩემო კარგებო, გასაოცარი დემოკრატია. ქუჩაში პოლიციელის ტყვიის რომ არ გვეშინია, ციხე სანატორიუმად რომაა ქცეული, ტელეფონზე თავისუფლად რომ ვლაპარაკობთ, მთავრობა კრიტიკას და ხშირად, ყიამყრალი ინტრიგანებისგან ლანძღვა-გინებას, თმენის ვალდებულებით რომ ისმენს, ესაა სწორედ გასაოცარი დემოკრატია...

და კიდევ ერთი გასაოცარი ამბავი: არჩევნების შემდეგ ეს აქამდე თავმომწონე და ყოყლოჩინა პარტიები უცებ ჭაჭანაჭამი ინდაურებივით რომ დარეტიანდნენ, რისი ბრალი უნდა იყოს, ნეტავ?

ერთ ადრინდელ წერილში ვწერდით, ბიძინა ივანიშვილი იმ გროსმაისტერს ჰგავს, რომელიც ერთდროული თამაშის სეანსს ეთამაშება ასობით მოჭადრაკეს და ყველა პარტიას იგებსო.

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებიც ერთდროული თამაშიც სეანსს ჰგავდა, რომელიც კვლავ ერთმა პოლიტიკურმა მოწადრაკემ, ბიძინა ივანიშვილმა, პირწმინდად მოუგო ყველას.

**„საერთო გაზეთი“**



**„საერთო გაზეთი“**
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# მეგრელებო, საბოლოოდ ამოვუკვეთოთ ფეხი სამეგრელოდან გადამთიელ სანდრას და მოძალადე ნაციონალებს!

## გვესაუბრება „ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელი ზუგდიდში, ბატონი ლაშა გვასალია



**— უნდა მოგილოცოთ, ბატონო ლაშა.**

— გმადლობთ.

არ ვარ მთლად კმაყოფილი, მაგრამ მაინც დამაკმაყოფილებელი შედეგი იყო იმ ვითარებაში, რაც იყო შექმნილი სამეგრელოში და კერძოდ ზუგდიდში.

მას შემდეგ, რაც 8 ოქტომბერმა ჩაიარა, თითქოს ამდენი დაძაბულობა ერთბაშად მომეხსნა, მაგრამ, ამავე დროს უკმაყოფილების გრძნობაც დამრჩა. მეგობრები, ნათესავები, ახლობლები მეკითხებიან, რატომ ვარ უხასიათოდ და უკმაყოფილოდ მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ ყველა კანდიდატი ჯობნის მოწინააღმდეგე ძალას.

ჩემთვის საწუხილო და გულდასაწყვეტი არის ის, რომ ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი მზად ყოფილა, ხმა მიეცა გამაუპატიურებლებისთვის, მძარცველებისთვის, მკვლელებისთვის. წარმოიდგინეთ, საქართველოში ასეთი 26% აღმოჩნდა. ეს არის დიდი სატკივილო ჩემთვის, თორემ „ნაცმოძრაობა“ რომ დამარცხდებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

პირსისხლიანი დამნაშავეებისთვის, საერთაშორისოდ ძებნილი კაცის მხარდაჭერილი პარტიისთვის ხმის მიცემა წარმოუდგენლად მიმაჩნია, მაგრამ იმ ელექტორატის მისამართით უნდა ვთქვა – უნდა ასეთ ხალხს სახელმწიფო? რადგან ასეთი ხალხი ჩვენს საზოგადოებაში გარკვეული რაოდენობით არსებობს, სწორედ ესაა, რომ ხელს უშლის ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

არჩევნების დღეს განსაკუთრებით დაძაბული იყო სიტუაცია. პროვოკაციებზე მოდიოდნენ ნაციონალები, სიტყვიერი შეურაცხყოფისგან თავს არ იკავებდნენ. ლაშა დამენიამ, „ნაცმოძრაობს“ შტაბის უფროსმა, 8 ოქტომბერს, შუადღეს, მოიწვია ბრიფინგი და განაცხადა: ლაშა გვასალია სომხურ კარუსელს აკეთებსო. რაც აბსოლუტური ტყუილი იყო.

ყველანაირ ბინძურ პროვოკაციაზე მოდიოდნენ. მაგრამ ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, გაფრთხილებული გვყავდა ჩვენი წარმომადგენლები, რომ მოეთმინათ შეურაცხყოფა, რომ არჩევნებს მშვიდად ჩაევლო.

**— ბატონო ლაშა, სამეგრელოში „ნაცმოძრაობას ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავდა. რა არის ამის მიზეზი?**

— ბევრი სვამს ამ შეკითხვას. მე ვპასუხობ, თუმცა ბოლომდე მაინც გაურკვეველია ჩემთვის, რატომ ხდებოდა ასე. იმ საშინელ წლებში ყველა ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი იყო სამეგრელოდან. მინისტრები, თავდაცვის მინისტრი, პენიტენციარული სისტემის ხელმძღვანელები, ჭაკუები, ახალაიები, ქარდავები. ამ ადამიანებმა სამეგრელოდან წაასხეს ჩვენი ახალგაზრდები, გაივსო პენიტენციარული სამსახურები სამეგრელოდან წაყვანილი ბიჭებით, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამდნენ ცხოვრებაში და იმ არაკაცებისგან ითვისებდნენ ყოველგვარ სიბინძურეს. ეს ახალგაზრდები დღეს უმუშევრები არიან და შურისძიება კლავთ, უნდათ, უნდათ, კვლავ დაბრუნდნენ სამსახურებში, რათა პასუხი აგებინონ სამსახურებიდან მათ გამათავისუფლებლებს და ძალაუფლების წამრთმევებს, გართობის ამკრძალავებს. არჩევნებისთვისაც მოტივირებულნი იყვნენ, რომ უნდა გაემარჯვა „ნაცმოძრაობას“, რათა ესენი კვლავ თანამდებობებზე დაბრუნებულიყვნენ.

ყოველთვის მაინტერესებდა, რის გამო შეიძლებოდა „ნაცმოძრაობისთვის“ ადამიანს მხარი დაეჭირა. შევხვდი ერთ-ერთი სკოლის დირექტორს, არაჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც „ნაცმოძრაობის“ დიდი გულშემატკივარი იყო. ვისაუბრეთ ძალიან დიდხანს. მან მითხრა, რომ მისი შვილიშვილი ერთ ციხეში იყო დიდ თანამდებობაზე, ახლა უმუშევარია და სკოლის დირექტორიც იძულებულია, შვილიშვილებს მხარი დაუჭიროს. ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში სამეგრელოში.

არის კიდევ სხვა კატეგორია, ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა დროს იჯდნენ სააკაშვილის დილეგებში, მათზე აქვთ კომპრომატები და ესადამიანები იძულებულნი არიან, ხმა მისცენ „ნაცმოძრაობას„.

სამეგრელოში, როგორც ადრეც თქვეს, 500-მდე გაუპატიურებული ბიჭი და მამაკაცი იყო. ეს ადამიანები იმის გამო, რომ მათი სახელები და გვარები არ გამჟღავნდეს, იძულებულნი არიან, ყველაფერზე დასთანხმდნენ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს.

„ნაცმოძრაობა“ კვლავ ადამიანების დაშანტაჟებით და ჩუმი ძალადობით აგროვებდა ხმებს, თორემ როგორ შეიძლება ნორმალურ ადამიანს მოსწონდეს ყაჩაღი, მკვლელი, ყოველგვარი ბოროტებისკენ მიდრეკილი ადამიანი, ან პოლიტიკური ძალა, რომელიც იმუქრება შანტაჟით, ომით, სამოქალაქო დაპირისპირებით, გადატრიალებით. ამ გაერთიანების უგუნურმა და შლეგმა ლიდერმა კი ოდესიდან ბრძანა, რომ თუ ხმების დიდ რაოდენობას ვერ მოიპოვებდა, უბედურებას დაატრიალებდა აქ. როგორ შეიძლება ამას გონიერმა, ნორმალურმა ადამიანმა მხარი დაუჭიროს?

კიდევ ვიმეორებ: შანტაჟის საფუძველზე ხდებოდა სამეგრელოში „ნაცმოძრაობისთვის“ ხმის მიცემა.

**— ამბობენ, ფულიც დაარიგესო. ამის შესახებ რაიმე ინფორმაციას ფლობთ, ბატონო ლაშა?**

— ჩემო კარგო, ცოლი და ქმარი რას აკეთებენ საწოლში, ეს არავის უნახავს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბავშვი ისე არ ჩნდება. რა თქმა უნდა, არიგებდნენ ფულს. ბევრი მათგანი გამოააშკარავეს ჩვენმა კოორდინატორებმა, მაგრამ ზოგს ეუხერხულება ამის ხმამაღლა თქმა – მეზობელია, ახლობელია და ერიდება მის გაწირვას.

„ნაცმოძრაობას“ სამეგრელოში სერიოზული დაფინანსება ჰქონდა. ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი მობილიზება განახორციელეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საქმიანობა იდეალური არ ყოფილა, დავუშვით გარკვეული შეცდომები, მაგრამ მაინც მოვიპოვეთ გამარჯვება.

სამწუხაროდ, ზუგდიდის გამგებლის ყოფილმა მოადგილემ გურგენ სართანიამ არასახარბიელო ხერხს მიმართა. ის „პატრიოტთა ალიანსიდან“ იყრიდა კენჭს, ხოლო მოსახლეობას არწმუნებდა: ხმა მომეცით, მე იგივე ვარ, რაც „ქართული ოცნებაო“. ხალხი დაიბნა და ბიულეტენში ორი გვარი შემოხაზა – გურგენ სართანიასთვის და ედიშერ თოლორაიასთვის, რომელიც, მოგეხსენებათ, „ქართული ოცნების“ კანდიდატი გახლავთ. ამის გამო 2 000 ბიულეტენზე მეტი გაბათილდა. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ოცნების“ კანდიდატს მეორე ტურში უწევს ბრძოლა.

**— ბატონო ლაშა, რეგიონში, კერძოდ, ანაკლიაში უდიდესი პროექტების განხორციელებას აპირებს სახელმწიფო, ინფრასტრუქტურული პროექტები, ღრმაწყლოვანი პორტი, ახალი ინვესტიციები, თუმცა ანაკლიის მოსახლეობის უმრავლესობამ მაინც „ნაცმოძრაობას„ დაუჭირა მხარი. რამ განაპირობა ეს?**

— ესენი არიან შეცდომაში შეყვანილი ხალხი, როგორ შეიძლება ანაკლიაში და განმუხურში, სადაც დღემდე უპრეცედენტო პროექტები ხორციელდება. განმუხურში ისეთი პარკი შენდება, რომლის მსგავსი საქართველოში არ არსებობს, უდიდესი მნიშვნელობის საზღვაო პორტს აგებენ ანაკლიაში, უმაღლეს დონეზე ვითარდება ინფრასტრუქტურა და ა. შ. კულტურული, სოციალური პროექტები აღსრულების პროცესშია. ამ სოფლებში „ნაცმოძრაობისთვის“ ხმიხ მიცემა არის გონებადაბრკოლებულთა სამწუხარო არჩევანი.

მინდა გითხრათ, რომ ადგილობრივი არჩევნების დროს ანაკლიაში ხმების დიდი რაოდენობა მოვიპოვეთ, მაგრამ, ახლა, ეტყობა, სათაადოდ ვერ შევაფასეთ სიტუაცია, ჩვენმა კოორდინატორებმა ისე, როგორც საჭირო იყო და შედეგიც მივიღეთ...

22 დღე დარჩა განმეორებით არჩევნებამდე,. ანუ მეორე ტური იქნება, ვიმედოვნებთ, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატები, ამჯერად, დამაჯერებლად გაიმარჯვებენ.

საკრებულოს კანდიდატი, დღევანდელი მონაცემებით, 400 ხმით უსწრებს მოწინააღმდე-



5 გვ.

# როგორ შეიძლებოდა „ნაცმოძრაობა“ მეორე ადგილზე გასულიყო

## ანუ რა შეცდომები დაუშვეს ოპოზიციურმა პარტიებმა?



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა საქართველოს მოსახლეობას საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურის წარმატებით დასრულება მოულოცა: „მსურს, მივულოცო ქართველ ხალხს საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურის წარმატებით ჩატარება. საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ახალგაზრდა დემოკრატიის სიმწიფე და გამართულობა. საერთაშორისო დამკვირვებლების — მათ შორის ევროკავშირის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (ეუთო-ს) და ევროპის საბჭოს დასკვნების თანახმად, არჩევნები კარგად ორგანიზებული იყო, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის ჩვენი ევროპული სტანდარტების სრული დაცვით ჩატარდა.“ წერია **ვალტერ შტაინმაიერის** წერილში.

* * *

არჩევნების დასრულებას ოდესიდან გამოეხმაურა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობისგან თავის შეკავება ურჩია — „ამ სიტუაციაში, საუბარი იმაზე, რომ მეორე ტურში რამე შეიცვლება, სანამ მთავარი ფაქტორები არის იქ, რა თქმა უნდა, უაზრობაა. მეორე ტურის წინ, ივანიშვილს ნათქვამი აქვს, რომ ის მის კანდიდატებს გაამარჯვებს ყველა ოლქებში და, რა თქმა უნდა, დღევანდელი საარჩევნო სისტემის პირობებში ასეც იქნება. ამიტომ, პირდაპირ მინდა გითხრათ — მე ვერ ვხედავ აზრს. რა თქმა უნდა, ეს ყველა კანდიდატის ინდივიდუალური გადასაწყვეტია, მეორე ტურში მონაწილეობის და ამითი პრაქტიკულად ლეგიტიმაციის ძალიან უხეში დარღვევებით ჩატარებული არჩევნების“ — ამბობს სააკაშვილი.

პარტიული ლიდერის მოწოდებამ ნაციონალური მოძრაობის რიგებში აზრთა სხვადასხვაობა და დაპირისპირება გამოიწვია.

* * *

სანამ ნაციონალები ერთმანეთში ურთიერთობებს არკვევდნენ, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა **ირაკლი ალასანიამ** თანაპარტიელებს და ამომრჩევლებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და პოლიტიკიდან წავიდა. პარტია დატოვა „თავისუფალი დემოკრატების“ გენერალურმა მდივანმა **ალექსი პეტრიაშვილმა**, რომელიც მოღვაწეობას სხვა რანგში და სხვა დარგში აპირებს. პოლიტიკიდან წასვლას უწინასწარმეტყველებენ მსოფლიო ბანსაც, რომლის შიდაპარტიულმა მიგრაციამ წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოება კარგად გაახალისა.

* * *

არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომ განვითარებული პროცესების ფონზე კითხვა — რას მოუტანს ქვეყანას მეცხრე მოწვევის პარლამენტში ძალთა ახალი განლაგება ყველაზე აქტუალური ხდება. პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** პარლამენტს მიღმა დარჩენილი ოპოზიციის მთავარ შეცდომად „ქართულ ოცნებასთან“ ბრძოლა დაასახელა. მათი სამიზნე ყოველთვის მმართველი პოლიტიკური ძალა იყო და მთავარი ოპოზიციური ძალის ჩანაცვლებაზე არ უზრუნიათ „პატრიოტთა ალიანსმა“ წარმატებას მაშინ მიაღწია, როცა მისი



მთავარი სამიზნე „ნაციონალური მოძრაობა იყო. ნაციონალებიდან რესპუბლიკელებზე გადართვის შემდეგ, მათი რეიტინგის ზრდა შეჩერდა. იგივე შეცდომა დაუშვეს „თავისუფალმა დემოკრატებმაც“ - განაცხადა პოლიტოლოგმა.

* * *

ეკონომიკურ საკითხებში ექსპერტმა **დემურ გიორხელიძემ** სოციალურ ქსელში ასეთი შინაარსის სტატუსი გამოაქვეყნა: „საქართველოში თითქოს უნდათ, ააშენონ სახელმწიფო, მაგრამ ადამიანებს ავიწყდებათ — სახელმწიფო სამართალზე იგება და დამნაშავე, კანონის შესაბამისად, ისჯება! როცა დამნაშავეს ორნახევარი ასეული ათასი ადამიანი აძლევს ხმას, იმ ხალხს სახელმწიფო არასდროს ექნება ანდა ის „სახელმწიფო“ ექნება, რაც იყო: ადამიანის შეურაცხმყოფელი, ადამიანის გამაუპატიურებელი, ადამიანის გამაღარიბებელი მძარცველი, უტიფარი და ბოროტი. საზოგადოება, სადაც ბოროტებას ეგუებიან და მორჩილებენ, ღირსეულ გარემოს, სადაც ადამიანი საკუთარი შრომით კეთილდღეობას შეიქმნის და თავისუფლად იცხოვრებს, ვერასოდეს შექმნის, რადგან ცხრაწლიანი მეხსიერება წაშლილი აქვს და დამნაშავის ისევ ხელისუფლებაში დაბრუნება სურს..“

„საერთო გაზეთთან“ საუბარში ექსპერტი ხელისუფლების შეცდომებზე, პოლიტიკური პარტიების უპასუხისმგებლობასა და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა რაოდენობაზე ამახვილებს ყურადღებას. არა მგონია, რომ რეალურად, „ნაციონალურ მოძრაობას“ ასეთი რაოდენობის მხარდამჭერი ჰყავდეს. ეს „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ კი არა, ხელისუფლების წინააღმდეგ მიცემული ხმები უფრო მგონია - განმარტა დემურ გიორხელიძემ.

ზუსტად ვაკეთებდი შეფასებებს, რომ ხელისუფლება არ შეიცვლებოდა და არც რაიმე მნიშვნელოვანი ძვრები მოხდებოდა. ერთადერთი, რაც ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, ნაციონალური მოძრაობის ხმების რაოდენობაა. ვფიქრობდი, რომ ეს პოლიტიკური ძალა პარლამენტში მაქსიმუმ 15 კაცით იქნებოდა წარმოდგენილი. ვფიქრობ, ის, რომ რეალურად, უფრო მეტია, ხელისუფლების გარკვეულმა შეცდომებმა და უზუსტობებმა განაპირობა. არა მგონია, რომ ნაცმოძრაობას დღეს ამ რაოდენობის მხარდამჭერი ჰყავდეს. ეს უფრო ხელისუფლების წინააღმდეგ მიცემული ხმებია და ის ფაქტიც, რომ მოსახლეობის 47% არჩევნებზე არ მივიდა, მოსახლეობის უკმაყოფილებაზე მეტყველებს.

კითხვაზე, რას ფიქრობს ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მიერ გაჟღერებულ ბრალდებაზე არჩევნების გაყალბებასა და პირველ-მეორე ადგილებზე გასულ პოლიტიკურ ძალთა გარიგების შესახებ, ექსპერტი პასუხობს, რომ ამაზე წასვლა ქვეყნის წინაშე უდიდესი დანაშაული იქნებოდა. დემურ გიორხელიძე საქართველოში არსებული პოლიტიკური დაჯგუფებების უპასუხისმგებლობაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, პარტიებმა ვერ მოახერხეს პირველ-მეორე ადგილებზე გასული



ლი პოლიტიკური ძალების დამაბალანსებელ და შემაკავებენ ძალად ქცეულიყვნენ.

მე არ ვიცი, გაურიგდა თუ არა, ხელისუფლება ვინმეს და მათ შორის, ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ ვიცი, რომ ამაზე წასვლა ქვეყნის წინაშე უდიდესი დანაშაული იქნებოდა. ხელისუფლებები მოდიან და მიდიან და უნდა იფიქრონ, მათ შემდეგ რა იქნება. თუ ასეთი ფაქტები მოხდა და კიდევ არჩევნების გაყალბებას დავუშვებთ, მაშინ წინ ძალიან სერიოზული პოლიტიკური კრიზისი გველის. ამიტომ, ან ვაგებთ კონსტრუქციას, რომელიც პიროვნებების გარეშე იმუშავებს და არჩევნებს მხოლოდ როტაციის ფუნქცია დარჩება ან 25 წელი სამარცხვინო მდგომარეობაში, უპასუხისმგებლობაში და გაყალბებებში ჩაფლულები გავაგრძელებთ ცხოვრებას. მე არ მინდა ასეთი პერსპექტივა და იმედი მაქვს, რომ სისტემურ პრობლემებზე, რომლებიც ქვეყანას აქვს, სერიოზული მსჯელობა გაიმართება. ამ სისტემური კრიზისის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია პოლიტიკური ორგანიზაციების სრული უპასუხისმგებლობა საკუთარი პოლიტიკური მომავლის მიმართ. პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან არ ჩანდა პირველ-მეორე ადგილებზე გასული პოლიტიკური ძალების გამაწონასწორებელ და შემაკავებელ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბების მცდელობა. პოლიტიკაში კი ანგარიშს უწევენ პარტიას, რომელიც აწონასწორებს და ზემოქმედების ძალა გააჩნია. სწორედ ეს აკავებს მსოფლიოში პოლიტიკურ პარტიებს მაპატიეთ და „პრიდურკობისაგან“, რომ არ ითავხედონ და არ გააკეთონ ის, რასაც საქართველოს ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალები აკეთებენ. რას ქვია, შუა უნდა გაიკრიფოს? მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალა უნდა იყოს და დანარჩენები მათი მარიონეტები? ჯერ ერთი, ამ ორი პოლიტიკური ძალისგან არც ერთი დღეგრძელი არ მგონია, იმიტომ, რომ სისტემის შემადგენელი ნაწილები არ არიან და არ ფიქრობენ შექმნან სამართალზე დაფუძნებული ქართული სახელმწიფოს მოდელი. სანამ ეს არ მოხდება, მანამდე სულ ამ ვოლუნტარისტულ და სრულიად გაუგებარ განცხადებებში ვიქნებით ჩაფლულები. 25 წელია პოლიტიკური პარტიები საკუთარ შეცდომებზე ვერაფერს სწავლობენ. წლიდან წლამდე, ახალი არჩევნებიდან მომავალ არჩევნებამდე სტაბილურად 0,2%, 2,5% და 3,5% -ის ფარგლებში მერყეობენ. ასეთი პარტიების გამოიყენება ხდება შედარებით ძლიერი პოლიტიკური ძალის მიერ, რომ გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, აკეთებინონ მათთვის საჭირო საქმე და „აყვირონ“ მათთვის საჭირო თემები. ჩვენ გვჭირდება 4-5 პოლიტიკური ძალა, რომელიც ერთმანეთს გააწონასწორებს და დააბალანსებს. სანამ ასეთები არ გამოჩნდება, უნდა შევეგუოთ, რომ ორი პოლიტიკური ძალა, რომლებსაც საკუთარი მხარდაჭერები გააჩნია, გაიხანგრძლივებენ ყოფას.

* * *

საპარლამენტო არჩევნების შედეგები უცნაურად ეჩვენება მამუკა არეშიძეს. ექსპერტის აზრით, პოლიტიკური პარტიებმა წინასაარჩევნოდ კარგად იმუშავეს და პარლამენტის მიღმა მათი დარჩენა რაღაც ხელოვნურ პროცესებს უკავშირდება.

**მამუკა არეშიძე:** ასეთ რბილად რომ ვთქვათ, უცნაურ



შედეგებს ნამდვილად არ ველოდი. ნაციონალური მოძრაობის შედეგებს და მაჟოროტარულ წყვილებს ვგულისხმობ, რომელიც თითქმის ყველგან ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებისგან შედგება. მეჩვენება, რომ რაღაც ხელოვნურად მოხდა, რადგან სხვა პარტიებმა საკმაოდ კარგად იმუშავეს და ალბათ, კარგი შედეგებიც უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ოლქებში მოხ-



და რაღაც, რამაც ასეთი შედეგი განაპირობა და პირისპირ მხოლოდ ორი ძალა დატოვა. ბოლო თვეების განმავლობაში, ყველა და მათ შორის მეც, საზოგადოებას ვაფრთხილებდით, რომ ნაციონალური მოძრაობა აუცილებლად პროვოკაციებზე წავიდოდა. ამან ნაწილობრივ განაპირობა მოქალაქეების განწყობა, რომ თავი დაეზღვიათ დესტაბილიზაციისგან და მხარი „ქართული ოცნებისთვის“ დაეჭირათ, მაგრამ ეს მედლის



ერთი, რეალური მხარეა. მეორე, რაც ხელოვნურია, არის ის, რომ ჩემი აზრით, გამოყენებული იქნა რაღაც ტექნოლოგია, რომელმაც ნაციონალური მოძრაობა მთავარ ოპოზიციურ ძალად დააფიქსირა. ეს განსაკუთრებით მაჟორიტარების შემთხვევაში შეინიშნება, სადაც დავა ყველგან „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის მიდის. არჩევნები გარკვეულწილად, გაყალბებულია, მაგრამ ამის დამტკიცება გამიჭირდება. ის, რომ ადგილებზე ნაციონალური მოძრაობის წევრები ფულს არიგებდნენ და ამას კონვეირული სახე ჰქონდა, ცნობილია, მაგრამ უცნობია, უბნებზე რა ხდებოდა. რიგ უბნებში, 5 საათის მერე, უცებ გამოჩენილი ხალხის ნაკადი, მაფიქრებინებს, რომ კარუსელები ტრიალებდა.

* * *

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „მწვანეთა პარტია“ სოციალ-დემოკრატებთან და კონსერვატორებთან ერთად, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიით გავიდა. პარტიის ლიდერი **გიორგი გაჩეჩილაძე** არჩევნების მიმდინარეობის დროს, მარნეულში მომხდარ ინციდენტზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ არეულობის მოსაწყობად ნაციონალებმა ბავშვები გამოიყენეს.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების მიმდინარეობისას გარკვეული პრობლემები იყო, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც არჩევნებს აკვირდებოდნენ, ერთხმად ამბობენ, რომ საქართველოში ნორმალური და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. რომ ეს იყო ტესტი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე და საქართველომ ეს ტესტი წარმატებით ჩააბარა. მე საკუთარი თვალით ვნახე, რას კადრულობდა მარნეულში ნაციონალური მოძრაობა. ყველაფრის მკადრებლები კი არიან, მაგრამ ახლა საერთოდ უკადრებელი იკადრეს და იმ ავბედით უბანზე, სადაც თავდასხმა მოხდა, ბავშვები გამოიყენეს. მასიურად მოყვანილი ბავშვები, რომლებიც ძალიან აგრესიულად იქცეოდნენ უშენდნენ ქვებს პოლიციელებს და რამდენიმე მათგანი დაზარალდა. ამის მიუხედავად, სამართალდამცავებმა ძალიან კარგად იმუშავეს და არავითარი აგრესია არ გამოუჩენიათ. ნაციონალურ მოძრაობას მარნეულში მობილიზებული ჰყავდა თავისი მედია და მთელი დღის განმავლობაში ამ ინციდენტს ატრიალებდნენ.მარნეულის ამბების შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ტრაგედიაა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ კიდევ რაღაც ხმები აიღო. გულწრფელად გეტყვით, მე არ ვიცი, კიდევ ვინ უჭერს ამ ყველაფერზე წამსვლელ ხალხს მხარს. სამწუხაროა, რომ საზოგადოებაში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც მოძალადეებს და კრიმინალებს მხარი დაუჭირა.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# მეგრელებო, საბოლოოდ ამოვუკვეთოთ ფეხი სამეგრელოდან გადამთიელ სანდრას და მოძალადე ნაციონალებს!



3 გვ.

გეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არ ვართ ბრძოლის ხასიათზე. სანდრა რულოვსს საბოლოოდ უნდა აღვუკვეთოთ ფეხი სამეგრელოდან. ეს არის ცინიკოსი ადამიანი, რომელიც უდიდესი უბედურებების სათავეებთან დგას, ისეთთან, რომელიც არც ერთ ეპოქაში საქართველოს და სამეგრელოს არ უნახავს. იყო ტყვეთა სყიდვა, ქურდობა, კვლა, ტაცება, მაგრამ მამაკაცის გაუპატიურება, სპეციალური საწამებლების მოწყობა და ამ მეთოდებით სახელმწიფოს მართვა, ჯერ არგაგონილი ამბავია. აი, ამ უბედურებების სულისჩამდგმელი კაცის თანამეცხედრე აცხადებს, რომ ახლა ჩახედა თვალებში თავის ძვირფას ქმარს და დაინახა მზადყოფნა, რომ ის ასეთ რამეს კვლავ აღარ გაიმეორებდა.

მისი მეუღლე სანდრას აღარ ეკუთვნის, ეს რა ჩვენი საქმეა, მაგრამ ერთი იქით რომ ბუქსაობს და მეორე – აქეთ, ხომ ხედავთ?! მაგათი პატრონი რა ვთქვა მე.

ქართველებს ტრადიციული აუცილებლობა გვაკავშირებს ჩვენს სამშობლოსთან, იდენტურ სისტემებთან, ჩვენს ძვირფას ოდაბადესთან, ამიტომაც მიუღებელია ასეთი გადამთიელების პარპაში. ჩემო ხალხო, ვაშინერს ამ ადამიანისთვის ხმის მიცემა. 9 ქვეყნის აგენტს უნდა, რომ სამეგრელოს კისერზე მოკალათდეს. ვერ ეღირსება ამას. თუმცა, ალბათ, ის პარლამენტის დეპუტატი მაინც გახდება და მთელი ქვეყანა დაინახავს, როგორ პროექტებს შესთავაზებს საკანონმდებლო ორგანოს. კანონპროექტი ერთსქესიანთ დაკანონების შესახებ, ჩვენი ეკლესიის ძალაუფლების შესუსტების შესახებ, კონკორდატის გადახედვის თაობაზე, ბევრი ანტიეროვნული გეგმა, ალბათ, უკვე აქვს დაწერილი და შენახული თავის საქაღალდეში, პარლამენტს რომ წარუდგინოს და თავისი გაიტანოს მოღალატე და მოძალადე „ნაცმოძრაობასთან“ ერთად.

ეს უბედურება თითოეულ ჩვენგანს მიუკაკუნებს კარზე, თითოეული ჩვენგანის ტრაგედია გახდება, ბატონებო. დროზე გამოფხიზლდით, არ დავუჭიროთ მხარი სანდრა რულოვსს, გავაძევოთ ეს ქალბატონი სამეგრელოდან.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# რამდენი ბონია მეწისქვილე ჰყავს საქართველოს?

## სანამ „ნაცმოძრაობა“ არ აიკრძალება, არ იქნება მშვიდობა ამ ქვეყანაში!



„პაატა ბურჭულაძე იმდენად ბინძური ადამიანი აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებაში მოსასვლელად ეთნიკურ შუღლზეც კი წავიდა“, – აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მჟავანაძე, რომელიც დღეს „საერთო გაზეთის“ სტუმარია.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:** „სამწუხაროდ საქართველოში ოდითგანვე იყო გარკვეული ფენა, რომელიც გარკვეული „გასამრჯელოს“ ფასად, მტრების სასარგებლოდ მუშაობდა, ამ ფენას მიეკუთვნებიან ნაციონალების მხარდამჭერები. მე ადრეც ვთქვი, ნუ დავემსგავსებით „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟ ბონია მეწისქვილეს, რომელიც თუთაშხიას მოკვლას დათანხმდა, რადგან წისქვილით „დაასაჩუქრეს“ და 15 მანეთს უხდიდნენ. ზუსტად ამ მეწისქვილესავით მოიქცა ის ხალხი, რომლებმაც 20-30 ლარის თუ რაღაცის დაპირების სანაცვლოდ ნაცმოძრაობას მისცა ხმა. არ მომერიდება იმის თქმა, რომ ეს ხალხი არიან პოტენციური მკვლელები, იმ პარტიას რომ მისცემ ხმას, რომელიც მამაკაცებს აუპატიურებდა, სისხლში დაახრჩო საქართველო, ტერიტორიები დააკარგვინა და შენ ქმედებას იმით ახსნი, არ ვარგა ეს ხელისუფლებაო, რა უნდა გიწოდო? თუ ხელისუფლება არ ვარგა, სხვა პარტიას მიეცი ხმა, ნაციონალებს რატომ უჭერ მხარს? ესენი ფულის გამო, ადამიანებსაც მოკლავენ, მათი ასეთი გადაწყვეტილება დამნაშავე რეჟიმის დაბრუნების საფუძველია. ნაციონალების ეს შედეგი მარტო ბონია-მეწისქვილეების კი არა, იმ ხალხის „დამსახურებაცაა“, რომლებსაც არჩევნებზე მისვლა დაეზარათ და ტელევიზორის წინ იყვნენ წამოკოტრიალებული. მე არაერთხელ გავაკეთე განცხადება და პარლამენტშიც შევიტანე საკანონმდებლო ინიციატივა, რომ არჩევნებზე მისვლა სავალდებულო ყოფილიყო, მაგრამ პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება. ცინიკური განცხადებების ობიექტიც გავხდი, არადა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მათ შორის, ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებშიც მოქმედებს ეს კანონი, ამომრჩევლის ნებაა ვის მისცემს ხმას, მაგრამ არჩევნებში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა, არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში ჯარიმდებიან. განმეორების შემთხვევაში სანქციები მკაცრდება, ხმის უფლება ჩამოერთმევათ და ეკრძალებათ სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავება, ზოგიერთ ქვეყანაში პირველ შემთხვევაშივე დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. 8 ოქტომბერს ამომრჩეველთა ნახევარზე ცოტა მეტმა მიიღო მონაწილეობა, 2012 წლის არჩევნებზე ეს ციფრი გაცილებით მეტი იყო, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდება ხოლმე ჩვენი ხალხი, როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება, მხოლოდ 2012 და 1990 წელს დაფიქსირდა ამომრჩეველთა სერიოზული აქტიურობა. ახლა ეტყობა არ ჩათვალეს საჭიროდ აქტიურობა, რაც არჩევნების შედეგზე ცუდად მოქმედებს. რასაც ვუყურებ, ჩვენს ქვეყნაში სხვა ეთნოსის წარმომადგენლები უფრო არიან მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გამსჭვალულნი, ვიდრე ქართველები. რაღაც ზომები აუცილებლად უნდა მივიღოთ, თორემ ხვალ შეიძლება საერთოდ არ მივიდეს ამომრჩეველი არჩევნებზე და ისეთი ანტიეროვნული ძალა მოვიდეს ხელისუფლებაში, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იმოქმედებს. იქნებ მომავალმა პარლამენტმა მაინც აქციოს ხსენებული ინიციატივა კანონად, მან ასევე აუცილებლად უნდა დასვას ნაცმოძრაობის საერთოდ გაუქმების საკითხიც. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონის თანახმად, პარტია, რომელიც ეწევა ძალადობას, მოქმედებს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ (იქ ჩამოთვლილია შესაბამისი ნორმები), შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით გაუქმდეს. ჩვენ გვაქვს უამრავი განაჩენი, სადაც წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირები სწორედ ასეთ ქმედებებში არიან მხილებულნი. ამომრჩევლის პასიურობის გარდა, სხვა ფაქტორებმაც გამოიწვია ის შედეგი, რაც მივიღეთ“.

**– რას გულისხმობთ?**

– ჰებელსს აქვს ნათქვამი, მომეცით საინფორმაციო საშუალებები და ადამიანებს ღორების კოლტად ვაქცევო. არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ, როგორც ჩანს „რუსთავი-2“-მა შეასრულა ჰებელსის „ფუნქცია“. ხუთი „რუსთავი-2“ რომ იქნება ქვეყანაში ჩართული, რომელიც ერთადერთი საინფორმაციო წყაროა რეგიონების მცხოვრებთათვის, ამ ხალხს ჰგონია, რომ ისევ სააკაშვილია პრეზიდენტი და ნაციონალები არიან ხელისუფლებაში, არასამთავრობო სექტორის ნაწილიც ამ პარტიის სასარგებლოდ მუშაობს, ხელისუფლება კი ამ დროს შეცდომებს უშვებ, არაინფორმირებული ხალხი რა თქმა უნდა ნაცმოძრაობას მისცემს ხმას. ქვეყანაში როგორ არ უნდა იყოს საინფორმაციო საშუალება, რომელიც ხალხს ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის. ბევრი კარგი გააკეთა ხელისუფლებამ, მაგრამ საზოგადოებამდე ეს ინფორმაცია არ მივიდა, სწორედ იმის გამო, რომ არ არსებობს ერთი ტელევიზია მაინც, რომ ხალხმა სიმართლე გაიგოს. დანარჩენი ოპოზიციაც გაყალბებაზე რომ საუბრობს, მაგათი ლოგიკით, ზოგს 12%, ზოგს 20%, ზოგს უფრო მეტი, თუ ყველამ ამდენი ხმა მიიღო, რა გამოდის, „ქართულმა ოცნებამ“ საერთოდ არ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა?

არჩევნების დროს რომ ახსენდებათ ამ ოპოზიციონერებს ხალხი, მანამდე შეხვდნენ და იმუშაონ, ჩაერთონ საკანონმდებლო საქმიანობაში. ამათ პოლიტიკა მარტო ბრიფინგების ჩატარება და ტელეეთერით ლაპარაკი ჰგონიათ. პარტია რამდენჯერმე რომ წააგებს არჩევნებს, მისი ხელმძღვანელები ხომ უნდა მიხვდნენ, რომ მათ ამომრჩეველი არ ენდობა, არ უნდა, რაღად უნდა ბევრი ფიქრი, რომ დროა, დაიხურონ ქუდი და წავიდნენ პოლიტიკიდან. ამ არჩევნებს ერთი კარგი შედეგი ისიც ჰქონდა, რომ რესპუბლიკელებმა ის 2%-იც ვერ მიიღეს, რასაც მანამდე იღებდნენ. როცა ვამბობდი, რა უნდა ასეთ დაბალრეიტინგიან პარტიას ხელისუფლებაში-თქო, ძალიან სწყინდათ. თურმე ძალიან მაგრები იყვნენ და იმიტომაც იყვნენ კოალიციაში, აგერ ხომ დაიდო შედეგი, რასაც წარმოადგენენ. ბევრი პარტია და პოლიტიკოსი „ჩაირეცხა“, ამიტომ მათ ჭკუა უნდა ისწავლონ. ბიძინა ივანიშვილს იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა, რომ მისი პარტია მარტოც შეძლებდა იმ ხმების მიღებას, რაც 2012 წლის არჩევნებზე მიიღო, მაგრამ მაინც გააერთიანა პოლიტიკური სპექტრი. ამ ოპოზიციონერებსაც ახლა იგივე უნდა გაეკეთებინათ, საქართველოში ოპოზიცია ყოველთვის გაერთიანების შედეგად იმარჯვებდა, მათი მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ არ გაერთიანდნენ. გაყალბებას რომ იმიზეზებენ, მაშინ წარმოადგინონ მტკიცებულებები. ამომრჩევლის პასიურობაზე ახლა რომ წუწუნებენ, რატომ არ დაუჭირეს მხარი ჩემს საკანონმდებლო ინიციატივას, შვეიცარია, ავსტრია, ბელგია და იტალია ვითომ ჩამოუვარდებიან საქართველოს დემოკრატიულობით, იქ სავალდებულო რომ არის არჩევნებში მონაწილეობა? დღეს ამომრჩეველს რომ ლანძღავენ, ამათი გულისთვის ღირდა შეწუხებაო, ვის უწყრებიან, რა გაუკეთებიათ ხალხისთვის, პრეტენზიებს რომ უყენებენ. ხალხი დიდი ძალაა, ისწავლონ მისი დაფასება.

ნაცმოძრაობის გაუქმების მოთხოვნის გარშემოც რომ გაერთიანდეს საზოგადოება, წინ ვერავინ დაუდგება და ამას მივაღწევთ. ვფიქრობ, ეს საკითხი აუცილებლად უნდა დააყენოს ხელისუფლებამ, რადგან არსებობს ძალიან დიდი საშიშროება, რომ მომავალ არჩევნებზე ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდეს.

**– „ქართული ოცნებას“ ეყოლება საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში?**

– თუ მეორე ტურებში გაიმარჯვებენ მისი მაჟორიტარობის კანდიდატები, „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება მოიპოვოს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ამისთვის 112 დეპუტატია საჭირო და არ გამოვრიცხავ, რომ ამდენი დეპუტატი გაიყვანონ. როცა ასეთი ოპოზიციაა პარლამენტში, უფრო მეტად არის საჭირო საკონსტიტუციო უმრავლესობის არსებობა. ნაცმოძრაობა ქვეყნის წინსვლისთვის ხელისშემშლელი ძალაა. ბევრი ადამიანი არჩევნების წინ უცხოეთში წავიდა, რადგან ეშინოდათ, რომ თუ ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში მობრუნდებოდა, მათ დაიჭერდნენ. ქვეყანაში ისედაც ცოტა ქართველი ბიზნესმენია (ძირითადად უცხოელები არიან) და ისინიც ერიდებიან ფულის დაბანდებას, ნაცების დაბრუნების საფრთხე რახან არსებობს, ფულს არ ჩადებენ, რადგან ამ თანხის ამოღება მყისიერად არ ხდება, გრძელვადიანი პერსპექტივაა. ნაცები თუ მობრუნდნენ ეს ხალხი ამ ფულს



8 გვ.

# ცუდი „ნაციონალები“ იმ კარგმა მოქალაქეებმა აირჩიეს, რომლებიც არჩევნებზე არ მივიდნენ

ამომრჩეველთა 49%-მა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო. ძალიან ბევრ უბანზე მეორე ტური დაინიშნება. ნაციონალების ბელადი ოდესიდან ჭკუას არიგებს თავის ბანდას: “მეორე ტურის შესახებ ივანიშვილს ნათქვამი აქვს, რომ თავის კანდიდატებს გაამარჯვებინებს და ეს ასეც იქნება. მე ვერ ვხედავ მეორე ტურში მონაწილეობის და ამით არჩევნების ლეგიტიმაციის აზრს“. ანუ, სააკაშვილს არ გაუვიდა გივი თარგამაძის აფეთქებით დესტაბილიზაცია და ახლა გეგმა „ბ“ „შემოაგდო“. დაუჯერებენ თუ არა ბელადს თავისი ასკოლკები? წესით უნდა დაუჯერონ, ვინ ვინ და მათ ყველაზე კარგად იციან რომ არჩევნები მართლა არ გაყალბებულა და სწორედ ამიტომაა რომ მაჟორიტარები კიდევ ერთხელ უნდა წარსდგნენ ამომრჩევლების წინაშე. რას მოიტანს ეს ქართულ პოლიტიკურ „რინგზე“ ამაზე პოლიტიკოსებმა იფიქრონ, მაგრამ თუ არ დაუჯერებენ ნაცები ბელადს მაშინ საკითხავია რას მოიმოქმედებს მიშა?! საქმე ისაა, რომ მეორე ტურზე თუ უარი უნდა განაცხადონ ნაცებმა, წესით პარლამენტშიც არ უნდა შევიდნენ და იმ ფონზე, როცა ნაცასკოლკები ყოველ დღე შიშით ფიქრობენ ვაითუ დაგვაკავონო, იმუნიტეტის გარეშე დარჩენა მთლად არ უნდა ასხამდეს მათ წისქვილზე წყალს. ფონს გივი თარგამაძის მიმართ ჩადენილი „ტერაქტიც“ ამძაფრებს, შს მინისტრმა გამგებისათვის გასაგებად განაცხადა ამ საქმეში ბევრი ისეთი დეტალი გამოიკვეთა ბევრი გაოცდებითო. ჰოდა, ხომ შეიძლება ამ „გაოცებამ“ სწორედ იმ გადეპუტატებული ნაცების კარზე დააკაკუნოს?

ეს, ისე, შესავლისათვის, ახლა კი ძირითადი: ამერიკელი ჟურნალისტი და კრიტიკოსი, ჯორჯ ნათანი ამბობდა: „ცუდი ხელისუფლება იმ კარგი მოქალაქეების არჩეულია, რომლებიც არჩევნებზე არ დადიან“. რვა ოქტომბერს არჩევნები ჩვენს ქვეყანაში უჩვეულოდ მშვიდ გარემოში ჩატარდა. ქართული ოცნების მხარდამჭერები საარჩევნო ოლქების დახურვამდე ორი საათით ადრე სოციალურ ქსელში ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ, განსაკუთრებული ემოცია სამეგრელოს რეგიონებიდან მოწოდებულმა ცნობამ გამოიწვია, რომ არჩევანი ოცნების სასარგებლოდ უამრავმა ადამიანმა გააკეთა და დიდი მოლოდინი ჰქონდათ ოცნების კანდიდატის პირველივე ტურში გამარჯვების! თუმცა საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, გამოჩნდა პოსტები რომლებიც ნაციონალების მეორე ადგილზე გასვლას აპროტესტებდა და მომავალ ოთხწლიან უარეს კოჰაბიტაციას აანონსებდა.ნაცლიდერები კი მეორე ადგილს აპროტესტებდნენ და ირწმუნებოდნენ პირველ ადგილზე ვართო, როგორი უსინდისოები, უტიფრები, ნაგლები და თავზეხელაღებულები არიან!“, – წერდა აუდიტორია 115-ის წევრი ლევან ლორთქიფანიძე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებით:

„წარსულში ჩადენილი დანაშაულები შერჩათ, წაღებული კაპიტალი გადანახული აქვთ, არაფერზე ბოდიში არ მოუხდიათ მყარი მეორე ადგილი მოიპოვეს, სოლიდური ფრაქციის ჩამოყალიბების შესაძლებლობა ექნებათ და კიდევ უკმაყოფილოები არიან, კიდევ პროვოკაციებს ამზადებენ, მართლა ხელისუფლებაში მობრუნება ნდომებიათ!

ფრთხილად იყავით, არ განარისხოთ ისედაც გაბრაზებული, გამწარებული, გაღიზიანებული, მუდამ მუშტებზე მოცქირალი თქვენდამი შურისძიების სურვილით განწყობილი ადამიანები! ფრთხილად!“ უამრავი ადამიანი გამოხატავდა აგრესიას ნაცმოძრაობის და მათი მხარდამჭერების მისამართით. სოციალურ ქსელში სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანები შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს და უკმაყოფილების მუხტის ნიშნულიც ზემოთ ადიოდა. აი რას წერს ერთი ჯენი ბურჯანაძე+ტფუი, დედალი და მამალი ღორები...




რა ჰქნა ეს დორბლიანმა სომეხმა? როგორ გაავსო ჩვენი კურთხეული ქვეყანა შინაურ-გარეული ღორების კოლტით და კელების ნაკელით? ავადმყოფმა მიშამ ხომ გამოურღვია საქართველოს ღობე-კარი? ჰოდა, ახლა მფატრავი ჰოლანდიელი სანდრა ილვწის საქართველოს მოსახლეობის გამოსაშიგნად. გამოგვშიგნავს კიდეც... სანდრა რულოვსი არჩევნებამდე ბიძინა ივანიშვილს ლამის დუელში იწვევდა და არჩევნების შემდეგ პრემიერ მინისტრს გადაწვდა და ასე მიმართა=„კაცობა მაინც გეყოს, რომ ნორმალური ბრძოლა იყოს“=არაკაცებში „ნავალი“დედაკაცი. რომ კაცობაზე დაიწყებს მსჯელობას მინიმუმ უხერხულია. სანდრა როგორც ჩანს უპირობო გამარჯვებისთვის ემზადებოდა და კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და ციხიდან გამოსულ ადამიანებს და პარტიზანებს დადო ბრალი, თითქოს მისი გარეწარი გვამების მოყვარული ქმარი არ ავსებდა ციხე კოლონიებს უდანაშაულო ადამიანებით.

მართალია, ნაცლიდერები ბოლო ხმაზე გაჰყვიროდნენ არჩევნები გაყალბდაო, მაგრამ სინამდვილეში ყველამ კარგად იცის, რომ გაყალბება შეუძლებელიც კი იყო.საქართველო უკვე აღარ არის ის ქვეყანა, სადაც არჩევნების ბედი ცესკოს ნაცმოძრაობის ერთგული თავმჯდომარის კაბინეტში საიდუმლოდ ჩაკეტილი ფაქსის აპარატზე საიდუმლოდ მოსული ფაქსებით წყდებოდა. ამავდროულად მაშინ ინტენსიურად გამოიყენებოდა ყალბი პირადობის მოწმობები, უბანზე კარუსელები, გადაღებული იყოპოლიცილების მიერ ყუთების დატაცების, ან მასიურად საარჩევნო ურნებიდან ნაგვის ურნებში ბიულეტენების ჩაცლის ფაქტები, იყო ზეწოლა ამომრჩევლებზე, საუბნო კომისიებიდან სააჩევნო ურნების ნიღბიან სპეცნაზელათა მიერ გატაცების ფაქტები, კომისიის ოპოზიციონერი წევრების დაშინების და ზეწოლის ფაქტები... მეტიც, 2008 წელს ევროკავშირის მისიის ხელმძღანელი პიტერ სემნები ნაცმოძრაობის წევრებმა უბანზე მოიტაცეს და რამდენიმე საათის განმავლობაში ჩაკეტილი ჰყავდათ სადღაც! საგულისხმოა, რომ თავად პიტერ სემნებიმ, რომელიც კარგად ხვდებდა, რა დონის ავანტიურისტებთან და კრიმინალებთან ჰქონდა საქმე, ამჯობინა, ხმა არ ამოეღო ამ ფაქტზე, რაც თავისთავად სამარცხვინოა და ხაზს უსვამს სააკაშვილის დროინდელი ძალადობრივი სისტემის სიმახინჯეს. მეტიც, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები სააკაშვილმა პირველ ტურში მხოლოდ 3.7%-ით მოიგო, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ გამოქვეყნებულ ეუთოს საბოლოო დასკვნაში ეწერა, რომ ხმის დათვლა უბნების 19%-ზე ჩატარდა სერიოზული დარღვევებით! და იყო ან ცუდი, ან – ძალიან ცუდი! მგონი, გასაგები უნდა იყოს, რომ ეს 19% სწორედ მაშინდელი ხელისუფლების სასარგებლოდ გაყალბდა, და რომ არა ეს ფაქტი, 3.7%-იანი უპირატესობა ნამდვილად ვერ ექნებოდა მიხეილ სააკაშვილს, რაც იმას ნიშნავს, რომ 2008 წელს მეორე ტური უნდა ჩატარებულიყო! ეს ყველაფერი იყო წარსულში! ახლა კი მოხერხდა ნაცმოძრაობის მიერ 50%-დან 30%-მდე ჩამოქვეითებული მაჟორიტარული ბარიერის ისევ აწევა 50%-მდე. და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების თანახმად – მაჟორიტარული ოლქების გათანაბრება. ელექტრონული ID ბარათების შემოღებით მათი გაყალბების შანსი ძალიან შემცირდა, უბნებზე სიები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია და უკვე ფოტოებსაც შეიცავს, რაც აქაც გაყალბების შანსს მინიმუმამდე ამცირებს. ხოლო ახლახანს ცესკომ ისიც განაცხადა, რომ ხმათა დათვლის პროცესი პირდაპირ ეთერში ლაივ-სტრიმით განხორციელდება. სწორედ ეს იყო იმის წინაპირობა, რომ არჩევნები გამართულად და გამჭვირვალედ ჩატარდა და არა – ესა თუ ის წინასწარი კვლევები, ან ეგზიტ-პოლები. მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში ეგზიტ-პოლი არ ხდება არჩევნების საფუძველი. პირიქით, ცესკოს შედეგებთან ეგზიტ-პოლების სიახლოვე ამ ეგზიტ-პოლების სისწორეზე მეტყველებს და არა – ისე, როგორც მიხეილ სააკაშვილს და ნიკა გვარამიას სურთ, რომ იყოს...ხმების დათვლის შემდგომ აღმოჩნდა, რომ „ერისშვილებისთვის“ფსევდომზრუნველებისთვის, რომლებიც სავარაუდოდ მხარდამჭერებს მიწაზე სამოთხეს შეპირდნენ საკმაოდ ბევრმა ადამიანმა მისცა ხმა,ასევე უდანაშაულოდ დასჯილ და მოკლულ მსხვერპლთა ჯალათების გაპრავებას, საქართველოსგან ქართველების დაცლას, უმუშევრობას,,საქართველოში ქართველების დისკრიმინაციას, სასწავლო სისტემის სრულ მოშლას და ა.შ.



უფასო ყველი რომ მხოლოდ სათაგურშია, აღარ ახსოვთ. დაავიწყდათ ნაცების ცხრაწლიანი სისხლიანი ტერორიც,სამკურნალო ერი ვართ რადგან ყოველი მეათე ნაძირალა ყოფილა, სტოკჰოლმის სინდრომით შეპყრობილი, მოძალადე როგორ უნდა უყვარდეს მსხვერპლს...საინტერესოა გერმანიაში ნაცისტური პარტია დამნაშავე პარტიად რომ არ გამოეცხადებიათ და აეკრძალათ და არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა რამდენ პროცენტს აიღებდნენ? ვფიქრობ იმაზე მეტს რაც ჩვენმა ნაცებ-

8 გვ. →

# რამდენი ბონია მეწისქვილე ჰყავს საქართველოს?

6 გვ. →

დაკარგავს, ამიტომ გარისკვაზე ყველა თავს იკავებს, ასე რომ ეს პარტია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის, ისევე, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ნაციონალებმა მარტო ქართველების კი არა, აფხაზებისა და ოსების წინაშეც ჩაიდინეს დანაშაული, რადგან ჩვენს შორის ძლივს აღდგენილი ხიდი ისევ ჩატეხეს. 2003 წელს, აფხაზები თბილისში მოლაპარაკებებზე ჩამოდიოდნენ, საქმე ეხებოდა ქვეყნის ფედერაციულ მოწყობას (ეს ახლა სანატრებელი გვაქვს), რისი მომხრეც არ ვიყავით. ცხინვალის რეგიონში უპრობლემოდ ჩავდიოდით, ფუნქციონირებდა ერგნეთის ბაზრობა, დიალოგი აღდგენილი იყო და ფაქტობრივად ერთიანდებოდა საქართველო. ამ იდიოტებმა კი, ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, ეს ურთიერთობები გაანადგურეს და მოსპეს. ამიტომ ნაცმოძრაობის პოლიტიკური ველიდან გასვლა, ყველასთვის კარგი იქნება. ასეთი პარტია არ უნდა არსებობდეს ქვეყანაში, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ტერორისტულ ორგანიზაციას. თბილისის ცენტრში მომხდარი აფეთქების გამოძიება ჯერ არ დასრულებულა, შესაძლოა იქ ამ პარტიის მონაწილეობა გამოიკვეთოს, ხურჩის ინციდენტიც ხომ ამათი მოწყობილია, სხვა დივერსიების ავტორებიც ესენი არ იყნენ? სტალინურ რეპრესიებზე რომ ლაპარაკობენ, ნაციონალებმა ნაკლები რეპრესიები მოუწყვეს საკუთარ ხალხს, მაშინ მამაკაცებს არ აუპატიურებდნენ მაინც. კომუნისტებს ბევრი კარგიც ჰქონდათ ქვეყნისთვის გაკეთებული, ყველაფერი საბჭოური თუ აკრძალეს, ეს ბოლშევიკური რეჟიმის ცუდი გადმონაშთები, თანამედროვე ეჟოვები რა გახდნენ? ქართველი ხალხისთვის ყველაზე სამარცხვინო ისაა, რომ ამ დამნაშავე ძალას თურმე არ აკმაყოფილებს მიღებული ხმების რაოდენობა, მეტზე აქვთ პრეტენზია. იმაზე მეტი სულში ჩაფურთხება რა არის, როცა ნაცმოძრაობა ისევ მეორე პოლიტიკური ძალაა, ეს არ ყოფილა საქართველოს მოსახლეობის დაკვეთა. უნდა მოშორდნენ ესენი პოლიტიკურ ველს და ამისთვის სხვა ოპოზიციურმა პარტიებმაც უნდა იაქტიურონ.

რაც შეეხება მარნეულის ინციდენტს, ეს როგორც გითხარით სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოძიებული, იქ ძალიან ცუდი პროცესები განვითარდა, ვინ მისცა მათ პოლიციელზე ხელის აღმართვის უფლება. ნაციონალებისა და ბურჭულაძის მხარდამჭერებმა პოლიციელები შენობაში ჩაკეტეს და სპეცრაზმი რომ არ შესულიყო, დახოცავდნენ. მარნეულის პოლიციის უფროსი საავადმყოფოში მოხვდა და ეს ვანდალები კიდევ როგორ ბედავენ სხვის ძალადობაზე ხმის ამოღებას. ნაციონალების მაჟორიტარობის კანდიდატი იმამყულიევი მეორე ტურში მონაწილეობაზე კი არ უნდა ლაპარაკობდეს, ციხეში უნდა იჯდეს. ყველას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ვინც ეს საშინელება ჩაიდინა, გაარკვიონ რა „წვლილი“ მიუძღვის ამ ყველაფერში პაატა ბურჭულაძეს და მასაც მოსთხოვონ პასუხი. ქვების სროლა, დარბევა, ჩაკეტვა პირველად არ მომხდარა მარნეულის რაიონში. 2003 წელს ქართველ ბიზნესმენებს მიწის ფართობები ჰქონდათ ყულარში, აზერბაიჯანელები



სისტემატურად უვარდებოდნენ, ეს მიწა ჩვენიაო. ერთ-ერთი ინციდენტისაც ვიღაც აზერბაიჯანელი გარდაიცვალა, ჩამოვიდნენ აზერბაიჯანული ტელევიზიები, პარლამენტარები, ატყდა ერთი აურზაური და ის ქართველები აიძულეს მიწები დაეთმოთ. საქართველო ტერიტორიაა, ყველა ქვეყანა ტერიტორიისგან შედგება, თუ ტერიტორია არ აქვს, ქვეყანაც აღარ არსებობს, რჩება მხოლოდ ერი, ამის მაგალითი ქურთები არიან, მრავალმილიონიან ერს ქვეყანა არ აქვს. ჩვენ ასეთი პოლიტიკით, ცოტა ხანში ქვეყანა აღარ გვექნება. ჩვენს შეცდომებზეც კი ვერ ვსწავლობთ ჭკუას, ამ დათმობის პოლიტიკამ დაგვაკარგვინა აფხაზეთი. ჩადის საქართველოს პრეზიდენტი ქვემო ქართლში და აზერბაიჯანულად მიმართავს იქაურებს, უცხო ქვეყანაში ჩავიდა? შენ თუ პატივს სცემ იმ ეთნოსს და მის ენაზე მიმართავ, იმანაც გცეს პატივი და ისწავლოს შენი ენა. რატომ არ სწავლობს ის ხალხი სახელმწიფო ენას. საქართველოს მოქალაქეობა არ უნდა მისცე იმ ადამიანს, ვინც სახელმწიფო ენა არ იცის. ერთი რამ უნდა იცოდეს საქართველოს ყველა ხელისუფლებამ, თუ ეროვნულ პოლიტიკას არ გაატარებენ, არცთუ მთლად სახარბიელო სახელით შევლენ საქართველოს ისტორიაში. თუ მათ საქართველო უყვართ, დაიწყონ ამაზე ფიქრი.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 77

# ცუდი „ნაციონალები“ იმ კარგმა მოქალაქეებმა აირჩიეს, რომლებიც არჩევნებზე არ მივიდნენ

7 გვ. →

მა მიიღეს?.სხვისი არ ვიცი და მე უფრო მშვიდად ვიქნებოდი, რომ მცოდნოდა არჩევნები გაყალბდა ვიდრე ეხლა, როცა ვიცი ნახევარი9 მილიონი სულგაყიდული ზომბი თანამემამულე მყავს, რომლებსაც არ ძალუძთ სწორი არჩევანის გაკეთება და სიამოვნებას ანიჭებთ გიჟების და კრიმინალების მიერ მართვა... „ხალხი, რომელიც ირჩევს მექრთამეებს, მოღალატეებს, მატყუარებს, ქურდებს და თაღლითებს, მსხვერპლი არ არის! არამედ თანამონაწილეა“. ეს სიტყვები ჯორჯ ორეულს ეკუთვნის და ნაც მხარდამჭერებს ხშირად უნდა ვუმეოროთ. ნაცმოძრაობა არის კიბო რომელიც შიგნიდან ღრღნის საქართველოს და გარეშე მტრისათვის კიდევ უფრო აიოლებს საქართველოს მონელებას.

ომს არ იგებენ მხოლოდ ერთი მეთოდით და ერთი სახეობით. ყველა დასაშვები მეთოდი მისაღებია.ნაცმოძრაობისთვის რიგ სამხედრო მოსამსახურეებს როგორც ჩანს საუკუნო ფიცი აქვთ მიცემული და მათი გულებიც უხილავი ჯაჭვითაა გადაბმული. ავლანეთში ბაგრამის საარჩევნო უბანზე „ქართულმა ოცნებამ“, ხოლო მაზარი შარიფის უბანზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვა, თუმცა საერთო ჯამში, ხმების უმეტესობა ავღანეთში „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო. კერძოდ, ბაგრამის საარჩევნო უბანზე ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა 1471 იყო,არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 1171, მიღებული ბიულეტენების რაოდენობა კი 1500 იყო.აღნიშნულ უბანზე ხმების გადანაწილების მიხედვით, პირველი სამეული ასე გამოიყურება: „ქართული ოცნება“ – 564 ხმა, „ნაციონალური მოძრაობა“ – 232 ხმა, „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“ – 214 ხმა.



რაც შეეხება, მაზარი შარიფის საარჩევნო უბნის შედეგებს, სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა 132 იყო, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 132, მიღებული ბიულეტენების რაოდენობა კი, 150 იყო. აღნიშნულ უბანზე, მიღებული ხმების შედეგად, პირველი სამეული ასე გამოიყურება – „ნაციონალური მოძრაობა“ – 65 ხმა, „ქართული ოცნება“ 50 ხმა, „ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები“ – 7 ხმა. ავღანეთში საქართველოს საპარლამენტო არჩევნები 5 ოქტომბერს გაიმართა. აღნიშნულის შესახებ სოციალურ ქსელში თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი წერდა – „არ ვიცი რა ვთქვა, ალბათ, ეგ დემოკრატიაა. თუ ჯარისკაცი მთავარსარდალს არ აღიარებს მაშინ რისთვის იბრძვის. თუმცა ესეც დემოკრატიის ნაწილია ალბათ.

თუმცა რა არის გასაკვირი როცა ამ დილით მთავარსარდალი აცხადებს რომ მრავალპარტიულ პარლამენტს დაუჭირა მხარი. აი როგორი სხვისი სამშობლოს დამცველელები გვყოლია. საინტერესოა ეს რომ წინა „მიშას ცხოვრებაში“ მომხდარიყო რა ელოდათ სამხედრო მოსამსახურეებს დახვრეტა თუ ჩამოხრჩობა?

სოციალური ქსელი „აფეთქდა“ მარნეულში მომხდარი ინციდენტის გამო, გავრცელდა ვიდეო მასალაც, რომ არა პოლიციის და სპეცნაზის ოპერატიული ჩარევა, უმართავი პროცესები დაიწყებოდა რასაც აანონსებდნენ ნაცლიდერები. აღნიშნული ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატმა აჰმედ იმამკულიევმა ჟურნალისტებთან განაცხადა – „ქართულმა ოცნებამ დღეს იზრუნა, რომ მარნეულში არჩევნები არ ჩატარდეს მშვიდად და გაყალბდეს არჩევნები. ეს ყველაფერი ეკისრება ქართულ ოცნებას, ბატონ კვირიკაშვილს და მუნიციპალიტეტში მყოფ სუს-ის უფროსს, ბატონ ილია ძმანაშვილს, ჩვენ მივდივართ ჩვენს ოფისთან და ერთად დავიცავთ ჩვენს ხმებს. ჩვენ საქართველოში“. როგორი მშვიდი გარემო შექმნა იმამკულიევმა ვიდეომასალაში კარგად ჩანს, სამართალდამცავებს ქვებს ესროდნენ, ლეწავდნენ და არბევდნენ ყველაფერს, მან საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა ახალგაზრდების დიდი ჯგუფი რათა გამოეწვია ეთნოკონფლიქტი მადლობა სამართალდამცავებს, რომ ოპერატიულად აღკვეთეს სისხლისღვრის მცდელობა რომელიც დიდმა იმამმა ოდესაში დაგეგმა და პირადად გააცნო იმამკულიევს მიმდინარე წლის 25-26 ივნისს როცა ბათუმიდან სხვა ნაცკანდიდატებთან ერთად ოდესაში ეწვია, საინტერესოა სპეცსამსახურები წინახელისუფლების დროს ძებნილ, კრიმინალ პოლიტიკურ სუბიექტს, რომ წვეოდნენ რამდენი წლით და რომელი სს კოდექსის მუხლით გაამწესებდნენ ციხეში? ისიც მაინტერესებს მოეწონა ოდესაში პრეზიდენტის რეზიდენცია აჰმედს? ალბათ პრეზიდენტობაზეც იოცნება წამიერად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოდესაში მიშას ტრეინინგზე იმყოფებოდნენ სხვა ნაცკანდიდატებიც, ნუგზარ ნონიკაშვილი – კასპი, რამინ ბაირამოვი – გარდაბანი, მამუკა ჩიქოვანი – რუსთავი, გიორგი ბოტკოველი – თელავი, გურამ კაკალაშვილი – ლაგოდეხი, შაქრო ტერტერაშვილი – ახმეტა, გიორგი თევდორაძე – ქუთაისი, გიორგი რობაქიძე – ხარაგაული, მამუკა ჭოხონელიძე – ხობი, თეიმურაზ დუმბაძე – ბათუმი, დავით კირკიტაძე და სხვები სულ 65 კაციანი ჯგუფი. ოდესაში მიშას საქართველოდან თითქმის სულ სტუმრები ყავდა. ვიფიქრე რომელიმეს შევეხმიანები და ვკითხავ რას აკეთებდი ამა და ამ დღეს ოდესაშითქო,მაგრამ მერე პარტიზანი მებაღის პასუხი გამახსენდა და გადავიფიქრე, თან ისედაც ზედმიწევნით ზუსტ ინფორმაციას ვფლობდი როგორ ტრეინინგებს ატარებდა მიშა ოდესაში და როგორ ურეცხავდა ტვინს „სამმოს“ მიერ შერჩეულ ობიექტებს.... მიუხედავად ყველაფრისა ქართულმა ოცნებამ არჩევნები მოიგო, ნაცების დაანონსებული პროგნოზები მათ შორის ბიძინა ივანიშვილის გაქცევა, მიშას ჩამოსვლა ზღვით თუ გვირაბით და სხვა სისულელეები რომლებსაც მათ მიერ მართული მედია აქტიურად ავრცელებდა რასაკვირველია არ გამართლდა. საერთაშორისო საზოგადოებამაც დადებითად შეაფასა ჩატარებული არჩევნები. მეორე ტური არსებითად შედეგებს ვერ შეცვლის.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ხანდახან მეეჭვება – სიურრეალისტურ სამყაროში ხომ არ ვცხოვრობთ?

## ინტერვიუ თბილისის საკრებულოს დეპუტატთან, ბატონ სოსო მანჯავიძესთან



**— კმაყოფილი ხართ, ბატონო სოსო, არჩევნების შედეგებით, რა პროგნოზები გქონდათ და გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინები 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით?**

— პატერიკიდან ერთი ამბავი გამახსენდა: წმინდა ეფრემ ასური მიდის. ხედავს, ხეზე ეშმაკები სხედან, ხარხარებენ, თამაშობენ, ხელ-ფეხს იქნევენ. წმიდა მამამ ჰკითხა: თქვენმა ბატონმა არ იცის, თქვენ უსაქმოდ რომ ხართ? დაგსჯით, არ გეშინიათ მისიო? ეშმაკებმა უპასუხეს: ჩვენ რაღა უნდა გავაკეთოთ, ადამიანები აკეთებენ ჩვენს საქმეებსო. რაც შეეხება ჩემს მოლოდინებს, დაახლოებით ველოდი ისეთ შედეგებს.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საინფორმაციო უპირატესობა მოწინააღმეგე ძალას ჰქონდა. ინფორმაციებით მოსახლეობის მომარაგება და განწყობების შექმნა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით, „ნაცმოძრაობის“ რუპორს „რუსთავი-2“-ს და მის კლონებს ეპყრა ხელთ. ქართველი ხალხი საჯიჯგნად დაუტოვეს საინფორმაციო მონსტრს, რომელმაც ადამიანების გონება გამოავსო საინფორმაციო შხამებით და მივიღეთ შედეგი — 26-27% მხარს უჭერს „ნაცმოძრაობას“ იმის მიუხედავად, რაც საკუთარი თვალით ნახეს 9 წლის მანძილზე და რაც საკუთარ ტყავზე გამოსცადეს, მხარი დაუჭირეს სახელმწიფო ტერორის განმხორციელებელ ჯგუფს. 26%-ზე მეტმა მისცა ხმა „ნაცმოძრაობას“, მაგრამ მათთან ღიად აფილირებულ პარტიებსაც ხომ დაუჭირეს მხარი, იგივე ლეიბორისტებს, ბურჭულაძეს... მიზეზი, რის გამოც ეს მოხდა, არის ერთადერთი — ქართველი ხალხი პირისპირ დატოვეს საინფორმაციო ურჩხულთან. მეორე მიზეზი ის ყბადაღებული კოჰაბიტაცია გახლავთ, რომლის ფორმასა და ზნეობრივ მხარეზე საუბარიც კი შეურაცხმყოფელია. ის აბსურდი, როცა პარლამენტში სხედან ორი ძალის წარმომადგენლები და მმართველი ძალა ღიად ეუბნება ე. წ. ოპოზიციას, რომ არიან დამნაშავეები, მკვლელები და მეორე დღეს ისევ ერთად სხედან და მუშაობენ. ამან ხალხში ზნეობრივი ორიენტირების მოშლა და დადამბლავება გამოიწვია. ამ გაუგონარმა ექსპერიმენტმა განაპირობა ყველაფერი.

**— კოჰაბიტაცია თავსმოხვეული იყოო.**

— რა მნიშვნელობა აქვს, თავსმოხვეული იყო თუ ხელსმოხვეული. მე ვლაპარაკობ ფაქტზე. არავინ იწყებს ამაზე ფიქრს, მოქალაქეები ხედავენ ფაქტს და ეს ფაქტი უტყუარია.

სახელმწიფო უნდა იყოს თავის სიმაღლეზე.

სამართლის ქმნის მაგივრად მივიღეთ აბსურდული სიტუაცია, რამაც, კიდევ გავიმეორებ: საზოგადოების ზნეობრივი დამბლა გამოიწვია და მივიღეთ ის, რომ ხმა მისცეს პარტიას, რომელიც ღიად დემაგოგობს, ღიად იტყუება.

რამდენჯერ დავახასიათო „ნაციონალური მოძრაობა“, უკვე აღარ ვიცი.

ამ პარტიას საკუთარი ნებით მოსახლეობის 26-27 % რომ მისცემს ხმას. მოვლენების შემდგომი განვითარება აღარ უნდა გაგვიკვირდეს.

**— გასაგებია, მაგრამ მოსახლეობას რატომ არ აქვს სოლიდარობის განცდა. 9 წლის განმავლობაში თვითონ თუ არა, სხვა — მეზობელი, ახლობელი, ნათესავი ხომ შეეწირა, ხომ დაიჩაგრა რეპრესიებისგან?**

— ყველა ქვეყანაში ხალხში ძლიერია სახელმწიფოებრივი წესრიგის მოთხოვნილება. „რუსთავი-2“-მა თავისი საინფორმაციო პოლიტიკით დაამკვიდრა აზრი, რომ „ნაცმოძრაობის“ დროს იყო წესრიგი, ხოლო „ქართული ოცნების“ მმართველობისას არის ქაოსი. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის ნაწილმა გამოიტანა დასკვნა, რომელი დასკვნისკენაც მიზანმიმართულად მიჰყავდათ ისინი. თითქოს „ნაცმოძრაობა“ სახელმწიფოებრივად გამართულ სისტემას ქმნიდა და წესრიგისკენ მიისწრაფვოდა და ვისაც იჭერდნენ, თითქოს იმიტომ, რომ აუცილებელი იყო ეს სახელმწიფოს ძლიერებისთვის და ის ადამიანები, რომლებმაც ხმა მისცეს, დარწმუნებულნი არიან, რომ პატრიოტული მოსაზრებით მისცეს ხმა სახელმწიფოს წესრიგს, ამით, მათი აზრით, კარგ საქმეს აკეთებენ. ცხადია, ზომბირებულები არიან.

პიარტექნოლოგებმა იციან ადამიანის მოთხოვნილებები და ამომრჩეველიც მოქმედებს ამ სქემის მიხედვით. იმიტომ რომ, შეეხო მათ ძირეულ მოთხოვნილებებს წესრიგის, მშვიდობიანობის თვალსაზრისით. ამის გამო არ შეიძლებოდა ასე მიშვება „რუსთავი-2“-ის და სხვების. რამდენჯერ მითქვამს ეს და შედეგებიც სახეზეა.

**— მეტიც, ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სატელევიზიო შოუებში.**

— ვითომ „რუსთავი-2“-ს ამხელდნენ და ამავე დროს უწევდნენ რეიტინგს...

ბოლო ოთხი წელი, რამენაირად, შეიძლებოდა გამართლებული ყოფილიყო, მაგრამ აწი, არ ვიცი, რა მოხდება. სამწუხაროა, რაც ხდებოდა ამ კუთხით, ეს იყო ხელისუფლების ე. წ. ახლომხედველური პოლიტიკა, სქემა, რომელიც შემდეგი ოთხი წელი ნამდვილად ვეღარ იმუშავებს და მკვეთრად უარყოფით რეაქციებს გამოიწვევს. რაც შეეხება თვით ამ რეაქციებს, იმის შედეგი იყო, რომ ხალხს კარგად ახსოვდა „ნაცმოძრაობის“ „გმირობები“ და ეშინოდათ, არ დაბრუნებულიყვნენ. აქედან გამომდინარე, მხარს უჭერდნენ „ოცნებას“. ხელისუფლებაში ვისაც ჰგონია, რომ რაიმე შედეგს მიაღწია, მწარედ ცდება!

ეს არ არის გამარჯვება.

ეს არის მძიმე და დამაფიქრებელი ფაქტი. რის შედეგებიც მალე გამოჩნდება...

ჩვენთვის, ვინც ვიბრძოდით „ნაცმოძრაობის“ წინაღმდეგ, ეს შედეგები აბსოლუტურად მიუღებელი, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია. კიდევ მეტად შეურაცხმყოფელია „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენლის გამარჯვებული სახის ყურება — თავის ჩრდილთან წააგეს, აი, ეს არის სიმართლე!

ზოგიერთმა თავიანთი გულგრილობით ქართველი ხალხის ძირითადი გულისწყრომა გადაატარეს გაურკვეველ თამაშს და ლაციცს.

მოკლედ, რეალობამ თავი იჩინა. ყველამ დაინახა, რაც მოხდა — „ქართული ოცნების“ პოლიტიკამ მიგვიყვანა „ნაცმოძრაობის“ რეაბილიტაციამდე.

ახლა, როცა ამხელა ლეგიტიმაცია მიიღო „ნაცმოძრაობამ“, კრიზისის შექმნა უკვე ადვილია და ისინი შეეცდებიან, ეს გააკეთონ.

როცა ამხელა პროცენტი გაუფორმდათ, მათთვის საერთაშორისო ლობისტები თანხებსაც არ დაიშურებენ. მოკლედ, მათ ლეგიტიმაციაც აქვთ და სხვადასხვა ფინანსური წყაროებიც, რომ ჯერ კრიზისი შექმნან ქვეყანაში და მერე ხელისუფლებაში დასაბრუნებლად იბრძოლონ საერთაშორისო გარანტიების მოპოვებისთანავე.

**— ქართველი ამომრჩეველი მართლა პასიური იყო?**

— საქართველოში არის 3 537 000 ამომრჩეველი. სტატისტიკის ეროვნულმა სააგენტომ დაადასტურა, რომ სინამდვილეში არის 3 700 000 ადამიანი. რაც ნიშნავს, რომ ამომრჩეველი ვერ იქნება 2 800 000-ზე მეტი. არჩევნებზე მივიდა 1 800 000, ცოტა მეტიც, ანუ 70%-ზე მეტი, ამიტომ ხალხის დადანაშაულება, არჩევნებზე არ მოვიდაო, არის აბსურდი. პირიქით, უმაღლესი აქტივობა იყო. ამომრჩეველმა გამოიტანა ვერდიქტი. 1 800 000 ადამიანი მივიდა არჩევნებზე და აღმოჩნდა, რომ ამ 1 800 000-დან დაახლოებით, 500 000 მხარს უჭერს „ნაცმოძრაობას“. ამას გარდა, ნაწილმა შალვა ნათელაშვილს მისცა ხმა, ნაწილმა ბურჭულაძეს, სხვებს. ეს კარგი შედეგი რანაირად არის, არ მესმის, იმ დროს, როცა ფლობ სახელისუფლო რესურსს...

**— მეორე ტურის შემდეგ სხვა შედეგები დაიდება.**

— კი, ბატონო, „ქართული ოცნება“ კიდევ დაიმატებს ხმებს და მიიღებს საკონსტიტუციო უმრავლესობას.

მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის. პასუხისმგებლობა ექნება „ქართულ ოცნებას“. „ნაცმოძრაობა“ მაინც ერთგვარ პრივილეგიაში იქნება. ნებისმიერ ინიციატივას გააკრიტიკებს, მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ნელ-ნელა გაქრება. გიგა ბოკერიას ბოლოდროინდელი განცხადებების გამო ნებისმიერ სახელმწიფოში დააპატიმრებდნენ. იგივე გივი თარგამაძე, ააფეთქეს თუ აიფეთქა თავი, როგორ ფიქრობთ, ვინმე ამაზე რეაგირებას მოახდენს? სახელმწიფო გადატრიალებას რომ აწყობდნენ ღია ეთერში, ვინმე დაისაჯა? ყველაფერი სიურრეალისტურ სამყაროს ჰგავს. ჯერ არნახული, არგაგონილი ამბები ხდება, ელემენტარული სამართლებრივი პრინციპები არ ხორციელდება...



ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# საკვირველია, როგორ აღმოჩნდა არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ გვერდით ნახევარი მილიონი ადამიანი, როცა სამი დღით ადრე, დასკვნით მიტინგზე 20 000 კაცს ძლივს მოუყარეს თავი?

## გვესაუბრება პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე



**— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს, შედეგით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

— დავიწყოთ სანდოობის საკითხიდან, ოპოზიცია, განსაკუთრებით, „ნაციონალები“ არჩევნების გაყალბებაზე საუბრობს. არადა, ამ დროს, ყოველთვის რაღაცას უნდა ეყრდნობოდე. მაგალითად, 2003 წელს როცა სააკაშვილი გაყალბებაზე ალაპარაკდა ერთი მხრივ, სოციოლოგიას, ხოლო, მეორე მხრივ, პარალელურ დათვლას ეყრდნობოდა, რომელსაც შემდგომში მისი ხელისუფლების მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი აწარმოებდა. ეს თავისთავად იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში გამოცდილმა სააკაშვილმა გაყალბების კონტროლის ყველა წერტილში, მეტ-ნაკლებად, თავისი გავლენა გაატარა და სასურველი შედეგი მიიღო. გადმოვინაცვლოთ დღევანდელ არჩევნებზე: ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები და ეგზიტპოლები, რაც „ქართულმა ოცნებამ“ შემოგვთავაზა, ცესკოს შედეგებს ციფრობრივად ემთხვევა. მეორე მხრივ, პარალელურმა დათვლამაც იგივე სურათი დადო. მესამეც, უცხოელმა თუ ჩვენმა დამკვირვებლებმა დააფიქსირეს რამოდენიმე დარღვევა, ოღონდ არა იმ ოდენობის რომ არჩევნებზე გავლენა მოეხდინა. მაგალითად, „რესპუბლიკელებმა“ აღიარეს — იყო დარღვევები ოღონდ, იმდენად უმნიშვნელო რომ ეს საბოლოო შედეგში ცვლილებას ვერ შეიტანდა. სამწუხაროდ, სხვა პარტიებს, ამ ჭრილში, განცხადება არ გაუკეთებიათ. სხვები, მათ შორის, „ნაციონალები“ გაიძახიან, რომ ამ დარღვევების გამო არჩევნები ბათილად უნდა გამოცხადდეს. უცხოელმა დამკვირვებლებმაც აღნიშნეს, რომ დარღვევების რიცხვი საბოლოო შედეგზე გავლენას ვერ მოახდენდა. გამოდის, რომ ოპოზიციური ჯგუფი „ნაციონალები“ და „ლეიბორისტები“ როცა დარღვევებზე და შედეგების გაუქმებაზე საუბრობენ, ეს აბსოლუტურად, არანაირ საფუძველს არ ეყრდნობა. ასეთი უსაფუძვლო განცხადება მათ სასაცილო მდგომარეობაში აყენებს. არჩევნების ყველაზე მთავარი მონიტორი მოსახლეობაა. 2003 წელს მოსახლეობას ჰქონდა პროტესტი, იმის განცდა, რომ რაღაც ისე არ მოხდა როგორც საჭირო იყო. მაშინ პროცესების ლიდერი სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ იყვნენ. ამ დროს კი ლიდერად გამოცხადდა „მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც მოსახლეობისთვის მიუღებელი იყო. სწორედ ამ განცდამ გამოიყვანა ხალხი ქუჩაში. მაშინ მთლიანი კლიმატი საპროტესტო იყო. ამჯერად, ასეთი კლიმატი არ არის. დღეს, მოსახლეობა წყნარი სახით დადის ქუჩაში — მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო, მივიღეთ ის სურათი, რაც უნდა მიღებულიყო. დღეს, ხალხის განწყობა მიღებულ შედეგს ემთხვევა. სწორედ, ესაა გადამწყვეტი. ამ განწყობის გამოა, რომ მავანს რევოლუციური სცენარი ჩაეშალა. ანუ, მოსახლეობის განწყობისთვის მიუღებელი არ არის ის, რომ „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზეა. თუმცა, საზოგადოებამ ისიც კარგად დაინახა, რომ პირველ ადგილზე ყოფნის მიუხედავად შედეგი მთლად სახარბიელო არ არის. „ქართულ ოცნებას“ 98% რომ მიეღო, მაშინ ტალღა აიწევდა. მაგრამ ის შედეგი რაც დაიდო დაახლოებით, ეხმიანება განცდას, რომ „ქართული ოცნება“ „ნაციონალებს“ ბევრად გვირჩევნია. პრინციპში, ეს დამოკიდებულება გადამწყვეტია, რაც სხვა ყველაფერს გადაწონის. იმიტომ, რომ ადამიანს თავის ინტუიციის უფრო სჯერა, ვიდრე ცხრა ათასი ექსპერტის ერთად აღებული. ამიტომ, ამ კრიტერიუმითაც გამოდის, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა. მეორე მხრივ, რასაც ზემოთ ნახსენები ოპოზიციური პარტიების ჯგუფი ამბობს, ეს მათ ვნებს იმ მხრივ, რომ მათდამი რწმენა ძალიან სუსტდება. ე.ი. ისინი არიან პარტიები, რომელთაც ღირსეულად წაგებაც არ შეუძლიათ.

**— ბატონო რამაზ, რაც შეეხება დაანონსებულ ბოიკოტს, რას მიაღწევს ამით ოპოზიცია?**

— რაც შეეხება ბოიკოტირებას, ეს ილეთი ქართული პარლამენტარიზმის უახლეს ისტორიაში რამოდენიმეჯერ გამოიყენეს. იგივე, შალვა ნათელაშვილი ბოიკოტის გამო პარლამენტში სხდომებზე არ შედიოდა. რა შედეგი მიიღო? არც არაფერი. მთავარია ქვორუმი იკრიბება. ამიტომ, მეეჭვება ეს გზა თვითონ ამ პარტიებისთვის მომგებიანი აღმოჩნდეს. მათთვის არც საპროტესტო აქციაა მომგებიანი. იმიტომ, რომ იმას აპროტესტებენ რაც მოსახლეობის განწყობას არ ემთხვევა. ამიტომ, ეს პროტესტი რბილად რომ ვთქვა ღიმილიან დამოკიდებულებას იწვევს. თუ არ უნდათ ნუ შევლენ პარლამენტში, მერე რა?! ადრე, არც „ლეიბორისტების“ პარლამენტში შეუსვლელობით მიგვიღია სერიოზული დრამა. მით უმეტეს, მათი არგუმენტები, რატომ უნდა ჩატარდეს ხელმეორედ არჩევნები, გაუგებარია. საერთოდ, ჩვენი პარტიები სისულელის თქმას არ ერიდებიან, ჰგონიათ, რომ თუკი ბეჯითი სახით რაიმე არაადეკვატურს იტყვიან, მათი ბეჯითი სახე ამ არაადეკვატურობას გადაფარავს. სინამდვილეში, არ ფარავს და მათზე წარმოდგენა ფუჭდება. ავიღოთ, თუნდაც ნათელაშვილი, იგი ერთ-ერთი ნიჭიერი კაცია ქართულ პოლიტიკაში, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ გადააჭარბებს-ხოლმე, ისეთ რამეს ამბობს, რასაც სერიოზული საფუძველი არ გააჩნია, მისდამი დამოკიდებულებაც არასერიოზულია. თორემ, „ლეიბორისტები“ წესით, დღეს, ერთ-ერთი წამყვანი პარტია უნდა იყოს. ნათელაშვილი არასერიოზულ დამოკიდებულებას აჩენს მათში, ვისთვისაც მემარცხენეობა შეიძლება მნიშვნელოვანია. ჩვენ პოსტ.საბჭოთა ქვეყანა ვართ და ყველა ჩვენგანი თავისი მენტალიტეტით, გულის სიღრმეში მემარცხენეა, მაგრამ ნათელაშვილს არავინ მიჰყვება. იმიტომ, რომ მას სერიოზული შთაბეჭდილების მოხდენის უნარი აკლია. ჩვენთან, პარტიები, ძალიან ხშირად იწყებენ თავიანთ საქმიანობას არადამაჯერებელი განცხადებებით და მერე, რაც დასაჯერებელია, იმასაც აღარ უჯერებენ. ამ პრობლემას ვაწყდებით დღეს მათი საპროტესტო აქციებით. შედეგად, თავად ეს პარტიები აღმოჩნდებიან დისკრედიტირებული.

ამ ფონზე, ისიც საკვირველია როგორ აღმოჩნდა „ნაცმოძრაობის“ გვერდით ის ხალხი, ვინც მათ ხმა მისცა. ეს საკვირველია თუ სატირალია არ ვიცი, მაგრამ ფაქტია რომ სერიოზული პროცენტი მიიღეს, რაც წესით არ უნდა მიეღოთ. ასეთი წვრილმანი ტყუილებით, იმ ტიპის მუქარებით, რომ დესტაბილიზაციას გამოიწვევენ, ქვეყანას დაანგრევენ თუ იმას არ გავაკეთებთ რაც უნდათ, ისინი სიმპატიას ვერ დაიმსახურებენ. ასე თუ გააგრძელეს მომდევნო არჩევნებში საზოგადოების დიდი ნაწილი ეცდება „ნაციონალები“ პოლიტიკური არენიდან გაიყვანოს. აი, ამას მიაღწევენ.

**— ბატონო რამაზ, 2012 წლის არჩევნებში „ნაციონალებმა“ 40% მიიღეს, რაზეც ყველა საუბრობდა, რომ ეს შედეგი გაყალბებულია. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობები არსად გამქრალა, მაგრამ მათ ახლაც მაღალი პროცენტი აიღეს. რა ხდება, რით არის ყოველივე განპირობებული?**

— 2012 წელს გაყალბების მექანიზმმა მაგრად იმუშავა. „ნაცებს“ გაყალბების ყველა ბერკეტი ხელთ ჰქონდათ ამიტომაც მიიღეს 40%. მეორე დღეს „ენ-დი-აის“ კვლევა ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ მათ მხოლოდ 10%-მა მისცა ხმა. დაახლოებით, 10-15% „ნაცებზე“ ფანატიკურად შეყვარებული რჩება. ჩვენ ასეთი ფანატიკური სიყვარული გვინახავს, ამას არაფერი ეშველება. ამჟერად, ეს 10% უფრო მაღლა იმიტომ ავარდა, რომ არჩევნებზე მოსახლეობის მცირე ნაწილი გამოცხადდა. „პატრიოტთა ალიანსი“, ალასანია, ნათელაშვილი უფრო დამაჯერებლები რომ ყოფილიყვნენ, აქ, უკვე „ნაცმოძრაობა“ დაიკარგებოდა. სამწუხაროდ, თავად პარტიები არ ზრუნავენ, რომ დამაჯერებელნი იყვნენ. ალასანიამ შეცდომა დაუშვა როცა მინისტრობიდან წამოსვლისას განაცხადა, ქვეყანამ კურსი შეიცვალაო. როცა ასეთ საპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებ, რომელსაც დასავლეთი უსმენს, ე.ი. ქვეყანას წირავ. თან იმ ფონზე, როცა ამის არგუმენტი რეალურად არ გაქვს. პოლიტიკური ფიგურების დიდი ნაწილი არ ფიქრობს მათი ნათქვამი მათ იმიჯს როგორ უბრუნდება. სანამ ასეთი სიტუაციაა ყოველთვის გაიმარჯვებს ან ფანატიკური სიყვარული, ან ადმინისტრაციული რესურსი და ა.შ. და პარტიული, პოლიტიკური ავტორიტეტი გადამწყვეტი არ იქნება. აქ, მეტ-ნაკლებად „ქართული ოცნების“ ავტორიტეტი იყო გადამწყვეტი, პირველ რიგში, ივანიშვილის. მაგრამ სხვა პარტიებში ასეთი ავტორიტეტი არ გვაქვს. ყველა პოლიტიკური ლიდერის მიმართ დამოკიდებულება არასერიოზულია. ეს საზეიმო არაა, ქვეყნისთვის ძალიან ცუდია, რაც ამ ფიგურებისთვის წესით, დამაფიქრებელი უნდა იყოს. ავიღოთ, „რესპუბლიკელები“, ამას წინათ ხიდაშელმა განაცხა-



და: ბიძინა ივანიშვილი გვებრძვის, ჩვენს მიმართ კრიტიკულიაო. ივანიშვილის კრიტიკულობა არაა პრობლემა. „რესპუბლიკელების“ პრობლემა იმაშია, რომ თავად საზოგადოებას არ სჯერა მათი, ანუ კრიტიკული თავად საზოგადოებაა, რაც ამ არჩევნებმა აჩვენა. პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე ახალბედა ახალგაზრდასთან ასეთი სხვაობით რომ წააგებს, ე.ი. ზოგადად, „რესპუბლიკელების“ მდგომარეობაა ცუდი. ხალხს მათი სიტყვის, ქვეყნისადმი ერთგულების, პატიოსნების არ სჯერა. მიიჩნევენ, რომ რაც მათთვის ხელსაყრელია იმ პოზიციას იკავებენ და არა ისეთს, რაც გულიდან მოდის. გამოიკვლიონ მათ მიმართ დამოკიდებულების რეალური მიზეზები და მერე ეცადონ იმიჯი შეცვალონ, მაგრამ ამას არ აკეთებენ. საკუთარ პოლიტიკურ იმიჯზე ზრუნვა პრაქტიკულად, ყველას აკლია. უაღრესად მომხიბვლელი ქალბატონია ნინო ბურჯანაძე. მას უზარმაზარი პოტენციალი ჰქონდა პოლიტიკაში მყარად მოსულიყო, მაგრამ რუსულმა ლოზუნგებმა საზოგადოება დააფრთხო. ანუ, იმიჯზე არც მან იზრუნა. ეს პრობლემა ყველა პოლიტიკურ ძალაშია, მათ შორის მათში, ვინც დღეს პროტესტს აპირებენ, ეს მათ იმიჯს ძალიან დააზარალებს.

**— „ნაციონალები“ კვლავ პარლამენტში იკავებენ ადგილს. ამჯერად მაინც თუ უნდა შეფასდეს ეს დამნაშავე რეჟიმი და როგორ წარმოგიდგენიათ „ნაცებისა“ და „ქართული ოცნების“ თანამშრომლობა.**

— დიახ, მოდით ასეთ ფორმულირებაზე შევთანხმდეთ, რომ პარლამენტში არსებითი ძალები ისინი იქნებიან. სხვები რომც შემოვიდნენ გადამწყვეტ როლს ვერ შეასრულებენ. თუმცა, პრობლემა რაზეც ზემოთ ვისაუბრე მმართველ პარტიაშიც არის, საკუთარ იმიჯზე არც მან იფიქრა. მას რომ იმიჯზე ეფიქრა საარჩევნო კამპანიის დასაწყისში რეიტინგის პრობლემა არ გაუჩნდებოდა. ასევე, საარჩევნო კამპანიის დასაწყისში არ დაუდგებოდა ამოცანა — აბა, ხალხს შევატყობინოთ რა მიღწევები გვაქვსო. ეს იმიჯის მიმართ დაუდევრობაა. ამ არჩევნებით მმართველმა პარტიამ შეიძლება ისწავლოს, რომ ასეთი მიდგომა ცუდია იმიტომ, რომ მას გამარჯვება გაუჭირდა, ფაქტობრივად, იგი საარჩევნო კამპანიამ გადაარჩინა, იგივე, ახალი სახეების შემოყვანამაც, ლექსიკის განახლებამ. რაც შეეხება თქვენს კითხვას, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ კუთხით ძვრები იქნება. ასე შემთხვევით როდი ვფიქრობ — ერთ-ერთ ინტერვიუში ივანიშვილმა თქვა: მოსახლეობა ჩვენით უკმაყოფილოა იმიტომ, რომ სამართლიანობის აღდგენა ვერ მოვახერხეთო. ეს მართალია. მათი იმიჯის გაფუჭებაში ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. სავარაუდოდ, ამ მიმართულებით, ნაბიჯებს გადადგამენ. მაშინ დასავლეთი ითხოვდა პოლიტიკური დევნა არ დაიწყოთო. ახლა, უკვე სიტუაცია შეიცვალა და ურთიერთობები უნდა დალაგდეს.

**თამარ შველიძე**

555 23 28 24

# „ნაციონალები“ მეორე ტურში პირწმინდად წააგებენ

## ნინო ბურჯანაძის ადგილი პოლიტიკაში აღარ არის, ის უნდა დაემშვიდობოს დიდ პოლიტიკას



**გვესაუბრება პოლიტოლოგი, Caucasian& Azian Citizen-ის ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში, გია კუჭავა**

**— ბატონო გია, როგორი იყო თქვენი ვარაუდი წინასაარჩევნოდ. ელოდით „ნაცმოძრაობის“ 27%-ს?**

— ჩემი ვარაუდით, „ნაცმოძრაობას“ არ უნდა აეღო 10-15%-ზე მეტი.

**— აბა, რა მოხდა, როგორ ფიქრობთ?**

— უინსტონ ჩერჩილის სიტყვებით გიპასუხებთ: „პოლიტიკოსმა უნდა იწინასწარმეტყველოს გარკვეული პოლიტიკური პროცესები, მაგრამ მერე უნდა ახსნას, რატომ შეცდა იგი“. მინდა დავიწყო იმით, რომ „ნაცმოძრაობა“ ახალმოსული იყო ხელისუფლებაში, როცა ტელედებატებში ლევან რამიშვილმა, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა, ასეთი რამ თქვა: ჩვენი მთავარი მიზანი არის საქართველოში ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებაო.



ამ არჩევნებზე „ნაცმოძრაობა“ ყველაფერს აკეთებდა და კარგადაც იცოდნენ, რომ ვერ გაიმარჯვებდნენ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს, გარკვეულწილად, „ნაცმოძრაობის“ გამარჯვებაა. ჩვენ უკვე მივიღეთ ორპარტიული პარლამენტი, რადგან „პატრიოტთა ალიანსი“ ვერ შექმნის ვერანაირ ამინდს.

ისე, კი მოველოდი, რომ ალასანია გადალახავდა ბარიერს და პარლამენტი იქნებოდა ოთხ-ხუთპარტიული.

დომინანტი იქნებოდა „ქართული ოცნება“ ისე, როგორც არის კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. დღეს ჩვენ მივიღეთ ტიპიური ანგლოსაქსონური პარლამენტი. ეს ნიშნავს, რომ ცალკეული პოლიტიკური ძალები, შეიძლება, საერთოდ ჩამოსცილდნენ პოლიტიკურ არენას.

მაგალითად, რესპუბლიკელებმა 1% აიღეს.

თუ გადავხედავთ საარჩევნო სისტემის ისტორიას საქართველოში, დავრწმუნდებით, რომ რესპუბლიკურ პარტიას ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არავითარი გავლენა და ავტორიტეტი არ აქვთ. საქმე კი იმაშია, რომ რესპუბლიკელები და ნაციონალები ერთი და იგივე იდეოლოგიის ხალხია.

რაც შეეხება მიმო ბურჯანაძეს, იმის მიუხედავად, რომ ის საკმაოდ ამბიციური ქალია და აქვს პრეტენზიები ქართულ პოლიტიკაში, თუმცა ისეთი შეცდომები აქვს დაშვებული, რაც ჰაიკლასის პოლიტიკოსს არ ეპატიება. თუნდაც 2007 წლის მოვლენებისას, როცა ბურჯანაძემ მხარი დაუჭირა სააკაშვილს. ნინო ბურჯანაძემ უკვე ყველანაირი შანსი გაუშვა ხელიდან, მისი ადგილი პოლიტიკაში აღარ არის, ის უნდა დაემშვიდობოს დიდ პოლიტიკას.

**— მაგრამ დარჩა „ნაცმოძრაობა“.**

— რაზეა საუბარი, როცა ადამიანები ვერ აზროვებენ?! ხალხმა, ვინც „ნაცმოძრაობას“ უჭერს დღეს მხარს, არ იცის, რეალურად, რა არის დემოკრატია.

**— მიხეილ სააკაშვილმა მიულოცა „ნაცმოძრაობას“ გამარჯვება. გაიმარჯვეს ნამდვილად?**

— დიახ, 26% მათთვის, ჩემი აზრით, ძალიან დიდი წარმატებაა და ისიც, რომ მათი იდეოლოგების ჩანაფიქრის ძირითადი ნაწილი – ორპარტიული პარლამენტი, ფაქტობრივად, სახეზეა.

**— „ნაცმოძრაობას“ აქვს შანსი, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობა მოიპოვოს და ქვეყნის სათავეში კვლავ მოექცეს?**

— ეჭვი მეპარება, რომ ისინი კვლავ ეღირსონ ხელისუფლებაში დაბრუნებას, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ „ნაცმოძრაობასა“ და „რუსთავი-2“-ს ყველაზე კარგად ჰქონდა, როგორც რუსები იტყვიან, **грамотно построенная кампания**, თუმცა, მათი შესაძლებლობები უკვე იწურება, აღარც თანხები ექნებათ, სააკაშვილიც აღარ გამოუგზავნის უკვე ფულს, რადგან ისე ვერ მოიგეს ეს არჩევნები, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდათ. მეორე ტურებიც იმართება რამდენიმე ოლქში, რაც ნიშნავს იმას, რომ ნაციონალები პირწმინდად წააგებენ მეორე ტურში.

25 თუნდაც 30% ნაციონალები ვეღარ შექმნიან პოლიტიკურ ამინდს პარლამენტში.

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18



# ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო!

გახსოვთ, ალბათ, ზოგი პოლიტიკური პარტია დაბეჯითებით ამბობდა, პირველზე არა, მაგრამ მეორე ადგილზე ჩვენ გავდივართო, მაგრამ იყო პარტიებიც, რომლებიც ურცხვად და უტიფრად კატეგორიულად აცხადებდნენ, პირველ ადგილზე ჩვენ გავდივართ და თუ ეს ასე არ იქნა, მაშასადამე, ხელისუფლებამ ხმები გააყალბა და ქუჩაში გამოვალთო. ამბიციურობა, ზოგადად, შეიძლება, რომ დადებით მახასიათებლად ჩაითვალოს, მაგრამ საფუძველიც ხომ უნდა ჰქონდეს? გარდა ამისა, როდესაც ერთი პირველი ადგილია და ერთი — მეორე, ყველანი მხოლოდ პირველ-მეორე ადგილს როგორ გადაინაწილებდნენ?

და აი, სახეზე გვაქვს მონაცემები, რომელმა პარტიებმა გადალახეს 5%-იანი ბარიერი და როგორი პროცენტული მაჩვენებლებით, რაც დიდი ალბათობით, ველარ და აღარ შეიცვლება.

მთლიანობაში, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 814 276-მა ამომრჩეველმა, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 51,63-მა პროცენტმა. ძალზე მარტივია გამოთვლა, რამდენი ათასი ხმა უნდა მიეღო პარტიებს რომ 5%-იანი ბარიერი გადაელახათ და რა ამაო ხმაურია, ნეტავ?

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა რა შედეგი მოგვცა:

ის, რომ კიდევ ერთხელ დაიდო ფაქტად, ჯერ კიდევ არშემდგარი ქვეყანა და საზოგადოება ვყოფილვართ! იმდენად არშემდგარი, რომ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ზოგი ერთმანეთს გაებუტა და ზოგი საკუთარ ქვეყანას, თავი არ შეიწუხეს და არ მოიხადეს მოქალაქეობრივი ვალი საარჩევნო ურნასთან...

კიდევ — დღევანდელ პოლიტისტებლიშმენტს თუ გადავხედავთ, რომ არა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, სააკაშვილი გვირაბის გათხრისა და შავი ზღვის გადმოცურვაზე კი არ მოჰყვებოდა ზღაპრებს რომელიღაც ქვეყნიდან, უკვე როთველიც ჩატარებული ექნებოდა და შამფურებზეც ვეყოლებოდით წამოცმული...

კიდევ — საქართველოს ყოველი მერვე მოქალაქე მაინც მანიაკი, სადისტი და მოწოდებით მკვლელი ყოფილა, ყოველი მეორე კი საკუთარი ქვეყნისა და მომავლის მიმართ გულგრილი, რამაც მოგვცა სურათი, რომ ყოველი მეოთხე მოქალაქე არასრულფასოვანია როგორც მოქალაქე!

კიდევ — ქართული ჯარის ის სპეცკონტინგენტი, რომელიც სამშვიდობო მისიებში მონაწილეობს და პროფესიონალი მებრძოლებითაა დაკომპლექტებული, უმალ იმ პარტიას დაუდგება გვერდზე რომელთანაც წილნაყარი იყო, ვიდრე სახელმწიფოს — ასე აჩვენა მათმა ხმებმა საარჩევნო ურნიდან... (ცესკო-ს მონაცემებით, ავღანეთის საარჩევნო უბანზე, ბაგრამზე „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო 564 ხმა, „ნაცმოძრაობამ“ — 232 „თავისუფალმა დემოკრატებმა“ — 214 „რესპუბლიკელებმა“ — 7. ავღანეთის მეორე უბანზე მაზარ-ი-შარიფზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო 65 ხმა, „ქართულმა ოცნებამ“ — 50 „თავისუფალმა დემოკრატებმა“ — 7; გვინდა თუ არ გვინდა, უნდა დავიჯეროთ, რომ ქართველი ჯარისკაცების ნაწილს განახევრებული, დაკავებული ხელფასი და მწყობრში მდგარებს მეგის ქარდავასა და ბაჩო ახალაიას მიერ დედის გინება მოენატრათ და ნოსტალგიისგან 5-იანი შემოხაზეს...)

ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო!

დიახ, უნდა გეშინოდეთ, რადგან იმ „ნაცკრიმინალურ“ სექტასთან ერთად მოგიწევთ სამართლებრივ სივრცეში ცხოვრება, რომლის წევრებსაც უახლოეს წარსულში ჩადენილი ცოდვების მონანიების ნაცვლად კვლავ სისხლისღვრაზე უჭირავთ თვალი.

კი, შესაძლოა, (და ასეც არის!) უამრავი თანამზრახველი ჰყავდეს ავაზაკს, მაგრამ როცა იცი რომ ავაზაკია, თუ სამართლებრივი ქვეყანა ჰქვია ქვეყანას, კუთვნილი ადგილი უნდა მიუჩინოს. ბოლოს და ბოლოს, ავაზაკად მაინც უნდა გამოაცხადოს ოფიციალურად და პროპაგანდისტ-აგიტატორობის უფლება ჩამოართვას, აკრძალოს როგორც ადამიანთა გაერთიანება, არათუ ქვეყნის მართვის სადავეებთან გააჭაჭანოს.




კონკრეტულ შემთხვევაში — კაცი, ოფიციალურად ძებნილი პირი, საქართველოში თუ მის გარეთ მყოფ საკუთარი პარტიის წევრებთან შეთანხმებით სხვა ქვეყნიდან აშკარად მართვდა ქვეყანა საქართველოსთვის არასასურველ პროცესებს; სახეზე იყო პირდაპირი მოწოდებები სისხლიანი მოქმედებებისკენ; ხელისუფლების დამხობისკენ; შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ — მეტი რაღა უნდა მოიმოქმედოს რომ მისი პარტია აიკრძალოს? თუმცა, რომელი პარტიის აკრძალვაზეა საუბარი, რომელიც დასამარების ნაცვლად, პირიქით, მომაკვდავი მოასულიერეს, უწამლეს და ჯანზე მოიყვანეს? სწორედ ამიტომ, ნულარავის უკვირს, როცა 8 ოქტომბრის ღამეს აღნიშნული პარტიის ორი ე.წ ლიდერი (ნიკანორ მელია და გიგა ბოკერია) რევოლუციით ემუქრებოდნენ სრულიად საქართველოს — რა უნდა საკუთარი სამშობლოსა და ხალხის წინააღმდეგ ამგვარი მისწრაფებების ადამიანებს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში?

ხალხი ბრდღვინავს და სამართლიანადაც! — ქვეყანას, სადაც 450 000 მანიაკური მიდრეკილებების მქონე ადამიანი ცხოვრობს, რა პერსპექტივა აქვს? იმ ქვეყანას, სადაც უსამართლოდ დასჯილ ასიათასობით ადამიანს (მსჯავრდებულები და მათი ოჯახის წევრები) სამართალი ვერ უპოვია... სამართალის პოვნას ვინ ჩივის, ქვეყნას ისევ ისინი უნდა წამოაჯდნენ, ვინც დააქცია იგივე ქვეყანა, სულში აფურთხა ამ ქვეყნის ხალხს...

ამ ფონზე უკვე აღარცკი ღირს იმის თქმა, რომ ტყუილად წრიპინებენ ცალკეული უსახური პარტიები, რომ იმაზე მეტი ამომრჩეველი ჰყავთ რაც დაფიქსირდა.

სიტყვას მოჰყვა და, სამარცხვინო არ იყო, როცა მთელი 4 წელი პარლამენტში იჯდა, ვთქვათ, 0%-იანი „ფორუმი“ ან 1,5%-იანი რეიტინგის მქონე „რესპუბლიკური პარტია? ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით „გულაობდა“ მთელი „სარესპეთი“ და კიდევ იქით იყვედრებოდნენ, მთავარი პოლიტიკური ძალა ჩვენ ვართო?“

სახელდახელო ზეიმი გამოაცხო პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ და სწორედ მას ეკითხებიან: „რას ზეიმობთ? რამდენიმე უბანზე რომ მკვლელი, სადისტი პარტია მოიგებს, ამას? პარლამენტში რომ ძებნილი სააკაშვილის ცოლი გეყოლებათ, იმას? ვინც მართლა თქვენთან იყო გულით და „ნაცების“ გვერდით მოუწევს ჯდომა, იმას?

„როგორც მოქალაქეს, მაინტერესებს: 4 წლის შემდეგ ისევ უნდა მიხაროდეს რომ „ნაციონალებმა“ ვერ მოიგეს და მეორე ადგილზე არიან? მაინტერესებს, საქართველოს პარლამენტი დამნაშავეების თავშესაფარია? ძებნილი ექსპრეზიდენტის ცოლი რომ მაძებარი ქვეყნის პარლამენტში უნდა იჯდეს და პრემიერს კაცობა და პროფესიონალიზმი დაუწუნოს, ეს მისაღებია ქართველი ხალხისთვის? სისტემურ დანაშაულში მხილებული რეჟიმის წარმომადგენლებმა უნდა დაამტკიცონ კანონპროექტები?“

„პირველად ცხოვრებაში — ბრძოლის სურვილი აღარ მაქვს.

პირველად ცხოვრებაში — ვიგრძენი რა არის „გაყიდული თამაში!“

მე არასდროს აღარ ვიბრძოლებ იმ ქვეყნისთვის, სადაც ჯალათს მეტ პატივს სცემენ ვიდრე პატრიოტს!“

„მაინც უნდა ვთქვა, რა... აი, სულ რომ ცოცხები გიყარონ, ციხეები გადაავსონ და საბოლოოდ კოლონიას დაგვამსგავსონ, ჩემდა თავად ხმის ამომღების...“

„ზუსტი სტატისტიკა: ყოველ მეორეს სულ ფეხებზე ჰკიდია რა იქნება ქვეყანაში (49% არმოსული ამომრჩეველი); ვისაც არ ჰკიდია, მათგან ყოველი მეოთხე მომხრეა ადამიანები აწამონ, ქონება აახიონ და კაცები ტ...ან (25% „ნაციონალური მოძრაობა“) — ესაა რეალური საქართველო!“

„კიდევ კარგად ხარ უბედურო საქართველოვ 450 000 გამომიშებული, გამოვანოებული და გამობაჩოებული შტერის ხელში... საღოლ, ბიძინას, რომ მოახერხა და ამ სადისტების ხელში აღარაა მმართველობა!“

„ოცნებავ“, მაინც გაბრალებენ, არჩევნები გააყალბეო და მიდი, დაუტოვე ნაცებს 6%, დანარჩენი კი სხვა პარტიებს გადაუნაწილე და იქნება მრავალპარტიული არჩევნები.“

„ჩემი აზრით, საბოლოოდ პარლამენტში მივიღებთ დაახლოებით ასეთ განაწილებას:

„ქართული ოცნება“ — 115 დეპუტატი;

„ნაციონალური მოძრაობა“ — 25 ნაბოზვარი;

„პატრიოტთა ალიანსი“ — 10 დეპუტატი;

საბოლოო შედეგი ასეთია: 125 დეპუტატი და 25 ნაბოზვარი!

შეძახილი: ერთი 25 ნაბოზარი კი, უნდა იყოს წესიერ პარლამენტში, რა იცი, რაში გამოგადგება...“



# გიორგი გზირიშვილი:
# საგარეჯოსთან დაკავშირებული ჩემი გეგმები უშრეტი თემაა, ყოველ ახალ დღეს ახალი ამოცანები მოაქვს...

## ინტერვიუ საგარეჯოს გამგებელთან, ბატონ გიორგი გზირიშვილთან



**— ბატონო გიორგი, უკვე მესამე წელია, საგარეჯოს გამგებელი ხართ. როცა მოდიოდით ამ პოზიციაზე, იცნობდით საგარეჯოს პრობლემებს? როგორ დაძლიეთ წინააღმდეგობები?**

— რაიონში არსებულ პრობლემებს კარგად ვიცნობდი, თუნდაც იქედან გამომდინარე, რომ თვითონ საგარეჯოელი ვარ, მაგრამ მას შემდეგ, რაც საგარეჯოს გამგებლად დავინიშნე, პრიორიტეტები, ცხადია, გამოიკვეთა. საკითხებს კონკრეტულად ჩავუღრმავდით, ჩემს გუნდთან,. ჩემს თანამებრძოლებთან, თანამშრომლებთან ერთად დავსახეთ ახალი გეგმები.

წინა ხელისუფლების დროს წყლის პრობლემა იმდენად მოუგვარებელი გახლდათ, რომ მოსახლეობა, ფაქტობრივად, უწყლოდ იყო დარჩენილი. იხარჯებოდა კოლოსალური თანხები. როცა ხელისუფლებაში მოვედით, ფაქტობრივად, ყველაფერი ჩვენი გასაკეთებელი გახდა.

მაგალითად, სოფელ უდაბნოში შეიცვალა წყლის მაგისტრალი, მოეწყო 2 ახალი სატუმბი სადგური, რაც თანამედროვე სტანდარტების უმაღლეს დონეზეა განხორციელებული. მოხდა ამ სოფლის მოსახლეობის სრული გამრიცხველიანება და დღეს შემიძლია ვთქვა, რომ, ალბათ, დაახლოებით, 30 წელიწადია, ასეთი სახის სამუშაოები სოფელ უდაბნოში არ განხორციელებულა. ამ პროექტის საერთო ღირებულებამ 4 367 000 ლარი შეადგინა, რაც, დამეთანხმებით, არცთუ ისე პატარა ციფრია რაიონის ერთი სოფლისთვის.

სოფელ უდაბნოს მიმდებარე ტერიტორიაზე საძოვრებია განლაგებული სოფლის კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურის შესაბამისად, აქ უნდა განვითარდეს ფერმერული მეურნეობა, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

სოფელ ხაშმში შეიცვალა წყლის სისტემები. სამუშაოებმა შეადგინა ნახევარი მილიონი ლარი.

ამჟამად მიმდინარეობს ქალაქ საგარეჯოს ცენტრის რეაბილიტაცია.

პროექტის ღირებულება 8 მლნ ლარი გახლავთ.

ქალაქის მოსახლეობა 24 საათის განმავლობაში მიიღებს წყალს.

სოფლებში გავარემონტეთ და, ფაქტობრივად, აღვადგინეთ საბავშვო ბაღები. ამ კუთხითაც სავალალო მდგომარეობა დაგვხვდა.

ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ საბავშვო ბაღები მუნიციპალური დაქვემდებარების გახდა და ყველა ბაღი დღეს ბიუჯეტის თანხებით არის უზრუნველყოფილი.

აღსანიშნავია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხიც. ამ კუთხით სოლიდური თანხებია დახარჯული. ამ ეტაპზე დასრულებულია სოფელ შიბლიანის გზა, რომელიც გაუვალი იყო. გზის კილომეტრნახევარი მოასფალტდა, 2 კმ და 300 მეტრის დაგება ამჟამად მიმდინარეობს სოფელ იურმუღანლოში სოფელ თულარის მიმართულებით.

კვლავ იურმუღანლოზე რომ მოგახსენოთ: დიდი სოფელია იურმუღანლო, სადაც შედის 9 პატარა სოფელი, აქ კეთილმოწყობილი გზები არასდროს ყოფილა. ამ სოფლებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 42% ცხოვრობს. ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზების კეთილმოწყობის შესაბამისად, მოსახლეობა ამ სოფელში უსაფრთხო გადაადგილებას შეძლებს.

ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობაც ინტენსიურად მიმდინარეობს.

მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია, რადგან ქალაქის ქუჩები — წერეთელი-ქურდიანის ქუჩა, დოდაშვილის, თამარ მეფის ქუჩები არასდროს ყოფილა მოასფალტებული. გზა იქნება გამძლე, ბეტონის საფარით და დაახლოებით, 30 წელიწადი არ დასჭირდება რეკონსტრუქცია. ქუჩებში იქნება თანამედროვე ტიპის გარე განათება, რომელიც ეკონომიურიცაა და გამძლეც.

რამდენიმე დღის წინ თამარ მეფის ქუჩაზე დავამონტაჟეთ გარე განათებები. ეს ქუჩა წლების განმავლობაში თითქმის სანაგვედ იყო ქცეული.

აქვე გეტყვით ჩემთვის სასიხარულო ფაქტსაც: საბავშვო ბაღებში პატარების რაოდენობამ იმატა, დემოგრაფიული ვითარება უმჯობესდება.

**— მოსახლეობასთან როგორი კომუნიკაცია გაქვთ? ხალხი ხშირად საყვედურობს ხელისუფალთ — კაბინეტებში არიან ჩაკეტილიო.**

— ოფიციალური მიღების დღე ორშაბათია, მაგრამ, რომ იტყვიან, ჩემთვის ყოველი დღე ორშაბათია. მუდმივად ვხვდები მოსახლეობას აქაც, კაბინეტშიც და ქუჩაშიც. მე არა ვარ კაბინეტში ჩაკეტილი გამგებელი.

**— რას ითხოვენ ძირითადად?**

— ძირითადად, სოციალურად გაჭირვებულები გვაკითხავენ. ჩვენი ბიუჯეტი სოციალურად გაჭირვებულებისთვის 600 000 ლარს გულისხმობს. ამ თანხის ფარგლებში ვუწევთ დახმარებას მოსახლეობას. ვეხმარებით მოქალაქეებს საოპერაციო თანხების დასაფარად, მკურნალობისთვის, მრავალშვილიან ოჯახებს, უდედმამო ბავშვებს, ონკოლოგიურ ავადმყოფებს.

**— რა კეთდება იმისთვის, რომ რაიონში სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის რაოდენობა შემცირდეს?**

სოფლის მეურნეობის სამინისტრო მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ჩვენი სოფლების გლეხობას, ფერმერებს, პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში.

საგარეჯოს რაიონში დაარსდა კოოპერატივები. მებოსტნეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა ამ პროექტის ფარგლებში წარმატებით გაიშალა.

გაიხსნა ყურძნის მიმღები ახალი ქარხანა, ჩვენს რაიონში არსებობს, ასევე, ღვინის ქარხნები, რომლებიც დაეხმარებიან მოსახლეობას ყურძნის მიღებაში.

მინდა გითხრათ, რომ საგარეჯოში და მთლიანად კახეთის რეგიონში ბოლო 4 წლის განმავლობაში სისტემატიურად მიმდინარეობს ვენახის გამრავლება-გაშენების პროცესი. ხელისუფლებამ ხელი შეუწყო მევენახეობის განვითარებას და მთლიანად რეგიონში, ჩემი ინფორმაციით, 3000 ჰა-ზე მეტი ვენახის ახალი პლანტაციები გაშენდა. იმასაც ამბობენ, კომუნისტების დროსაც კი არ იყო ამხელა მაჩვენებელი — 4 წლის განმავლობაში 3000 ჰექტარი ვენახის გაშენება რეკორდული ციფრიაო.

მიმდინარეობს საუბრები, ახალი ინიციატივები ხილის გადამამუშავებელი ქარხნების შექმნასთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, სამაცივრე მეურნეობებიც დაფუძნდება.

რაიონში დიდი ფართობები უჭირავს მზესუმზირას, ხორბალს, თესავენ შვრიასაც, სიმინდსაც.

**— სიმინდს ნესტიანი მიწა უყვარს.**

— დიახ, ამიტომაც, ამ მხრივ, ჩვენს მუნიციპალიტეტში საკმაოდ მასშტაბური ღონისძიებები განხორციელდა ირიგაციის კუთხით. დღემდე მიმდინარეობს სამუშაოები. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა მოვუხადო წარმატებული მუშაობისთვის მელიორაციის სამსახურს. ძალიან დიდი ფართობები გასარწყავიანდა, რაც პირდაპირპროპორციულია მოსავლიანობასთან და, საერთოდ, სოფლის მეურნეობის ეფექტიანობასთან.

**— მოგვიყევით თქვენს გეგმებზე.**

— ჩემს გეგმებზე საუბარი მიყვარს. ოპტიმისტი ვარ და მომავალს ყოველთვის ნათელი თვალებით ვუყურებ. სირთულეებს მიჩვეული ვარ. წინააღმდეგობის არ მეშინია. ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში გრძელვადიანი პროექტების ბოლომდე მიყვანას ვგეგმავთ.

გზებზე ხშირად ვსაუბრობ, მაგრამ ეს არის საკმაოდ ხანგრძლივი სამუშაო.

წინა ხელისუფლების დროსაც იგებოდა გზები, მაგრამ უფრო ნაკლები მასშტაბების, ნაკლებხარისხიანი და მეტი პიარის ფონზე. ჩვენ ვშრომობთ. პიარი საჭიროა, მაგრამ არა ზედმეტად. მე ვმუშაობ, არც დღეს მერიდება ქუჩაში გავლის და მომავალშიც თავისუფლად გავივლი საგარეჯოში, როცა გამგებელი აღარ ვიქნები.

მიხარია, რომ საგარეჯო მომავალ წელს მიიღებს „ჯეო-ჰოსპიტლის“ ახალი საავადმყოფოს კიდევ ორ სართულს.

მომავალ წელს წლეულს დაწყებული პროექტების ბოლომდე მიყვანას ვგეგმავთ. ქალაქს მოვაწყობთ ბაღებით და დასასვენებელი სკვერებით. გაიხსნება პირველი ლიტერატურული კაფე. კაფეს უკვე დავარქვით სახელი, ეს იქნება „წიგნის სახლი“. შენობასთან იქნება ძალიან ლამაზი სკვერიც.

ჩვენმა რაიონმა გამოავლინა ბევრი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. გვაქვს შესანიშნავი სპორტული კლუბი და ვაპირებთ, ჩვენმა სპორტსმენებმა სამბოში მსოფლიო ჩემპიონატში მიიღონ მონაწილეობა. დარწმუნებული ვარ, საგარეჯოელი სპორტსმენები მედლებით დაბრუნდებიან.

ვაპირებთ, განვავითაროთ ფეხბურთი, რაც საგარეჯოს რაიონში და, საერთოდ, კახეთის რეგიონში ნაკლებად არის განვითარებული. თუმცა უნდა ვთქვა, რომ შარშან კახეთში პირველი მინი-ფეხბურთის ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც პირველი ადგილი ავიღეთ კახეთის მასშტაბით, ხოლო საქართველოს მასშტაბით, მესამე ადგილზე გავედით. ვფიქრობ, შესანიშნავი მაჩვენებელია დასაწყისისთვის. ამიტომაც გამიჩნდა სურვილი, დავხმარებოდი საგარეჯოელ ფეხბურთელებს, დაგეგმილი გვაქვს სტადიონის მოწყობა. აი, ეს ძირითადი პროექტები გვაქვს მომავალი წლისთვის დაგეგმილი. გარდა იმ პროექტებისა, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტით იქნება გათვალისწინებული, ანუ გეგმები, ეს უშრეტი თემაა, ყოველ ახალ დღეს ახალი ამოცანები მოაქვს.



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ვინც ნეობოლშევიკ „ნაციონალებს“ ხმა მისცა, მათზე არანაკლები დამნაშავეა

უცნაური ფაქტია, რომ ბევრისთვის დღემდე გაუგებარია. რომელი იდეოლოგიით მოქმედებდა პირსისხლიანი „ნაციონალური მოძრაობა“. თუ კარგად დავუკვირდებით და გავაანალიზებთ დამნაშავე რეჟიმის განვლილ გზას, აშკარად დავინახავთ ფაშიზმთან და ბოლშევიზმთან მსგავსებას.

დავუბრუნდეთ ბოლშევიკებისა და „ნაცმოძრაობის“ მსგავსებას. თუმცა სიტყვა მსგავსება რბილი გამოთქმაა, რადგან, ფაქტობრივად, ზუსტად ისე მოქმედებდნენ, როგორც 20-იანი წლების ბოლშევიკები. შეიძლება მავანი შემოგვედაოს, ისინი ხომ თავს პროდასავლურ ძალად მიიჩნევენო. სამწუხაროდ, მხოლოდ მიიჩნევდნენ და, ფაქტობრივად კი ბოლშევიზმის (ზოგჯერ ფაშისტების) საქმეებს აგრძელებდნენ.

სახელმწიფო გადატრიალების მეშვეობით ქვეყნის სათავეში მოსულმა „ნაცმოძრაობამ“ იმთავითვე დაიწყო ქადაგება, საქართველოს ისტორია დღეს იწყებაო. თუ ისტორიას გავიხსენებთ, დავინახავთ, რომ ბოლშევიკები სათავეში გადატრიალების შედეგად მოექცნენ. ისინიც იმას ამტკიცებდნენ, ისტორია ოქტომბრიდან (ძველი სტილით) იწყებაო. მსგავსება აშკარაა, ორივე რევოლუცია (თუ გადატრიალება) ნოემბრის თვეში მოხდა. სამყაროში შემთხვევით არაფერი ხდება.

ბოლშევიკების მსგავსად, მათმა მემკვიდრე „ნაცმოძრაობამ“ ბრძოლა ისტორიას გამოუცხადა და არც ჩვენი სასიქადულო მონარქების დაკნინებას ერიდებოდნენ. დღემდე ტკივილით ვიხსენებთ დავით აღმაშენებლის ძეგლის ქალაქგარეთ უბოდიშოდ გატანას. ერთმა ვაი-მწერალმა თამარ მეფის სარეცელში შეჭვრეტაც კი გაბედა.

ძველი, გამოცდილი კადრების მასობრივ გათავისუფლებაზე საუბრით თავს არ შევაწყენთ. ასეთი ქმედებით ქვეყანაში თითქმის ქაოსი შეიქმნა, რადგან უვიცებმა ჩაიბარეს ქვეყნის მართვის სადავეები.

ბოლშევიკების მიზანი იყო ერთიანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება. ფაქტობრივად, ამ ქმედებით ერების განადგურება სურდათ,. საბედნიეროდ, მიზანი ვერ განახორციელეს, მაგრამ საბჭოეთში „მთავარ“ ენად რუსული ითვლებოდა. მაშინ ბევრი ქართველიც არ თვლიდა აუცილებლად მშობლიური ენის ცოდნას. „ნაცმოძრაობამ“, ჯალათმა სააკაშვილმა კი რუსული ინგლისურით ჩაანაცვლა.

ისტორიასთან და ეროვნულობასთან ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ განახორციელა, პასპორტიდან ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფის ამოღება უნდა განვიხილოთ. მსგავსი თვით ბოლშევიკებსაც არ გაუკეთებიათ!

მე-20 საუკუნის 40-იან წლებში ბოლშევიკებმა ძალით ჩამოასახლეს ბარში საქართველოს მთის მოსახლეობა. ამით ისინი ერთბაშად ორი საქმის გაკეთებას ცდილობდნენ — ბარში იქნებოდა ჭარბი მოსახლეობა და მეორე — მთის სოფლების დაცლით დაიკარგებოდა ისტორია, ადათ-წესები, ქართული, ეროვნული ტრადიციები. ახლა გავიხსენოთ, რა თანხის სანაცვლოდ აიძულებდნენ კახელ გლეხებს „ნაცმოძრაობის“ ლიდერები, რათა აეჩეხათ ვენახები, აღარ მოეხნათ და დაეთესათ მინდვრები. რა შედეგიც მივიღეთ, კარგად ვხედავთ. ამ გაფუჭებული საქმის გამოსწორებას არაერთი წელი სჭირდება.





კომუნისტების ერთ-ერთი მიზანი „ახალი ადამიანის“ შექმნა გახლდათ, იდეა განსაკუთრებით აქტუალური გასული საუკუნის 20-30-იან წლებში იყო. ის „ახალი ადამიანი“ მზად უნდა ყოფილიყო ნებისმიერი ადამიანის, მათ შორის ახლო ნათესავების მკვლელობისთვის, მძარცველობისთვის. მოკლედ, უნდა დაეკარგა სინდისის ქენჯნის უნარი. უნდა შეძლებოდა, თავად დაეპატიმრებინა საკუთარი ოჯახის წევრებიც. ამასთან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოევლინა მოყვასის სიყვარული.

ხალხი, რომლებიც შეასრულებდნენ ბინძურ მისიას დაესმინათ, დაებრალებინათ სიცრუე, თუნდაც ახლო ნათესავებისთვის, საუბედუროდ, ასეთები მრავლად იყვნენ. გავიხსენოთ თუნდაც პავლიკ მოროზოვი. ასეთი „ახალი ადამიანების“ წყალობით გაივსო ციხე-კოლონიები, დაიხვრიტა მილიონობით ადამიანი. ყოველივე ეს კარგად უწყის ჩვენმა მკითხველმა.

ახლა გადმოვინაცვლოთ 21-ე საუკუნეში. ხომ გახსოვთ, სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები 2003 წლიდან მოყოლებული, გამუდმებით გაიძახოდნენ: „ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი ტიპის ადამიანიო“. შედეგიც თითქმის ანალოგიური მივიღეთ. 9 წელიწადში 350 ათასზე მეტი პატიმარი, ქუჩაში პოლიციის მიერ მოკლული ასეულობით უდანაშაულო ადამიანი, წართმეული ქონება, ხელისუფლებისგან გაძარცვული ხალხი. „ნაცმოძრაობის“ რეჟიმმა ერთი არასრულწლოვანი გოგონა დააპატიმრა იმ მიზეზით, რომ მამამისი არ დაასმინა.

სამაგიეროდ, ცრუ დასმენების გამოისობით უამრავი ადამიანი უდანაშაულოდ იყო ციხეში. ვისაც გამოვლილი აქვს ჯალათი სააკაშვილის დროინდელი ციხე, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრებათ. განსაკუთრებით კი ყოფილი მე-5 საპყრობილე, სადაც ორგანიზმის გადახურების გამო 2006 წლის ივლის-აგვისტოში 12 ადამიანი დაიღუპა. ქსნის კოლონიაში 2007 წლის გაზაფხულზე ერთ კვირაში დიზინტერიამ 10-მდე ადამიანი შეიწირა.

კომუნისტებისგან განსაკუთრებულ შეტევებს ჩვენი ქართული მწერლობაც განიცდიდა. აკრიტიკებდნენ ყველას, ცოცხალსაც და მკვდარსაც. 1951 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე ასე ამბობდა: „... არა მარტო იმ დიდი სოციალური ბრძოლის ამოცანები, რომელიც საქართველოში მის დროს ბობოქრობდა, არამედ ქართველი ხალხის საერთო ეროვნული ამოცანებიც ჯეროვნად არ ყოფილა ასახული ვაჟა-ფშაველას პოეტურ შემოქმედებაშიო...“ აკრიტიკებდნენ ბარათაშვილს, ილიას... ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, თუ რამდენი პოეტი და მწერალი დახვრიტეს ან გადაასახლეს კომუნისტებმა.

ახლა გავიხსენოთ, რა უდიერად იხსენიებდნენ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ვაჟას, ილიას, გალაკტიონს თუ კონსტანტინე გამსახურდიას. თუ ბოლშევიკებმა საქართველოს ილია მოუკლეს, „ნაცმოძრაობამ“ ქუჩაში, დედაქალაქის ცენტრში გურამ შარაძე დახვრიტა!

ჩვენ შედარებას ვაკეთებთ ბოლშევიზმსა და „ნაცმოძრაობას“ შორის, მაგრამ არის საკითხები, სადაც ნაცებმა ბოლშევიკებს „აჯობეს“. თავიანთი „მოღვაწეობა“ ნაცებმა იმით დაიწყეს, რომ გააუქმეს კადეტთა სამხედრო სასწავლებელი და სამედიცინო ტექნიკუმები. ფაქტობრივად, დაანგრიეს და გაანადგურეს განათლების სისტემა, მედიცინა... შედეგად ის მივიღეთ, რომ სტუდენტმა, რომელიც დღეს-ხვალ ექიმის დიპლომი უნდა მიიღოს, წყლის ფორმულა არ იცის. ძველი საავადმყოფოები გააუქმეს და დაპირებულ 100 საავადმყოფოს ვინ ჩივის, 100 პალატაც არ გაუკეთებიათ 9-წლიანი ზეობის პერიოდში!

„ნაცმოძრაობის“ „დამსახურებაა“, რომ სიტყვებმა „სამშობლომ“, „პატრიოტიზმმა“ მნიშვნელობა დაკარგეს.

1921 წელს წითელ არმიას საქართველოში სწორედ ქართველი ბოლშევიკები შემოუძღვნენ. თითქმის იმავე პერიოდში შეიქმნა ავტონომიური წარმონაქმნები, რომლებიც ნელი მოქმედების ნაღმების ფუნქციას ასრულებდნენ. განსაკუთრებით გაუგებარი იყო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნა. 1922 წელს ცხინვალში 613 ოსი მოსახლე იყო, ქართველი 1436, ებრაელი 1651. ამის გარდა, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, „სამხრეთ ოსეთი“, როგორც გეოგრაფიული ან პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ნომენკლატურა საქართველოს ისტორიისა და კულტურისთვის უცნობი იყო და არის. თუმცა ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია ბოლშევიკი ორჯონიკიძისთვის ებოძებინა შიდა ქართლის ძირძველი ტერიტორია, როგორც ავტონომიური ოლქი.

1990 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა აღნიშნული ავტონომიური ოლქი. 1991 წელს ყაზბეგში ზვიად გამსახურდიას და ბორის ელცინის ისტორიულ შეხვედრაზე რუსეთის მხარე დათანხმდა ავტონომიის გაუქმებას.

2007 წელს კი სააკაშვილმა და მისმა პარლამენტმა არა მარტო აღადგინა ავტონომია, არამედ გააფართოვა კიდეც, მიუმატა სხვა ტერიტორიებიც. საინტერესო ის გახლავთ, რომ ყეენობა-აქციას, რომელსაც „კოკოითი ფანდარასტ“ ერქვა, ФСБ-ს თანამშრომელი, ვინმე სანაკოევი ხელმძღვანელობდა. ერთი წლის შემდეგ, სააკაშვილის ავანტურის შედეგად, საქართველოს ტერიტორიებიდან გაყვანილი რუსეთის სამხედროები უკან დაბრუნდნენ.

2008 წელს, სამდღიანი წაგებული ომის შემდეგ, შლეგი სააკშვილი აქეთ საყვედურობდა ხალხს, რა გადამაყოლეთ რამდენიმე ქვა-ღორღიანი სოფლის დაკარგვასო. მისი სიტყვებიდან კარგად ჩანს, რას ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა სააკაშვილისთვის და „ნაცმოძრაობისთვის“.

მე-20 საუკუნის ბოლშევიკმა ორჯონიკიძემ წითელი არმია შემოიყვანა საქართველოში, ხოლო თანამედროვე ბოლშევიკმა სააკაშვილმა — რუსეთის არმია. არის სხვაობა მათ შორის? ვფიქრობთ, არა.

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ბოლშევიკებმა უამრავი ეკლესია-მონასტერი დაანგრიეს. საბედნიეროდ, ვანდალიზმი შეწყდა. ბოლოს კომუნისტებმა, კერძოდ, მასხარა ხრუშჩოვის პირადი ბრანებით მოსკოვში ფერისცვალების სახელობის მონასტერი ღამით ააფეთქეს 1961 წელს (დღეს მონასტერი უკვე აღდგენილია პირვანდელი სახით). სატანისტურმა „ნაცმოძრაობამ“ კი თბილისში გლდანის ეკლესია დაარბია.

აი, ასეთი ნეობოლშევიკები ცდილობენ, კვლავ დაბრუნდნენ ქვეყნის ხელისუფლებაში. საქართველოს მოსახლეობას არ უნდა დაგვეშვა, რომ დამნაშავე რეჟიმს გადაელახა თუნდაც ის 5-პროცენტიანი ბარიერი. პირიქით, წლევანდელ არჩევნებზე უნდა დასრულებულიყო მათი ბოგინი საქართველოში. სამწუხაროდ, საქართველოში აღმოჩნდნენ 30 ვერცხლად სულგაყიდული ადამიანები, რომლებმაც საშუალება მისცეს საქართველოს პირსისხლიან მტრებს, კვლავ ისხდნენ პარლამენტში. ამიტომაც ვამბობთ, რომ „ნაცმოძრაობაზე“ არანაკლები დამნაშავეები არიან ის ადამიანები, რომლებმაც არჩევნებზე ხმები მათ მისცეს. დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლები რომ კვლავ პარლამენტში იყელყელავებენ, ვფიქრობთ, ყველა ჩვენგანის სირცხვილიც არის, რადგან საღად მოაზროვნე ადამიანი ვერ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს მოსახლეობის თუნდაც მცირე ნაწილი კვლავ მათ დაუჭერდა მხარს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# გმირების დაბრუნება

## დევნილთა და განსახლების სამინისტრო – ჩვენი ჭირისუფალი

**აფხაზეთის ომის დროს ადგილობრივების უბედურება ორივე მხარეს სრულიად უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტით და საბოლოოდ მშობლიური ადგილების დაკარგვით, შემდეგ ხელახლა ცხოვრების დაწყების სიმწარით არ დამთავრებულა. ბევრს უახლოესი ადამიანები დაუსაფლავებელი დარჩა, ბევრს დღესაც სჯერა, რომ ისინი ცოცხლები არიან. ზოგიერთებმა იქ დახოცილების აგილსამყოფელი იცოდა, სხვებმა საფლავების შესახებ შეიტყვეს და არ ისვენებდნენ, არც სხვებს ასვენებდნენ და საბოლოოდ მიზანი მიღწეულია, აფხაზეთიდან გადმოსვენებულია** აფხაზეთის ომის დროს დაღუპული იდენტიფიცირებული **აქამდე „უგზო-უკვლოდ დაკარგულად“ მიჩნეული ვაჟკაცების კიდევ რამდენიმე ცხედარი.**

**ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2010 წელს „წითელი ჯვრის“ ეგიდით შეიქმნა ორმხრივი საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც 1992-1993 წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად „უგზო-უკვლოდ დაკარგულთა“ მოძიების საკითხებს სწავლობდა. მანამდე ამ საკითხთან დაკავშირებით დევნილთა და განსახლების სამინისტროსა და აფხაზეთის დეფაქტო მთავრობის წარმომადგენლებს შორის ხანგრძლივი, რთული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, რომელიც ბოლოსდაბოლოს იმით დამთავრდა, რომ შეთანხმდნენ.**

გვიყვება გოგი ფაცაცია - **საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე, რომელიც** მინისტრის ბრძანებით ყველა შეხვედრას ესწრებოდა.

- თავიდან, როცა მოლაპარაკებები დავიწყეთ, ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილები ვიყავით, მაგრამ თანდათან აშკარად გამოჩნდა, რომ „იქითა მხარეს“ მშვენივრად იცოდნენ ჩვენი მინისტრის ბატონ სოზარ სუბარის პიროვნული თვისებების, მისი ჰუმანურობის შესახებ და ყოველ მომდევნო შეხვედრაზე „დათბობა“ იგრძნობოდა. თავის დროზე აფხაზეთში სოხუმის აეროპორტში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობისას აფხაზი მეგობრები მყავდა, რომლებმაც ჩემს ცხოვრებაზე ღრმა კვალი დატოვეს. მეტიც, თუ დღეს ცოცხალი ვარ, რამდენადმე მათი დამსახურებაცაა. ჩვენ კარგა ხანია დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ ფაქტია, რომ ერთმანეთისადმი პატივისცემა არ დაგვიკარგავს, რასაც ადასტურებს ერთი გარემოება: აფხაზეთის მხრიდან კომისიის წევრებმა, როგორც ჩანს, უფროსი თაობისგან იცოდნენ ჩემს შესახებაც.

ბატონი გოგი ამაზე არაფერს ამბობს, მაგრამ ცნობილია, რომ პირად საუბრებში აფხაზეთის დეფაქტო მთავრობის წარმომადგენლები არ მალავდნენ, რომ ამანაც რამდენადმე განსაზღვრა მოლაპარაკებების ბედი. გადაწყდა, რომ ჯერ ბაბუშერას აეროპორტში ჩამოგდებულ თვითმფრინავში დაღუპულთა „ძმათა სასაფლაო“, ხოლო შემდეგ კიდევ რამდენიმე სამარხი გაიხსნებოდა და მოლაპარაკებების დასრულებისთანავე ნეშტების ექსგუმაცია მოხდა და ცხედრები იდენტიფიცირების მიზნით ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადმოასვენეს და საქართველოში აღებული გენეტიკური პროფილები იდენტურობის (დნმ) დასადგენად ხორვატიაში ზაგრების საყოველთაოდ ცნობილი უნივერსიტეტის ლაბორატორიაში გაიგზავნა...

და ამ დღეებში მიღებული პასუხების შემდეგ წმინდა სამების ტაძარში პარაკლისის გადახდის შემდეგ ჩვიდმეტიდან 12 დიღმის სასაფლაოზე დაკრძალეს, 5 საგვარეულო სასაფლაოზე გადაასვენეს. **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთი დაღუპული ოთარ გოგოხია - სენაკში სამხედრო პატივით დაკრძალეს.**

სამგლოვიარო ცერემონიას პარლამენტარები, დევნილთა და განსახლების, თავდაცვის სამინისტროების, აღმასრულებელი ხელისუფლების და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თვითმხილველების მტკიცებით, სიცოცხლეში წარმოუდგენლად მამაცები იყვნენ ტყვიის არ ეშინოდათ და ვაჟკაცობის სიმბოლოებად დარჩნენ: **ჭიჭიკო დადვანი, რამაზ ლორთიფანიძე, ნოდარ ხარაიშვილი, ამირან რეხვიაშვილი, ფრიდონ მაისურაზე, მალხაზ მაისურაძე, თეიმურაზ გოგრიჭიანი, ოქროპირ მაცაბერიძე, ირაკლი ჩალაძე, რევაზ რეხვიაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი, ტარიელ მეტრეველი, ტარიელ აბულაძე, ოთარ გოგოხია, ალბერტ მურადოვი და კიდევ ერთი, რომლის გვარის დასახელებას შეგნებულად გვერდს უვლის ყველა, რადგან მისი დედა შვილის დაბრუნებას ჯერაც ელოდება...** ყოველი მათგანი გმირია, მათ სახელებს დავიწყება არ უწერია.

ლირა აბულაძე – **აფხაზეთიდან ჩამოსვენებული ტარიელ აბულაძის და**: ქართული ტრადიციისამებრ დავიტირეთ და ჭირისუფლებად ჩვენს გვერდით დევნილთა და განსახლების მინისტრი იდგა. მთელი საქართველოს მთავრობის და მოსახლეობის მხარდაჭერას გვგრძნობდით. ჩვენს ტკივილს ვერაფერი დააამებს, მაგრამ თანაგრძნობის ასეთი გამოხატვა დასაფასებელია. მათ ესმით ჩვენი სატკივარი, მთელი ეს დღეები ჩვენთან ერთად იყვნენ და საქართველოს „წითელი ჯვართან“ ერთად თითქმის შეუძლებელი შეძლეს. მათი უშუალო ჩარევით მოხდა, საფლავების მოძიება-დადგენა და გახსნა, ცხედრების გადმოსვენება, „დეენემის“ ანალიზებისთვის მასალების მოპოვება, გადმოსასვენებელი პროცედურების მოგვარება, სხვადასხვა ნებართვების დაშვება, კიდევ ბევრი სხვა დაბრკოლების გადალახვა, რაც იოლი არ იყო და დამოუკიდებლად ჩვენ ვერასდროს შევძლებდით და აი, ოცდაოთხი წლის გარდაცვლილი „გმირები“ „ჩამოგვიყვანეს“, რითაც ერთგვარი სულიერი სიმშვიდე მოგვანიჭეს უფროს თაობას, ვისაც ერთადერთი მოვალეობაღა შეგვჩა აფხაზეთში დაღუპულების წინაშე, მომავალ თაობებს მათი ხსოვნის დავიწყების საშუალება არ მივცეთ.

**ლორთქიფანიძე რამაზის მეუღლე ციცო ლორთიფანიძე**:

ომი რომ დაიწყო იმ დღიდან გახდნენ ჩვენი მამაკაცები მეომრები ისე, რომ მათ ხეირიანი იარაღიც კი არ ჰქონდათ. ჩვენი მოზებელი სოფლებიდან აფხაზები უახლოეს ადამიანებად მიგვაჩნდნენ. ჩემს დედამთილს დედიკოს ეძახდნენ და როდის გაგვიხდნენ მტრები, ვერ გავიგეთ. თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობა, თუ ბევრი ჩვენთაგან ცოცხლად გადავურჩით იმ ქარცეცხლს, სწორედ მათი დამსახურებაა. მათ ვერ გაგვიმეტეს ისე, როგორც ამას დაქირავებული გადამთიელები აკეთებდნენ. მე ჩემს ვაჟკაც მეუღლეს მივტირი, რომელიც ბოლო წუთამდე დარჩა კოჩარაში და სწორედ იმ დროს დახვრიტეს, როცა „მხედრიონელების“ მიერ უპატრონოდ დატოვებული იარაღის წამოღებას ცდილობდა სკოლიდან.

ლელა ხარაიშვილი – **ნოდარ ხარაიშვილის შვილი:** მამაჩემმა, უწყინარმა და მშვიდმა კაცმა, როცა გაუჭირდა და იარაღი ვერ იშოვა, სანადირო თოფს ტარი თავად გაუკეთა, ერთი ავტომატი ერთი მჭიდით ჰქონდათ სხვა მებრძოლებს და მაინც არ დაუტოვებიათ მშობლიური ადგილები. ყველა მათგანი გმირია.

**ნაირა სიჭინავას მოსიყვარულე მეუღლე და ოჯახის უფროსი - ტარიელ აბულაძე** - იქ ვარჩეში მოუკლეს, ერთადერთი ვაჟი - **კობა აბულაძე** სიცოცხლით სავსე ბიჭი, რომელსაც ასე უყვარდა საქართველო, დედას გზაში ხელიდან გამოგლიჯეს და... „უზო-უკვლოდ დაკარგული“ 24 წლის შემდეგაც დედისთვის კვლავ 17 წლისაა. ცხოვრებაში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. რატომაც არა, იქნებ, ცოცხლებს შორის არის კობა. დაე, იყოს!

იმედა დობორჯგინიძე - გუდაუთის რაიონის ახალსოფლის მკვიდრი - სინანულით ამბობს: ჩვენ „რაჭველების უბანი“ გვერქვა და გუდაუთში ვცხოვრობდით. გასული საუკუნის შუაწლებიდან ერთმანეთს შევეთვისეთ და შევიყვარეთ ჩვენ და ჩვენმა აფხაზმა მეზობლებმა. ურთიერთობები მტკიცე და ურყევი რომ გვეგონა, სწორედ ის დაინგრა ომში და დღეს ცალ-ცალკე ვგლოვობთ საერთო სატკივარს. - ემოციებს ვერ მალავს ახალგაზრდა კაცი. გადმოსვენებულების ერთი ნაწილი მისი უახლოესი ნათესავები, მეზობლები და თანამებრძოლები იყვნენ. თავად ომში ორჯერ დაჭრილს არანაკლებ საინტერესო ისტორია გადახდა თავს იქ – აფხაზეთში ომის დროს, აქ - სამშვიდობოს - ბიჭების „გადმობრძანებაში“ მისი დიდი წვლილია. იმედა დობორჯგინიძე მათი და საკუთარი გმირობის ცოცხალი მოწმეა და მადლობა ღმერთს, ასეთები კიდევ ბლომად არიან.

კომენტარი ვთხოვეთ **საქართველოს დევნილთა და განსახლების მინიტრს ბატონ სოზარ სუბარს**.

– აქამდე „უგზო-უკვლოდ დაკარგულებად“ მიჩნეულებზე მეტად საინტერესო ისტორიები იყრის თავს და ყველა მათგანი ასე იწყება: ვაჟკაცი იყო; წარმოუდგენლად უყვარდა სამშობლო; უყოყმანოდ შეწირა თავი ქვეყანას... მათი დაფასება ჩვენი ვალია. მოვა დრო და ყველა მათგანის შესახებ ბევრს გაიგებენ ადამიანები. ჩვენი სამინისტრო იმისთვის არსებობს, დევნილებისთვის თუნდაც მცირედი სიხარულის მისანიჭებლად ყველაფერი გააკეთოს. „უგზო-უკვლოდ“ გადმოსვენება იოლად მისაღწევი არ ყოფილა. დიდხანს ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს და „ყინული დაიძრა“. მიმაჩნია, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ამ საკითხებთან დაკავშირებით ნდობა აღდგენილია. მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს და მჯერა, სულ მალე არცერთ მხარეს „უგზო-უკვლოდ დაკარგული“ აღარ იქნება. სამშობლოსთვის თავგანწირული ვაჟკაცები, რომელთა მხრებზეც გადაიარა აფხაზეთის ომის სიმძიმემ, იპოვიან შესაფერის სამუდამო განსასვენებელს. ამჟამად ყველა ჩვენთაგანის სურვილი უცვლელია, მალე დავაბრუნოთ ჩვენი დევნილები მშობლიურ ადგილებში. ამ მიზნის მისაღწევად საქმიანობა გაგრძელდება და ეჭვი არ მეპარება, ისეთივე წარმატებით დაგვირგვინდება, როგორც „უგზო-უკვლოდ“ დაკარგულთა გადმობრძანება.

**ქეთევან ჩემია**
599 57 12 90





# ცრუქაქუნები



დასრულდა საპარლამენტო არჩევნები და პარლამენტის გარეთ დარჩენილ პარტიებზე ფიქრი მომეძალა...

რა რჯიდათ? რას ელოდნენ?

ბურჯანაძემ ფაქტიურად საარჩევნო მარათონი გამოტოვა - მე ხომ ნინო ვარო, ის ნინოო, აი, უამრავი წლის წინ პუტინს რომ ვესაუბრე და ამერიკელები რომ ხელს მართმევდნენო... ჰაი, ჰაი, მე რომ ოსმალეთში ვიყავიო... რაში მჭირდება მე ამომრჩევლებთან შეხდერები, წინასაარჩევნო დაპირებების გაცემა და თავის შეწუხება, ყველა მიცნობს და ყველას ვუყვარვარო...

აბა რა, ქალბატონო ნინო, აბა რა... ყველას უყვარხართ და ყველას ახსოვხართ, ისე უყვარხართ, ისე უყვარხართ, რომ პოლიტიკური ორომტრიალისათვის და პარლამენტში სიარულისათვის ვერ გაგიმეტეს...

მართალია, ხალხს ისიც ახსოვს, მიშა ვინ მოიყვანა თავის დროზე ხელისუფლებაში, ვისი დადგმული იყო ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ თუ ვარდების სპექტაკლი, ისიც ახსოვს ხალხს, ვისი პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს ამოიღეს პირადობის მოწმობიდან ეროვნების გრაფა და სხვა მრავალი, მაგრამ ეს რა მოსატანია იმ ფაქტთან, რომ პუტინთან გისაუბრიათ და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩამოგართვათ ხელი...

ამჯერად, ქართველმა ამომრჩეველმა ჩამოგართვათ ხელი დამშვიდობების ნიშნად, ქალბატონო ნინო და აბა, ვისი ხელი უფრო თბილი და ძლიერია ქართველი ამომრჩევლის თუ პუტინის? ქართველი ამომრჩევლის თუ ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის?

ვერ დაგვრჩენ პარტიები ნასიამოვნებნი, ვერა... რა ვუყოთ, ვაფრთხილებდით და ყური არ გვიგდეს... ვეუბნებოდით პატონ პაატას, არ გამოვა მაგ ბურჭალით არჩევნების მოგებათქო, მაგრამ გვისმინა, რო?

აკი, მოვალ მე პარლამენტში და ქვას ქვაზე არ დავტოვებო? აკი, ფულს თხოვდით მოკავშირე პარტიებს თქვენს სიაში მოსახვედრად, გარანტირებული ადგილების მოსაპოვებლად პარლამენტში? აკი, ოფისში 27 000-ის გადახდას გეგმავდით? ვინ მოპარაო პაატა ბურჭულაძეს იავნანაო, ვინაო? ვისი ზღაპარი დასრულდაო ცუდადო, ვისიო? ვის დაუბრუნდა ქატო -ქატოდო, ვისო? არ გამოიცრა ქატოდან თეთრი ფქვილიო?



უმადურ ამომრჩევლებს რა ვუთხარით, თორემ, ეცდიათ, მოვიდოდა ადამიანი, გაზრდიდა სოციალურად დაუცველთა რიცხვს ორჯერ და ვიქნებოდით ასე სიამტკბილობაში...

მაინც რამდენი ხმა ააგროვეთ, ბატონო პაატა? იმდენი, რამდენი თანამშრომელი გყავდათ, თუ თანამშრომელთა ოჯახის წევრებმაც მოგცეს ხმა? სად არიან ის კმაყოფილი სტუდენტები, რომელბსაც აფინანსებდით, როგორც ამბობთ, სად არიან ოჯახები, რომელბსაც ეხმარებოდით, როგორც გვიყვებოდით? არც ისე ბევრნი ყოფილან, ჰო? მარტო ბარაშვილების 6 შვილის გაწბილებული იმედის და შეურაცხყოფილი ღირსების ცოდვა გეყოფოდათ, მაგრამ, ეტყობა დანარჩენების „ლოცვამაც“ იპოვნა გზა-კვალი...

ალასანია, ცოტა არ იყოს, შემეცოდა... რა ჰქნას, რა მისი ბრალია თუ პოლიტიკოსად ვერ შედგა... პარლამენტში მაინც უნდა... რომც არ უნდოდეს, ცოლი და ცოლისდა არ მოასვენებენ...

ჰოდა, დიდსულოვნად მოხსნა კანდიდატურა არჩევნების მეორე ტურიდან... დროებით წავალ პოლიტიკიდანო, მოგვამადლა....

ცოტა ვერ გავიგე... ეს იმ ისტორიას გავს, ქორწილში დაპატიჟების გარეშე რომ მიხვიდე, უკან გამოგიშვან, კართან დადგე და მიაძახო, არ მოვდივარ, არ გკადრულობთო...

პარტიამ ხმები ვერ დააგროვა, პარტიის ლიდერს, მეორე ტური დასჭირდა... პარტიის ლიდერს!!! იმ მეორე ტურშიც, იცის, რომ ვერ გაიმარჯვებს, რადგან პირდველ ტურშიც მეორე ადგილი დაიკავა... და დროებით პოლიტიკიდან მივდივარო?... ადამიანო, კი არ მიდიხარ, გაგიშვით, გაგიშვით...

რესპუბლიკელებმა, როგორც ყოველთვის, ხმების ორი პროცენტიც ვერ ააგროვეს... სხედან და ფიქრობენ, რით ვერ დაიმსახურეს ამ უმადური ხალხის პატივისცემა? ხიდაშელი ტაქსის მძღოლებს აქებდა, უსუფაშვილს ამერიკის ჯარი ჩამოყავდა... უსუფაშვილი ინტერვიუებს გასცემდა და ხიდაშელი მერე პოსტავდა, აი, ასე თქვა დავითმა დღეს და ამ არხზე უყურეთ, დღეს რას იტყვისო... იარა ხიდაშელმა კარდაკარ, აქვეყნებდა პოსტებს ფეისბუქზე, აქ ვიყავი და ეს ბებო ვნახეო, იქ გავედი და ის ბებო ჩამეხუტაო... ამდენი ხალხი გამოვიდა და იმდენი ხალხი შემხვდაო... მართალია, ფოტოებზე სულ ხუთიოდე ადამიანი ჩანდა, მაგრამ ამოდენა პოლიტიკოს ქალს სიტყვაზეც უნდა ენდო... მე კი ვენდობოდი, მაგრამ, აბა?

ეჰ, მომთაბარეობამ იცის ქალბატონო თინა და ბატონო დავით უნდობლობა, მომთაბარეობამ... ამდენი წელია პარტია ვართო, კი იკვეხნით, მაგრამ ამდენი წელია ერთ პროცენტზე მეტ ამომრჩეველს რომ ვერ მოაგროვებთ, იქნებ საკუთარ წარსულს გადახედოთ, ჰა? ეჰ, მეძავ ქალსაც კი მეტი მუდმივი კლიენტი ჰყავს... ჰო, მეტი ერთ პროცენტზე...

რას ვიზამთ, ეგ ყოფილა თქვენი ბედი... ჰოდა, შეურიგდნენ რესპუბლიკელები ბედს და მადლობა უთხრეს ყველას, ვინც ხმა მისცა... ეს ზოგადი მადლობა რა საჭიროა, თქვენც ხომ იცით, ვინც მოგცათ ხმა, შეკრიბეთ ოჯახი და რამდენიმე ახლობლის ოჯახი და ჩამოართით ხელი და ეგ იქნება...



ისე, შვილმა გაჯობათ, შვილმა... გაუხარდაო გიგი უსუფაშვილსო, დედას და მამას წაგება, უნდოდა, რომ ოჯახს დავბრუნებოდითო... თქვენზე უკეთესი თოვლის ბაბუა ჰყოლია თქვენს შვილს... ასე ყველაფერი კარგად ასრულებოდეს... ოჯახში დაბრუნებას გილოცავ, რესპუბლიკელებო!



რაც შეეხებათ ნაცებს, ისინი ბჭობენ და თათბირობენ, შევიდნენ პარლამენტში თუ არ შევიდნენ... ისინი ბჭობენ და თათბირობენ - ხალხს კი ეცინება... ეცინება, რადგან ხალხმა იცის, როგორი ყასიდი ბჭობა აქვთ ნაცებს... რათქმაუნდა, შევლენ... რას დაელოდნონ, რო? შევლენ კი არადა, მადლობას ეუბნებიან ყველას და ყველაფერს დღეში სამჯერ, ამდენი ხმა რომ მოიპოვეს...

შევლენ აბა სად წავლენ? სხვაგან ყოფნა რომ სდომოდათ, სხვაგან იქნებოდნენ... განა ამისთვის გადაყავდათ ადამიანები ავტობუსებით შეხვედრიდან შეხვედრაზე, განა ამისთვის დაარიგეს ფული, რომ პარლამენტშიც აღარ შევიდნენ?

მართალია, მიშას დროს რომ ხვეტავდნენ ფულს, ისე ველარ მოხვეტენ, როგორც მიშას დროს ჰქონდათ ბიზნესები, ისე ველარ ექნებათ, მაგრამ არც პარლამენტარის ხელფასი, იმუნიტეტი და პენსიაა ურიგო...

დედოფალმა სანდრამ კი გადადო მეგრულად დაწერილი „შპარგალკები“ გვერდზე... არ იცის, როგორ ჩახედოს თვალებში საყვარელ მეუღლეს და რით იმართლოს თავი... კინაღამ ძალადობაზე აალებინა კაცს ხელი სამეგრელოში არჩევნების მოგების იმედად...

მიშამ ვერ გამოთხარა გვირაბი... ან იქნებ, გამოთხარა და ვერ გამოეტია... ან იქნებ, გამოთხარა, გამოეტია კიდეც და მერე უკან გაბრუნდა... ვინ იცის... ახლა, ალბათ, ერთი ჰალსტუხით ნაკლები ექნება დარჩენილი, შემოეჭმებოდა 8 ოქტომბერს და იმიტომ...

რა ამის პასუხია და, მარგველაშვილს აწიც დაპატიჟებენ ნაციონალები სადილად, ნეტავი? არ მიშიმშილოთ ეგ კაცი, არ დამღუპოთ...

**თამუნა კუშელავა**
555 46 08 04

## უკანასკნელ საათს

# არა „ნაცმოძრაობას“!

ნაციონალებმა გადაწყვეტილება
მიიღეს, რომ შევიდნენ პარლამენტში
და მონაწილეობა მიიღონ არჩევნების
მეორე ტურში. ისინი ჩვეული აგრესიით
და უტიფრობით კვლავ უპირისპირდებიან
ქართველი ხალხის არჩევანს.
ახლა მთავარი სიტყვა ქართველ ხალხსა
და უპირველეს ყოვლისა, ამომრჩეველთა
იმ 49% ეკუთვნის, რომელიც პირველ
ტურში არჩევნებზე არ მოვიდა, რამაც
გამოიწვია ჩასაძირად გამზადებული
„ნაციონალების“ კვლავ ზედაპირზე
ამოტივტივება.
ქუდზე კაცი საქართველოს
შეურაცხმყოფელი მანიაკებისა და
სადისების დასამარცხებლად!
მეორე ტურში ნაციონალების ვერც
ერთმა კანდიდატმა ვერ
უნდა გაიმარჯვოს!

არა „ნაცმოძრაობას“!

# ძლიერი რეგიონები




## ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტის განხორციელება იწყება

საქართველოს მომავლის პროექტის განხორციელება იწყება — ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ საქართველოს მთავრობასა და ანაკლიის განვითარების კონსორციუმს შორის საინვესტიციო ხელშეკრულება გაფორმდა.

ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული პროექტის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მიიღო მონაწილეობა.

საუკუნის პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის — ასე შეაფასა მთავრობის მეთაურმა ანაკლიის ნავსადგური და მის უპირატესობებზე ისაუბრა.

„სტრატეგიული მდებარეობა, მაღალი გამტარუნარიანობა, ლოგისტიკური სერვისების განვითარების შესაძლებლობა, გაფართოებისა და განვითარების პერსპექტივა და სხვა მიმართულებები შექმნის რეალურ საფუძველს, რათა საქართველომ შეასრულოს თავისი ისტორიული მისია ახალი აბრეშუმის გზის დერეფანში. ამავე დროს, ანაკლიის ღრმაწყლოვან ნავსადგურს ეძლევა სრული შესაძლებლობები, რათა იქცეს ჩვენი ქვეყნის მთავარ საზღვაო კარიბჭედ და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლოგისტიკურ ცენტრად რეგიონში. ანაკლიის პორტი მთლიანად ეწერება და მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ყველაზე მასშტაბური კომპონენტის — სივრცითი მოწყობის პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ინფრასტრუქტურული პროექტია“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ანაკლიის ნავსადგური იქნება უმსხვილესი პორტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

„ეს საქართველოს მომავლის პროექტია და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ საფუძველს ვუყრით ამ მასშტაბის სასიკეთო ცვლილებებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში“, — აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ კომპანიასთან თანამშრომლობის შედეგად, პროექტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში ერთ-ერთი სამაგალითო გახდება.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური რამდენიმე ეტაპად აშენდება; ის 9 ფაზას მოიცავს და, საბოლოოდ, მისი გამტარუნარიანობა, სავარაუდოდ, წელიწადში 100 მილიონ ტონამდე გაიზრდება.

პროექტის პირველივე ფაზაში კომპანია 586 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი საქართველოში ათასობით ახალ სამუშაო ადგილს შექმნის. გარდა ამისა, „ინვესტორი იღებს ვალდებულებას, საკუთარი ხარჯით ააშენოს და სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადმოსცეს სხვადასხვა ობიექტი, მათ შორის, ამბულატორია, საბავშვო ბაღი, ბიზნესცენტრი და სპორტული მოედნები. ეს ყველაფერი მოემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას, რეგიონს, მთელს ჩვენს ქვეყანას“.

„ანაკლიის პროექტი არის ინვესტიცია, რომელიც ემსახურება ჩვენი ხალხის კეთილდღეობას, ჩვენი ეკონომიკის შეუქცევად წინსვლას და რეგიონში საქართველოს როლის მნიშვნელოვნად გაზრდას. მჯერა, რომ ამ პროექტით ჩვენ პრინციპულად შევცვლით რეალობას“, — აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

## სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ჩოხატაურში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი იმყოფებოდა.

ჩოხატაურის ბ. პაიჭაძის სახელობის სტადიონზე მინისტრი შეხვდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, სპორტული პროფილის ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებს, ბავშვთა გუნდებს და მათ საჩუქრად სასპორტო ინვენტარი გადასცა.

## საჩხერე — საყრდენ კედელს რეაბილიტაცია უტარდება

ქ. საჩხერეში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის 56-ე კმ-ზე, დაზიანებული საყრდენი კედლის აღდგენის სამუშაო მიმდინარეობს.

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნის საფუძველზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია „მშენებელი 2012“ გახდა, რომელიც 197 500 ლარად შეასრულებს აღნიშნულ სამუშაოს.

საყრდენი კედლის აღდგენის შემდეგ აღნიშნული ტერიტორია გამწვანდება და დამონტაჟდება ხელოვნული ჩანჩქერი, ასევე მოეწყობა გარეგანათება, საფეხმავლო ბილიკები, დასასვენებელი მერხები და ურნები.

## თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა

თელავში გაიხსნა და 15 ოქტომბრამდე გასტანს მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ქება ვაზისა“. ვიდრე მსმენელის წინაშე პოლონეთის ბეთჰოვენის აკადემიის ორკესტრი წარდგებოდა, საერთაშორისო მუსიკალური მოვლენა დამსწრე საზოგადოებას საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ მიულოცეს.

ფესტივალი წელს მასშტაბური პროექტის Check in Georgia-ს ფარგლებში იმართება.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ცნობილი პიანისტის, ელისო ვირსალაძის მიერ დაარსებული ფესტივალი 2010 წელს განახლდა და მას შემდეგ, ყოველწლიურად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება. ტრადიციულად, ფესტივალი თელავში სხვადასხვა თაობის მსოფლიო რანგის არაერთ მუსიკოსს მასპინძლობს.

## დედოფლისწყაროს ახალ საავადმყოფოში პირველი ბავშვი დაიბადა

დედოფლისწყაროს ახლად გახსნილ საავადმყოფოში პირველი ბავშვი დაიბადა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მრავალპროფილიან, 25 საწოლზე გათვლილ და უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილ საავადმყოფოში, რომელიც 24 სექტემბერს გაიხსნა, ანდრია დელიბაშვილი დაიბადა, ხოლო 6 ოქტომბერს დავით მახარაძე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საპატიო დედოფლისწყაროელ გოჩა ტყეშელაშვილთან ერთად ახალდაბადებულები მოინახულა.

## გურჯაანსა და კარდენახში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია დასრულდა

გურჯაანის №4 და კარდენახის №2 საბავშვო ბაღები გაიხსნა. აღსაზრდელებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყება კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია გერგიძემ და გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვანო ბერიძიშვილმა მიულოცეს.

ქალაქ გურჯაანის №4 საბავშვო ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. პროექტის ღირებულება 256 884 ლარია.

სოფელ კარდენახის №2 საბავშვო ბაღს რეაბილიტაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ჩაუტარდა. საბავშვო ბაღი ახალ შენობაში გადავიდა. ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი, მოწესრიგდა სველი წერტილები, სამზარეულო ოთახი, ბავშვთა საძინებელი და შემოიფარგლა ეზო. პროექტის ღირებულება 101 550 ლარია.



# ძლიერი საქართველოსთვის



## წალენჯიხის №3 საბავშვო საზეიმოდ გაიხსნა

წალენჯიხაში საზეიმოდ გაიხსნა ახალი, თანამედროვე სტანდარტების დონეზე კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი. №3 საბავშვო ბაღის ადმინისტრაციამ და სკოლამდელი აღზრდის ცენტრის უფროსმა ნატო კვარაცხელიამ მადლობა გადაუხადეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას გაწეული შრომისა და იმ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისთვის, რაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გაკეთდა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევით, წელს ფუნქციონირება დაიწყო თანამედროვე სტანდარტების დონეზე კეთილმოწყობილმა სამმა საბავშვო ბაღმა. ესენია მუჟავას, ქალაქ წალენჯიხის №3 და საჩინოს ადმინისტრაციული ერთეულის ნაგურუს უბნის საბავშო ბაღები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის პროცესი მიქავასა და ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულებში. უახლოეს მომავალში ქალაქ ჯვარის ოჭანეს უბანში დაიწყება ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, ქალაქ წალენჯიხაში კი №1 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია. ამ პროექტებს ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ევროპის საინვესტიციო ბანკის პროექტით, აგრეთვე — საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდი.

## ლაგოდეხში დაზიანებული შიდა გზების რეაბილიტაცია დაიწყო

ლაგოდეხში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის შედეგად დაზიანებული გზის საფარის აღდგენა დაიწყო. კომპანია „ჯი-არ-ჯი“-ს პროექტების ხელმძღვანელის, ნიკოლოზ ყიფიანის თქმით, დაზიანებული გზის საფარი ქალაქის ყველა ქუჩაზე აღდგება. სარეაბილიტაციო სამუშაოები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კახა ჯამბურიამ დაათვალიერა.

## საგარეჯოში წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა

ქალაქ საგარეჯოში, წერეთლის ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დასრულდა. აღნიშული სამუშაოებისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან 191 499 ლარი იყო გამოყოფლი. პროექტის ფარგლებში ბეტონის საფარი დაიგო 760 მეტრი სიგრძის პრობლემატურ მონაკვეთზე და მოეწყო ცხაური. ამ ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები არასდროს განხორცილებულა, რის გამოც გადაადგილება თითქმის შეუძლებელი იყო.

## ევროსატანდარტების საბავშვო ბაღი სიღნაღის მუნიციპალიტეტში

ახალი ბაღი კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა, სიღნაღის მაჟორიტარმა დეპუტატმა გელა გელაშვილმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა საზეიმოდ გახსნეს.

ბაღის გახსნას ასევე ესწრებოდა ბოდბელი ეპისკოპოსი მეუფე იაკობი, რომელმაც დალოცა ბაღის თანამშრომლები, აღსაზრდელები და მათი მშობლები. სოფელს სიმრავლე და წინსვლა უსურვა.

## ფეხბურთის ახალი მოედანი დუშეთში

დუშეთის მუნიციპალიტეტის ძალისხმევით, ქ. დუშეთში ფეხბურთის ახალი მოედანი გაიხსნა. გაიმართა ამხანაგური თამაში მოყვარულ ფეხბურთელებს შორის. ფეხბურთის მოედნის გახსნას ესწრებოდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი, საქართველოს პარლამენტის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი, გამგებლის პირველი მოადგილე ბექა ღარიბაშვილი.

იმავე დღეს, დუშეთის საჭიდაო არენაზე გაიმართა შეჯიბრება ჭიდაობაში. გამარჯვებულებს მედლები, სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

## ახალი საწარმოები ბარისახოსა და მაღაროსკარში

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში“ — პროექტის ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს ევროკავშირი და ახორციელებს „სოფლად თემთა განვითარების სააგენტო“ (ღჩDA), ოქსფამ-საქართველოს კონსორციების მჭიდრო თანამშრომლობით, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ბარისახოსა და მაღაროსკარში ორი საწარმო გაიხსნა.

სოფ. ბარისახოში მცენარეული ჩაის გადამმუშავებელი კოოპერატიული საწარმო „არაგველების“ ძირითადი საქმიანობის სფეროა დეკის ჩაისა და სხვა მცენარეების გაშრობა-წარმოება.

„თაფლის სახლი ფშავში“ — სოფ. მაღაროსკარში გახსნილი თაფლის საწარმოს ძირითადი მიმართულება კი მეფუტკრეობა და ფშაური თაფლის წარმოებაა.

საწარმოების გახსნას ესწრებოდნენ: „სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს“ დირექტორი როსტომ გაბისონია, ოქსფამის წარმომადგენელი გიორგი დათუსანი, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილე კობა არაბული, რეგიონალური განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი შალვა გივიშვილი და სხვები.

## მესტია — ლენჯერსა და ფარში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა დაიწყო

მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერისა და ფარის ტერიტორიულ ერთეულებში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოებს სამშენებლო კომპანია შპს „თი ემ“ შეასრულებს. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 606 027 ლარი. პროექტის დაფინანსების წყაროა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი (95 პროცენტი) და ადგილობრივი ბიუჯეტი (5 პროცენტი). ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდების ვადაა 2016 წლის 30 დეკემბრამდე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 30 დეკემბრამდე.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს პირველადი სამუშაოები. ლენჯერში საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე დასრულებულია გრუნტის დამუშავება, ფარის ტერიტორიულ ერთეულში მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის ტერიტორიის მომზადება, არსებული შენობის დემონტაჟი და ნანგრევების გატანა სპეციალური ტექნიკის საშუალებით.

## ადიგენი — უპრეცედენტო პროექტი

მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაციის პროცესში არსებული ბარიერები აღარ არსებობს, ხოლო პროცედურები მაქსიმალურად გამარტივდა.

20 051 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა თავად მოიძია საჭირო საბუთები და ყოველგვარი ბარიერის გარეშე მოქალაქეს მიწა წარმატებით დაურეგისტრირა.

40 065 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა, რეფორმის შედეგად შეძენილი ახალი უფლებამოსილებების წყალობით, მოქალაქის ნაცვლად თავად დაიწყო სხვადასხვა უწყებაში შესაბამისი საბუთების მოძიება. 8 433 განცხადება ამჟამად შესწავლის პროცესშია.

საჯარო რეესტრში დღეში, საშუალოდ, 1600 განცხადება შედის.

რეფორმის ფარგლებში საჯარო რეესტრმა მოქალაქეებს ნოტარიუსთან უფასო მედიაცია თავად დაუნიშნა, რის შედეგადაც 11 კომპლექსური საქმე მორიგებით დასრულდა და მოქალაქეებმა მეზობელთან ხანგრძლივი დავის შემდეგ მიწები მარტივად დაირეგისტრირეს. 100-ზე მეტი მედიაცია სხვადასხვა ნოტარიუსთანაა დანიშნული.

როდესაც საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტით მიწის ნაკვეთის მდებარეობა, საზღვრები, მახასიათებლები და ა. შ. ვერ დგინდება ან სადავო სიტუაცია ჩნდება, საჯარო რეესტრი ფაქტების დასაზუსტებლად აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავად მიმართავს და პროცესში ამ უწყების წარმომადგენელს რთავს. მომსახურება უფასოა და პროექტის ფარგლებში ამ სერვისით უკვე 115-მა მოქალაქემ ისარგებლა.

რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა აზომვითი ნახაზის ახალი სტანდარტი და 1 სექტემბრიდან განხორციელებული ყველა ნახაზი ამ სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს.

## მარნეული — ყიზილაჯლოში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში შიდა გზების რეაბილიტაციის მეორე ეტაპი დასრულდა. პროექტის ფარგლებში 800-მეტრიანი გზის მონაკვეთზე ორფენიანი ასფალტბეტონის საფარი დაიგო.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში გზა სოფელ ყიზილაჯლოს სამ ქუჩაზეც დაიგო, ესენია: ზაქარია ფალიაშვილის, ჰაჯალი ყურბანოვის და მეგობრობის ქუჩები.

აღნიშნული პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა და მისი საერთო ღირებულება 119 224 ლარია.

სოფელ ყიზილაჯლოში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოს დასრულდა.

## ხულო — ღორჯომში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო

„პრიორიტეტული ღონისძიებების“ ფარგლებში სოფელ ღორჯომში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. უკვე დასრულებულია პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 39 139 ლარია და სამუშაოებს ტენდერით გამოვლენილი კომპანია შპს „შუქურა“ ახორციელებს. პროექტი მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს დასრულდება



# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

**(გაგრძელება. დასაწყისი, „სგ“ N15)**

ფაქტობრივად, კაცობრიობის ისტორიის დაყოფა ორ ეტაპად შეიძლება: კოლხეთიდან „ოქროს საწმისის მოტაცებამდე“ და „ოქროს საწმისის მოტაცების შემდეგ“...

მოკლედ, ბერძნებმა პროტოქართული ცივილიზაციის ნანგრევებზე ააშენეს თავიანთი კულტურა და იმავდროულად ისტორიაც საფუძვლიანად გააყალბეს!..

მედეას არც შვილები მოუკლავს. ევრიპიდემ რატომ გაავრცელა ეს ისტორიული მნიშვნელობის ჭორი, მხოლოდ ქალთმოძულეობის გამო თუ მოსყიდულიც იყო, სხვა საკითხია; ასევე, აპოლონიოს როდოსელი რატომ ცრუობდა. ფაქტი ის არის, რომ მედეას შვილიშვილი ილოსი იყო ქალაქ ილიოსის (ტროას) დამაარსებელი და ბებიისგან იცოდა სასიკვდილო შხამების დამზადება, მაგრამ უარით ისტუმრებდა ისრის წვერზე შხამის წასასმელად მისულ ისტორიულად დადასტურებულ ცნობილ მთხოვნელებს...

როგორც ერთი ისტორიკოსი ამბობს, იმ სიმდიდრისა და აღმოჩენების გატაცებისთვის, რაც ბერძნებმა გაიტაცეს კოლხეთიდან და მსოფლიომ გამოიყენა, ის თანხა, რაც მსოფლიომ უნდა გადაუხადოს საქართველოს, ალბათ, არითმეტიკისთვისაც კი მიუწვდომელია..

კატეგორიულად – არ უნდა აირიოს „არგონავტები“ იმ უმაღლესი ცივილიზაციის ბერძნებში, რომელთაც მსოფლიო იცნობს. A„არგონავტების“ დროის, „სადღაციდან“ შემოჭრილი, პრაქტიკულად, ნახევრადველური ინდოევროპული ტომების ძველბერძნული სამყარო იყო მძარცველურ-ავაზაკური და დამანგრეველი მენტალობის სივრცე. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ „ოქროს საწმისის“ მომპოვებელ არგონავტებში ავთოლიკე არის მოხსენიებული, ბერძნული ღმერთის, ჰერმესის შვილი, ჰერმესის, რომელიც ქურდებისა და ავაზაკების მფარველი იყო. თვით ბერძნული მითოლოგიით, ჰერმესმა თავის შვილს მიზნის მისაღწევად უფლება მისცა ტყუილზე დაეფიცა მისი სახელი... (იმაზე აღარ არის საუბარი, რომ მედეას ცდუნებაში ჩართული იყვნენ: ჰერა, ათენა, აფროდიტე და სულაც ეროსმა ესროლა სიყვარულის ისარი)

თუმცა, რა, აგერ, ჩვენს თვალწინ წაშალეს რუსთაველის ფრესკა თანამედროვე ბერძნებმა, ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში და იქით გვედავებოდნენ, რა პრეტენზიები გაქვთ, ჯვრის მონასტერი თქვენი არასოდეს ყოფილაო...

ჰომეროსი, პლატონი და სრულიად ბერძნული ცივილიზაცია მხოლოდ მას შემდეგ შვა ძველმა ელადამ, რაც ბერძნებმა კოლხეთიდან „ოქროს საწმისი“ მოიპარეს...

ქართველებს არ აღმოგვიჩენია რომ კაცობრიობის უძველესი ცივილიზაცია პროტოიბერიულ-პროტოქართული იყო, ამას მსოფლიო დონის მსოფლიო მკვლევარები ამტკიცებენ!

„ოქროს საწმისის“ მოპოვებას მითოლოგები და ისტორიკოსები აიგივებენ „წმინდა გრაალის“ აღმოსაჩენად დამაშვრალი კაცობრიობის ლტოლვასთან.

ამდენად, რომ არ ყოფილიყო კოლხური „ოქროს საწმისი“, იმდროინდელი „წმინდა გრაალი“, ვერ შეიქმნებოდა ძველბერძნული ცივილიზაცია!

რომ არ ყოფილიყო ძველბერძნული ცივილიზაცია, ვერ შეიქმნებოდა ძველი რომის ცივილიზაცია!

რომ არ ყოფილიყო რომაული ცივილიზაცია, ვერ შეიქმნებოდა თანამედროვე ცივილიზაცია!

სწორედ ამაშია არგონავტების მითის მთავარი საიდუმლო – თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია კოლხურ „ოქროს საწმისზე“ აღმოცენდა!...

გავიგეთ, რომ ბერძნებს მედეა მოუტაცებიათ, მაგრამ მისი მოტაცებით რეალურად რა გაიტაცეს, კოლხთა სიბრძნის წიგნი, „ეფუთი“ ხომ არ იყო, რომელიც დაკარგულად ითვლება?

დიდი ნინა მარგალური გომორძგუა მარგალეფი!

ჭეშმარიტებასთან ძალზე ახლოს მდგომი ვარაუდის დონე შეიძლება ეწოდოს იმ მდგომარეობას, რაც „ეფუთსა“ და „ანანუკთან“ დაკავშირებითაა შექმნილი, რომ ეს ერთი და იგივეა.

კოლხებს ბიბლიამდე სიბრძნის ხუთი წიგნი ჰქონდათ: „ეფუთი“ – 7 000 წლის (ათი მცნება „ეფუთში“ ეწერა); „მარგალითი“ – 7 000 წლის; „ტოშფა“ – 3 500 წლის; „ტაბუ“ – 3 500 წლის; „კვიბრი“ (იგივე „ოქროს რინა“) – 3 500 წლის. როგორც გადმოცემამ შემოინახა, ეფუთი იყო საკაცობრიო ნამოღვაწარი, მასში გადმოცემული იყო წარსული და მომავალი, როგორც მასში ეწერა, ისე სრულდებოდა ყოველივე (უცნაურად „ემთხვევა“ 4 000 წლის შემდეგ შექმნილი ბიბლია დაკარგულ „ეფუთს“...).

ვინაიდან საუბარია „ოქროს საწმისზე“, არსებობს ვარაუდი, რომ ბერძნები ოქროს მოპოვებისა და დამუშავების საიდუმლოს გასატაცებლად იყვნენ ჩამოსულები, დამწერლობა კი, რომელითაც ის იყო შესრულებული, გახლდათ ერთადერთი ნიმუში კიდევ უფრო ძველი კოლხურისა, რისი წაკითხვაც მხოლოდ მედეას შეეძლო. აქედან გამომდინარე, არის ვარაუდი, რომ მედეას რადგან რეალურად არ მოუკლავს თავისი ორი შვილი, დამალა ორი ასო, რომლის ამოკითხვის გარეშეც სრულად არ გაიხსნებოდა „საწმისი“. კვლავ ვარაუდის დონეზე – ადგილი, სადაც „ოქროს საწმისი“ ინახებოდა, მდებარეობდა იმერეთში და ეს არის ხვამლი, იდუმალებით მოცული მთა. პრომეთეს მიჯაჭვა მთაზე ერთი ერთზე მეორდება ამირანთან. პრო-მეთე – „მეთე“ ცოდნას ნიშნავს, ანუ საუბარია რაღაც საკრალურ ცოდნაზე რომელსაც ფლობდნენ პროტოქართველები.

რაც შეეხება „გრაალს“, რომელსაც კაცობრიობა უშედეგოდ ეძებს, ქართული ანბანით იშიფრება, ისევე, როგორც „იბერია“. ამის შესახებაც ვთქვათ ორიოდე, მაგრამ საგულისხმო სიტყვა.

„კოსმიური დანიშნულებით ქართველები და საქართველო გრაალის მცველები ვართ!

საქართველოს ნამდვილი ისტორიის დამალვა მეცნიერების ინტერესში არ არის, პირიქით, სწორედ ისინი ამტკიცებენ რომ მსოფლიო ცივილიზაცია ძველი კოლხეთიდან იშვა, მაგრამ... მრავალი „მაგრამ“ არის ამის საფუძველი...

იმ დადასტურებული ფაქტებისა თუ მოსაზრებათა ნაკრები, რასაც თქვენ ბეჭდავთ, აბსოლუტურად მისაღებია ყველა, ამგვარ საკითხებში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული მკითხველისთვის. მე მინდა მხოლოდ მცირედი შევმატო თქვენს მასალას.

უპირველესად, ვის და რაც უნდა, ის სარჩული დაუდოს – მსოფლიო ცივილიზაცია მართლაც ძველი კოლხეთიდან იწყება! მაიას ტომი კოლხეთიდან (საქართველოდან) არის ამერიკის კონტინენტზე გადასული! რას ნიშნავს მ-აია? – „აია“ კოდირებულია ამირანისგან... ადამის საფლავიც იქ არის, სადაც მინიშნებაა, ხაშური-ხარაგაულის მთის ქვეშ, იგივე ლიხის ქედი, სურამის ქედი, გეთსიმანიის ქედი, ამირანის ქედი. „სურამი“ კოდირებული სიტყვაა, რომლის გასაღები „ამირანია,“ უფრო ზუსტად კი „ამინ-ალი“... მსოფლიოში ადამიანების განთესვა მოხდა კოლხეთიდან (საქართველოდან). ქართული კოდირებული ენაა. სიტყვებში მარცვლები: „ალი“, „დონ“, „ამი“, „ონი“ – გასაღებს შეიცავს. ამაზე სასულიერო პირებთან



რომ ვიწყებ საუბარს, გარბიან, მაგრამ არის ორი ეპისკოპოსი, რომლებიც ყურადღებით მისმენენ. ამ შემთხვევაში ბიბლიურ დონეებზეა სასაუბრო. ყველაფერი ერთად თავს იყრის აქ, საქართველოში, სადაც ღმერთის ადგილია – ფსალმუნებში ძალიან კარგადაა მინიშნებული ყველაფერი.

ამასწინათ, ერთ-ერთ უგვანო შოუში („სხვა რაკურსი“) პროფესიით ფიზიკოსი სასულიერო პირი იყო მიწვეული და საუბარი არამიწიერ ცივილიზაციას ეხებოდა. მღვდელმა „ამო-ს“ თვითმხილველებს ერთ მომენტში „დაუტატანა“ – იქნებ ჩვენც გვინახავს რამეო?! ჰოდა, თუ უნახავთ და რაიმე ფასეულ ინფორმაციას ფლობენ, ვის უნახავენ ამ ცოდნას? ამდენ მალვა-პარვაში მთლად გააფარჩაკეს საქართველოს ნამდვილი ისტორია, მისი მისტიური არსი, მისი ნამდვილი დანიშნულება დედამიწაზე...

ახლა რასაც ვიტყვი, ძალიან ბევრისთვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნება, მაგრამ ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია წარსულის მაძიებელ და მის დამდგენ მეცნიერებებში და ცოტაოდენი ეზოთერიკისაც ესმის, ახალი და უცნაური არაფერი იქნება. მას შემდეგ, რაც მსოფლიო მასშტაბით ჯერ ძალზე ვიწრო და ერთ წრეში გაჟონა ინფორმაციამ რომ საქართველოში რაღაც „კოსმიური ზეგანძი მოიპოვებოდა“, შემდგომ კი, უკვე წრე გაფართოვდა გარკვეული ორდენების სახით, მტერი და მოყვარედ მოსული მტერი არ დაელია საქართველოს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ის, ვინც მიისწრაფვის მსოფლიო ბატონობისკენ, ამ ადგილის გარეშე ვერაფერს მიაღწევს. მათი გეგმის უმთავრესი ნაწილია, რომ ჩვენ, ქართველებს, როგორც ამ ადგილის მფლობელებს, გაგვიყალბონ ისტორია, სარწმუნოება, ეროვნება, დაგვიკარგონ გენეტიკური მეხსიერება, უპირველესად კი ენა – ეს არაა შეფარული ბრძოლა, პირდაპირ გვებრძვიან და ვაი, მას, ვინც ამას ვერ ხედავს!

**გაგრძელება იქნება**



1. მხარე სამხრეთ საქართველოში. 2. იტალიელი არქიტექტორი. 3. შდა სს. სოფ.-ქალაქი საქართველოში. 4. პორფირი, სხივი. 5. ქრისტეს ბავშვობის ქალაქი. 6. ფრანგი კომიკოსი. 7. მთა-გორის ერთ-ერთი ელემენტი. 8. ლევანის სტრიქონი. 9. მისწრაფა. 10. არომატული სასმელი. 11. სარბენი სარბიელი. 12. ფარიზი სამეფოში ... ზურგისთვის. 13. ... გორისა. 14. ჰაერის შემადგენელი ელემენტი. 15. ძველი ნიმუშის კომისარი. 16. ფრანგი ფეხბურთელი. 17. დავით კლდიაშვილის მოთხრობა. 18. წიგნის მოკლე შინაარსი. 19. სასიმღერო ფორმა (ქალაქი). 20. საზაზარო ... (ქალაქი). 21. რუსი მსახიობი ქალი. 22. ძველი სამეფო ქალაქი. 23. საბაზრო ეკონომიკა. 24. სახელმწიფო ინსტიტუტი. 25. ლიდი რაჭული. 26. ... ქართული კარტოფილი. 27. ფალავანი. 28. ზ. ფალიაშვილის კომპოზიცია. 29. მთილეული. 30. ... (მოთ.). 31. „...“ ავტორი. 32. კავკასიის მთიელთა სოფელი. 33. გაზაკათი. 34. საქართველოს ... მოჟარე. 35. ფარნავაზიანი მეფე ... ფარნაჯომ.



# კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 1. სიმფონიური ორკესტრის სოლისტი, პირველი მევიოლინე. 2. განამარხებული გიგანტური ქვეწარმავალი. 3. ალექსანდრე მაკედონელის მამა. 4. ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის, თვისებების მქონე ადამიანები. 5. მსახიობი, თავადი ალექსანდრელის როლში ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. 6. გერმანული ძველებური თოფი. 7. ძვირფას ქვაზე ჩაღრმავებულად ამოკვეთილი გამოსახულება. 12. ფეხბურთელი ზლატან ... 14. ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში. 15. მარადმწვანე დეკორატიული ხე, მომრგვალებული რბილი გირჩებით. 18. ავსტრიელი კომპოზიტორი „ვალსების მეფე“. 20. საფრანგეთის საფეხბურთო გუნდი. 21. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. 22. დრამატურგი „ერთი აგი ძაღლის“ ავტორი ... ბუაჩიძე. 23. იაპონიის ცენტრალური კუნძული. 25. მამაკაცის გაცრეცილი ფარდი. 26. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი. 28. მეგრული მეამბოხე ... მიქავა. 30. მაგარი მინერალი.

**ვერტიკალურად:** 5. რისამე არსებობის კვალი, ადრე არსებულის ნიშანი. 8. პირი, რომელიც შუამავლობს სავაჭრო გარიგებაში და ამისთვის გარკვეულ გასამრჯელოს იღ-ებს. 9. მწყემსი, რომელიც ღამის დროს ფლავს ცხენის ჯოგს და მოაქცევს გაქცევას. 10. მისტერიის ალი. 11. ფილმი ფეოლისა და ლიდ ტალოშრის მონაწილეობით. 13. იტალიის ფაშისტი დიქტატორი ... მუსოლინი. 16. ცხენის ნაირსახეობა, უშმი, ისპა. 17. ამერიკული ტანკი. 19. ვისიმე თანამდებობა სამხედრო დაცვა. 23. ნამლით დასველებული ტილოს ნაჭერი, რომელსაც იდებენ მტკივნეულ ადგილზე მკურნალობის მიზნით. 24. შენობის ნაწილი, რომელზეც შედარებით მაღალი ოთახებია. 25. ცეკვა ამერიკის კონტინენტიდან. 27. უკრაინელი მომღერალი ჩამაკაცი რუსეთის ესტრადაზე ქალის იმიჯით. 29. სულის ხუთვა. 31. 3 ნაწილიანი მუს. ნაწარმოები ერთი ორი საკრავისათვის. 32. ქვეყანა დსთ-ში.

# ლაბირინთი

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ა | ბ | ო | რ | ი | ზ | პ | რ | ა | ი | ა | ი | ტ |
| ს | დ | ნ | ე | ი | ნ | ე | ე | რ | ა | ფ | ფ | ლ | ო |
| ფ | ე | მ | ი | ნ | ე | ფ | ლ | გ | ე | ი | ბ | ს | ე |
| ა | ლ | ი | ა | ი | ვ | ხ | ი | ს | ნ | ი | ა | მ | ნ |
| ლ | ა | პ | ი | ო | ე | ძ | პ | ა | უ | ლ | ლ | ა | ი |
| ა | ტ | ა | ს | მ | დ | ა | ლ | ქ | ა | ე | ბ | ლ | ვ |
| ი | უ | ი | ა | ი | ა | ლ | ე | მ | ე | ვ | ე | ა | ა |
| ი | ე | უ | ი | ძ | ს | ფ | ი | ო | რ | ი | ო | რ | რ |
| დ | ა | რ | ა | ი | ფ | ი | ტ | ბ | ა | ნ | ა | ო | ა |
| რ | ა | პ | პ | ს | ლ | ი | ა | ა | ფ | ა | ს | დ | ნ |
| ნ | ა | ს | ი | ი | ქ | ო | რ | ი | უ | ი | ნ | ე | ი |

1. ინგლისური ლიტერატურის უძველესი ძეგლები. 2. ხურჩემლის ნაწილი. 3. ხავერდისთ კეთილშობილებიანი ფასი. 4. ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ერთობლიობა. 5. საბერძნეთის პოლიტიკური პოლიტიკა. 6. ალეგორიული მოსაზრება. 7. კელი ანუ ... 8. პალმა, რომელსაც აქვს მოკლე ტანი და გიგანტური ვარჯი. 9. მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია გარკვეულ არეში. 10. მრავალწლოვანი ფესვოვანი მცენარე. 11. მტაცებელი ფრინველი. 12. თბის საზომი ელექტროგენერატორი. 13. თავის კანი თმებიანად. 14. ალლეში ანუ... 15. ნორვეგიელი დრამატურგი. 16. ავადმყოფის ოთახი. 17. მდინარე საქართველოში. 18. სავედრო ნუგის ანოდა. 19. დიდი ხელნაკი. 20. ქალაქი იტალიაში. 21. გემების ერთობლიობა. 22. გერმანული დიზაინი. 23. ამერიკელი ჩოგბურთელი არტურ ... 24. გრძელი და ვიწრო ხორბული ნავი. 25. ჩინეთის მუსიკალური საკრავი. 26. ფრანგი მოქანდაკე. 27. ზამბარიანი ლეიბობი. 28. იაპონიაში: ზრდილობიანი მიმართვა ადამიანისადმი. 29. ქალაქ-სახელმწიფო ათენის მართველობის ხანა.

# შიფრვორდი

ა-4, ბ-17, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი-19, კ-13, ლ-1, მ-32, ნ, ო-7, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ

# მილიონერი, გამომგონებელი და მწერალი ჯონ ასტორი „ტიტანიკზე“ დაიღუპა

**მწერალმა მორგან რობერტსონმა 1898 წელს დაწერა რომანი სათაურით „ტიტანის“ დაღუპვა, ანუ ამაოება“. წიგნში ლაინერი აპრილის ერთ ღამეს შეეჯახა აისბერგს... რომანის გამოსვლიდან თოთხმეტი წლის შემდეგ კომპანია „უაიტ სტარ ლაინმა“ ააგო ლაინერი, რომელსაც „ტიტანიკი“ დაარქვა... 1912 წლის 10 აპრილს ლაინერი პირველ რეისში გავიდა. „ტიტანიკის“ ბორტზე იმყოფებოდა კიდევ ერთი წინასწარმეტყველი, მულტიმილიონერი ჯონ ასტორ მეოთხე...**



### ასტორების კლანი

ამერიკის ყველაზე ცნობილი კლანის შემქმნელი, ჯონ ჯეკობ ასტორ პირველი 1763 წელს დაიბადა. თვრამეტი წლის ასაკში ჯიბეში რამდენიმე გროშით, ფეხით წამოვიდა მშობლიურ ქალაქ ვალდორფიდან, გერმანიის ბადენის საგრაფოდან და ინგლისისკენ გაეშურა. ძველი სამყაროდან ასტორი ემიგრანტების აღთქმულ ქვეყანაში, ამერიკაში ჩავიდა. ქონება ბეწვეულის ვაჭრობით შეიძინა, რომელსაც ინდიელებისგან ყდულობდა ალიასკაზე მდებარე ფაქტორიებში. იგი ამასთანავე ოპიუმითაც ვაჭრობდა. ჯონ ასტორ პირველს ბევრი თავგადასავალი გადახდა თავს, მაგრამ საკუთარი ჭკუისა და მოხერხებულობის წყალობით შეძლო ინდიელებისა და ჩრდილოეთის მკაცრი დამპყრობლების გვერდით თავის გატანა.

1808 წელს ასტორმა ამერიკის ბეწვეულის კომპანია შექმნა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო ბეწვეულით ვაჭრობის მონოპოლისტი. ამას მოჰყვა უძრავი ქონებით სპეკულაცია, რამაც მილიონერის ისედაც მნიშვნელოვანი ქონება კიდევ უფრო გაამრავლა.

ასტორის ფულის ტომრის სიდიდეზე იმითაც შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ინგლის-ამერიკის 1812-1814 წლების ომის დროს ამერიკის მთავრობამ მას კრედიტი სთხოვა. ასტორი დათანხმდა, მაგრამ ძალიან მაღალი პროცენტი მოითხოვა და ამის წყალობით მისი ქონება აურაცხელი გახდა. საინტერესოა, რომ ასტორების ბიოგრაფიები სხვადასხვა ავტორებს შთააგონებდა, აღეწერათ ამ არაჩვეულევრივი ოჯახის წარმომადგენლების ცხოვრებისეული კოლიზიები. საფუძველი ამას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ჩაეყარა, როცა ამერიკელმა მწერალმა ვაშინგტონ ირვინგმა (1783-1859) დაწერა წიგნი სახელწოდებით „ასტორია“, რომელშიც ბეწვეულის მეფის ფხიანობისა და დაჟინებულობის გამო აღფრთოვანება გამოხატა. ჯონ ჯეკობ ასტორი პირველი ამერიკელი მულტიმილიონერი გახლდათ, რომლის სიმდიდრე დღევანდელი გაანგარიშებით 110 მლრდ დოლარს შეადგენდა.

ასტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავიანთი უზარმაზარი ქონების დიდ ნაწილს ქველმოქმედებაზე ხარჯავდნენ. ამგვარად, ნიუ-იორკის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა, საჯარო ბიბლიოთეკა ჯონ ასტორ პირველმა დააარსა, ამ გვარის მომდევნო თაობები კი ამდიდრებდნენ და აფართოებდნენ მას. ამგვარადვე გაზარდეს შთამომავლებმა ამერიკის უმდიდრესი გვარის დამაარსებლის მიერ დატოვებული ქონებაც...

### მილიონების მემკვიდრე

მილიონერების კლანის შემქმნელის შვილთაშვილი, ჯონ ასტორ მეოთხე 1864 წლის 13 ივლისს დაიბადა, მისი ბავშვობა ბედნიერი და უზრუნველი იყო — ასტორების ქონება იმ დროისთვის ასტრონომიულ ციფრს აღწევდა. ცნობილი გვარის წარმომადგენელმა 1888 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტი დაასრულა და სამოგზაუროდ გაემგზავრა. იგი სამი წლის განმავლობაში მოგზაურობდა, შემდეგ შტატებში დაბრუნდა, რათა ოჯახური კაპიტალის მართვა დაეწყო. ასტორ მეოთხე კვლავ ამრავლებდა ოჯახის კაპიტალს კანადური ბეწვეულის ექსპორტით — იგი, პრაქტიკულად, მონოპოლისტი გახდა ევროპის ბაზარზე.

მაგრამ ასტორს, მეწარმეს, მილიონერს, კაპიტალისტს, ოჯახის წევრებისგან გამორჩეული თვისებები გააჩნდა. იგი სრულებით არ ჰგავდა ბაბუას, რომელსაც ერთმა მისმა თანამედროვემ „საკუთარი გამოგონებით შექმნილი ფულის მწარმოებელი მანქანა“ უწოდა. იგი ვაჭრობით იყო დაკავებული, მაგრამ 1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომის დროს მან თავისი პირადი იახტა ამერიკის მთავრობას გადასცა, ასევე საკუთარი თანხებით მთლიანად დააფინანსა სამთო არტილერიის ერთი ბატარეა.

თავისუფალ დროს ასტორი გამომგონებლობით იყო დაკავებული. მისი მონაწილეობით შეიქმნა ისეთი სასარგებლო მექანიზმები, როგორიცაა ტურბინის ტიპის შიდაწვის ძრავა, აკუმულატორის ბატარეა, სამელიორაციო დანადგარი, მფრინავი მანქანა და საგზაო პნევმატური სატკეპნი, რომელიც გზის გაყვანის დროს გამოიყენება. გარდა ამისა, მან გამოიგონა ყველასთვის ნაცნობი და საჭირო საგანი — ველოსიპედის მუხრუჭი, პატენტი ამ გამოგონებაზე ჯონ ასტორ მეოთხის სახელზე 1898 წელს გაფორმდა. 1897 წელს ჯონ ასტორ მეოთხემ ააშენა პირველი სასტუმრო „ასტორია“, ნიუ-იორკში, რითიც საფუძველი ჩაუყარა სასტუმროთა ქსელს „ვალდორფ-ასტორიას“.

მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ მულტიმილიონერი წიგნებს წერდა! მან დაწერა ფანტასტიკური რომანი „მოგზაურობა სხვა სამყაროებში“, რომელიც 1894 წელს გამოიცა. წიგნში მოქმედება 2000 წელს ხდება. ცნობილი კლანის წარმომადგენლის თამამმა წარმოსახვამ მრავალი წლით გაუსწრო დროს და შეძლო დაენახა მაგნიტური რკინიგზა, ასევე ელექტრომობილები, რომლებიც სინამდვილეში XX საუკუნეში გამოიგონეს. წიგნში ხორციელდება გრანდიოზული პროექტი — უნდა გასწორდეს დედამიწის ღერძი, უფრო სწორად, შემცირდეს დახრის კუთხე, რაც კლიმატს მთელ პლანეტაზე გაათანაბრებს და უფრო ზომიერს გახდის. რომანში ასტორი სატურნსა და იუპიტერზე გაფრენასაც წინასწარმეტყველებდა... რომანის წინასიტყვაობაში ავტორი წერს, რომ „რელიგიის შემდეგ კაცობრიობის იმედი მეცნიერებაა“.

### ასტორები მიმალვაში

მაგრამ დედამიწაზე ცხოვრება ფანტასტიკისგან ძალიან შორს იყო. 1909 წელს ასტორმა გააოგნა ამერიკელები — მან შეწყვიტა ქორწინება ავა უილინგთან, რომელთანაც 18 წელი იცხოვრა და ჯვარი დაიწერა მადლენ ფორსზე. 18 წლის გოგონა ასტორზე 28 წლით უმცროსი და პირველი ქორწინებიდან მისი ვაჟის ხნის იყო. საზოგადოებამ ასტორის ეს ნაბიჯი გაკიცხა და ახალდაქორწინებულები იძულებულნი იყვნენ, საზღვარგარეთ სამოგზაუროდ გამგზავრებულიყვნენ. მათ ნიუ-იორკში დაბრუნება მხოლოდ მაშინ გადაწყვიტეს, როცა მადლენი ხუთი თვის ფეხმძიმე იყო. ასტორებმა შეიძინეს ბილეთები ახალ ლაინერზე, რომელიც თავისი სიმდიდრითა და სილამაზით აოცებდა ყველას...

1912 წლის აპრილში ასტორების წყვილმა პირველი კლასის ორი კაიუტა დაიკავა „ტიტანიკზე“. ეს ყველაზე ძვირადღირებული კაიუტები იყო, რომლებიც 4 000 დოლარი ღირდა (დღევანდელი ფასებით 50 000 დოლარი). ასეთ ნომრებში საკუთარი სასეირნო გემბანიც კი იყო. რადგან ხომალდზე ბევრი მდიდარი ადამიანი იყო, მათთვის ეს მოგზაურობა შეჯიბრებად გადაიქცა — საზოგადოებისთვის უნდა ეჩვენებინათ, ვის ჰქონდა ყველაზე ლამაზი ტანსაცმელი და ძვირფასი სამკაულები.

მადლენ ასტორს ეცვა ყველაზე ცნობილი ოსტატების მიერ შექმნილი სამოსი. ქმარი მზად იყო მისი ყველა სურვილი აესრულებინა. როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, ჯონი უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა. ასტორმა 800 დოლარი გადაიხადა ჟაკეტში, რომელიც მადლენს კვისთაუნში ხომალდის ყოფნისას მოეწონა.

ასტორების წყვილი ბედნიერი მომავლის მოლოდინით ბრუნდებოდა შინ...

### ძალიან ბევრი ყინული

ამბობენ, რომ, როცა აისბერგი ხომალდს შეეჯახა, ასტორმა იხუმრა: „დიახ, მე ყინული შევუკვეთე, მაგრამ ეს მეტისმეტია“... თავიდან ყველა მგზავრი და, მათ შორის, მულტიმილიონერიც, დარწმუნებული იყო, რომ არაფერი საშიში არ მოხდა. ასტორები თავიანთ კაიუტაში რჩებოდნენ, მაგრამ მალე პირველი კლასის ყველა მგზავრი სასეირნო გემბანზე მიიწვიეს. დიდი ხნის განმავლობაში ჯონ ასტორს სჯეროდა, რომ გადარჩენა მხოლოდ გემზე შეიძლებოდა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ გადარჩენის ერთადერთი გზა სამაშ-



# კუზიანს სამარე კი არა, მანონი ასწორებს, გორელჩანიკი!

**კუზიანს სამარე ასწორებსო, ხომ გაგიგონიათ? ამ ანდაზით ხაზგასმულადაა ნათქვამი, რომ კუზის გასწორება, კუზიანის მორჩენა შეუძლებელია. მაგრამ ეს ცნობილი ანდაზა მალე შეიძლება გაუფასურდეს, რადგან თბილისში ცხოვრობს და მოღვაწეობს ქალბატონი მანონი მელიქიძე-გორელჩანიკი, რომელიც წარმატებით მკურნალობს მრავალ დაავადებას.**

ქალბატონი მანონი ბიოენერგოკორექტორი, ბიომასაჟისტი გახლავთ. ის ცნობილი კასიანის (ქ. პოლტავა) მოწაფე იყო წლების განმავლობაში და ამ დარგში დიდი მიღწევებიც ჰქონდა. მას აქვს განსაკუთრებული თვისებების მქონე ზემძლავრი ბიოენერგია. სწორედ ამ ბიოენერგიის წყალობით ახდენს ზეგავლენას დეფორმირებული ხერხემლის ძვლებზე, თითქოს არბილებს მათ, ხდის ელასტიურს, დამყოლს, შემდეგ კი მის მიერვე შემუშავებული სპეციალური ვარჯიშების კომპლექსით იწყებს კუზის „გაწოვის" სამუშაოს. შედეგი ზოგჯერ ერთ კვირაშიც თვალსაჩინოა, ზოგჯერ „კუზის" დაძვრას მეტი ხანი სჭირდება, საბოლოო განკურნებას — 3-4 თვე. ბევრი რამ არის დამოკიდებული პაციენტის მონდომებაზე, შეუპოვრობაზე — დღეში 5-6-საათიანი ვარჯიში არც ისე ადვილი საქმეა და ამ რიტმს ყველა ვერ უძლებს.

— ჩემი ცოდნა ნაწილობრივ მემკვიდრეობითია. გენეტიკური კოდი მკურნალისა პაპაჩემიდან მომყვება, რომელიც განთქმული „კოსტოპრავი" იყო. ერთხელ ავტოავარიაში მოვყევი, ავარიის შემდეგ სხვა ძალების, სხვა ენერგიის მოჭარბება ვიგრძენი. ადრე სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი, ახლა ჩემი სამედიცინო ინტერესები გაიზარდა და სხვა, ახალ სფეროებს გადაწვდა. ძირითადად ის სფეროები მიზიდავს, რასაც ტრადიციული მედიცინა ჯერჯერობით ვერ ერევა და გვერდს უვლის. ასე, მაგალითად, წარმატებით ვმკურნალობ შეძენილ ეპილეფსიას, თუკი იგი გართულებული არ არის სხვადასხვა სინდრომით, დაუნიზმს, ტერნერის სინდრომს, ვარჩენ მენიერის დაავადებას ნებისმიერ სტადიაში (თავბრუსხვევა, უწონადობის შეგრძნება), მაგრამ ჩემი ძირითადი საქმიანობა მაინც ხერხემალი და მისი დაზიანებით გამოწვეული სხვადასხვა დაავადებების მკურნალობაა. ჩემს მიერ განკურნებულთაგან მხოლოდ ორს დავასახელებ:

ეკა ნ-ძე — ჰქონდა მეოთხე სტადიის სქოლიოზი უმძიმესი ფორმებით — ბეჭის ძვლის ამობრუნება-გამრუდება, თითქმის 20 სმ სიმაღლის კუზი. მკურნალობდა სამი კვირის განმავლობაში. კუზი მთლიანად გაუქრა, მოეხსნა დაავადების ყველა სხვა ნიშანი. დღეს ეკა ფოტომოდელია.

მარიამ დ. — 46 წლის, სამკურნალოდ შემოსვლისას აღენიშნებოდა მეოთხე ხარისხის სქოლიოზი, ძვლების დეგენერაცია, მარცხენა მხარის საგრძნობი შევარდნა, ჰიპერთროპია, მარჯვენა მხარეს — კისრისებური გვერდი, აღენიშნებოდა სხეულის დაპატარავება. მკურნალობის პირველი კურსის გავლის შემდეგ მარჯვენა გვერდის დეფორმაცია გაქრა, მარცხენა მხარემ საგრძნობლად ამოიწია, კუნთმა მიიღო საწყისი ფორმა. ამჟამად გადის მკურნალობის მეორე კურსს.



რა შეიძლება იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ დაუბრუნო ადამიანებს სილამაზე, ჯანმრთელობა, საკუთარი თავის რწმენა, სიცოცხლის ხალისი და სურვილი?

არასოდეს დამავიწყდება ქალბატონი მანონის მიერ განკურნებული 18 წლის გოგონას ბედნიერებით სავსე თვალები. მისთვის გათხოვების, ოჯახის შექმნის, დედობის პერსპექტივა არ არსებობდა.

დღეს ეს ტანკენარი, მოხდენილი გოგონაა, ჰყავს საქმრო და ოჯახის შექმნისთვის ემზადება...

ქალბატონი მანონი არამარტო ბრწყინვალე მკურნალი, არამედ მრავალმხრივ ნიჭიერი პიროვნებაცაა — წერს შესანიშნავ მუსიკას, ამ მუსიკისთვის თავად თხზავს ლექსებს, მშვენივრად უკრავს და მღერის, ხოლო თუ გუნებაზეა და ძალიან თუ სთხოვთ, თქვენს წარსულს, აწმყოსა და მომავალს თვალწინ დაგიყენებთ. ასე რომ მიმართეთ ქალბატონ მანონის ტელეფონზე: 568 81 40 23.

**ირინა დარჩია** ®

---

ველო ნავი იყო. იგი დაეხმარა მეუღლეს, მოსამსახურეს და მომვლელს ნავში ჩასხდომაში, ჰკითხა კაპიტნის თანაშემწეს, შეიძლებოდა თუ არა, რომ ისიც ქალბატონებთან ერთად ჩამჯდარიყო ნავში მისის ასტორის მდგომარეობის გამო. მას უპასუხეს, რომ ვიდრე ყველა ქალი და ბავშვი ნავებში არ ჩასხდებოდნენ, მამაკაცები გემზე უნდა დარჩენილიყვნენ. ჯონი მეუღლეს დაემშვიდობა და მამაკაცებთან დარჩა.

„ტიტანიკის" დაღუპვიდან ერთი კვირის შემდეგ იპოვეს ჯონ ასტორის გვამი.

მადლენი ცოცხალი გადარჩა. 1912 წლის აგვისტოში მას ვაჟი შეეძინა, რომელსაც ჯონ ასტორ მეხუთე დაარქვეს. არასოდეს არავისთვის უამბია მისის ასტორს „ტიტანიკის" დაღუპვის ღამეს მომხდარი მოვლენებისა და მეუღლესთან დამშვიდობების შესახებ...

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22



---

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**— სად და რა წესით ხდება განქორწინების რეგისტრაცია?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1137- ე მუხლის მიხედვით, განქორწინების რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე კოდექსის1138-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციას ახდენს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ამის შესახებ აცნობებს მეორე მეუღლეს, თუ ცნობილია მისი და სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მისამართი, რომელმაც მოახდინა ქორწინების რეგისტრაცია.

* * *

— ვის მიმართ გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი?

— არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას. ეს კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ეს პირი ბრალდებულია / თუ იგი გადახდისუუნაროა/ ამ კოდექსის 38-ე– 48-ე მუხლებით დადგენილი ნორმები / განრიდების საკითხი/ ვრცელდება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

* * *

— როდიდან გაქარწყლდება არასრულწლოვნის ნასამართლობა?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

— მუხლი 12. არასრულწლოვნის ნასამართლობა

1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

---

38 წლის **ლევან გეგიძე**, რომელსაც ავტოკატასტროფის შედეგად უამრავი დაზიანება აქვს მიღებული და უკვე მეორე თვეა კომაშია, სასწრაფოდ საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას, რისი საშუალებაც ოჯახს არ გააჩნია.

**ლევან გეგიძის საბანკო რეკვიზიტებია:**
თიბისი ბანკი, ანგ # **GE72TB7805445 165 100 009.**
მადლობას გიხდით გულისხმიერებისთვის.

**ლ. გეგიძის ოჯახი**

# ჩვენ ვართ მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო თეატრი სომხეთს გარეთ, მადლობა ამისთვის საქართველოს!



კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დარამატულ თეატრში პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლის „საბრალდებო დასკვნა“ პრემიერა გაიმართა.

საქართველოში სომხური თეატრის 160 წლისთავის აღსანიშნავად, თეატრის დასმა სპექტაკლი ქართულ ენაზე დადგა.

შეიძლება ითქვას, ეს იყო თეატრალური ხელოვნების ბრწყინვალე ზეიმი და კიდევ ერთი დადასტურება ქართული ეროვნული სულისკვეთების სიდიადის. ჩვენი მეზობელი ერის წარმომადგენლების სრული კულტურული ინტეგრაციის კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია, რაშიც არა მხოლოდ ქართული მენტალობა, არამედ თვით სომეხი ერის კულტურული ნაწილის სწრაფვა გამომჟღავნდა იმ ესთეტიკურ სამყაროსთან, რასაც ზოგადქართული ცნობიერება ჰქვია.

სპექტაკლს ქართველი და სომეხი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს კულტურის მინისტრიც დაესწრო, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა გონივრულად უყურებს იმ საკითხს, რომ ორ ერს შორის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა კეთილმეზობლური პოლიტიკური სტაბილურობის ურყევი გარანტიაა.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: **სოსო ლალიძე, დავით ბარსეღიანი, ნარეკ ბაიანდურიანი, სერგო საფარიანი, არამ მიქაელიანი, არტურ გასპარიანი, ედუარდ მურადიანი, ერნესტ არუთინიანი, არენ მკრტიჩიანი, გენრიხ პეტროსიანი, ნანო პოლოსიანი, ლიანა ოგანეზოვა, არტურ გრიგორიანი.**

**გივი შაჰნაზარი, მწერალი**: იდეა, რომ ქართულ ენაზე ეთამაშა სომხური თეატრის დასს სპექტაკლი, დიდი ხნის წინანდელი ჩანაფიქრია. ჯერ კიდევ იქედან მოდის ეს იდეა, როცა მე ვიყავი ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. მინდოდა, დიდი ვასო გოძიაშვილი მოგვეწვია და დაგვედგა „ვოდევილები“. თუმცა ეს მაშინ ვერ მოხერხდა, ვერ მოვასწარი. ეს ხინჯად დამრჩა, მაგრამ, აი, არმენ ბაინდურიანმა მოახერხა ეს. ფრიად მოხარული დავრჩი, აი, თქვენ ნახეთ, ბრწყინვალედ ფლობენ ქართულ ენას. ეს ასეც უნდა იყოს.

ნოდარ დუმბაძე სულ რამდენიმე წლით იყო ჩემზე უფროსი, ვმეგობრობდით. ჩემი მეგობრობა ჩვენს ძვირფას თანამოქალაქეებთან დღემდე გრძელდება და ეს სპექტაკლიც ბრწყინვალე მაგალითი იყო იმის, რომ ჩვენ ერთმანეთს შორის გვაქვს სიყვარული. თბილისის სომხობა საქართველოს ნაწილია.

**არმენ ბაინდურიანი, თეატრის მთავარი რეჟისორი:** ძალიან მინდოდა, რომ ქართველი მწერლის თუნდაც ერთი სპექტაკლი მაინც გვეთამაშა ქართულ ენაზე და აი, დადგა დრო. ეს გახლავთ ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“. შესანიშნავი ნაწარმოებია. ამიტომაც ავარჩიეთ. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს არ იქნება უკანასკნელი.



თბილისში გამართულ პრემიერამდე ოზურგეთშიც ვითამაშეთ ეს სპექტაკლი რეგიონული თეატრების ფესტივალზე.

უახლოეს ხანებში სუნდუკიანის „პეპოს“ შევთავაზებთ ჩვენს მაყურებელს ასევე ქართულ ენაზე.

ყოველივე ამისთვის ბიძგი მოგვცა საქართველოს ხელისუფლებისა და კულტურის სამინისრის მხარდაჭერამ. მალე თბილისის სომხურ თეატრში კაპიტალური რემონტი დაიწყება.

**ილონა თარხანოვი, თეატრის მენეჯერი:** რა თქმა უნდა, თეატრი აგრძელებს ფუნქციონირებას, მუშაობს, თუმცა წლებია, ჩვენი თეატრის შენობა ავარიულ მდგომარეობში იყო. მადლობა ღმერთს, რომ გვეღირსა ყურადღება, მალე დაიწყება თეატრის სრული რეკონსტრუქცია.

ჩვენ ვართ მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო თეატრი სომხეთს გარეთ. მადლობა ამისთვის საქართველოს.

**ნარეკ ბაინდურიანი, ტიგრან გულოიანის როლის შემსრულებელი:** სოლოლაკში გავიზარდე, ეს მენტალიტეტი, ურთიერთობები, ჩემთვის უცხო არ ყოფილა. ქართული ენა. შეიძლება ითქვას, სომხურ ენაზე უკეთესად ვიცი (იცინის).

ძალიან ვნერვიულობდით, ქართველ მაყურებელთან პირველად უნდა წარვმსდგარიყავით ქართულ ენაზე დადგმული სპექტაკლით. მგონი, გამოგვივიდა.

**დავით ბარსაგიანი, ლიმონა დევდარიანის როლის შემსრულებელი**: ძალიან რთული როლი იყო, თუნდაც იქედან გამომდინარე, რომ უდიდეს მსახიობებს აქვთ ეს როლი შესრულებული. ენის ბარიერიც არ მქონია. თბილისში ვარ დაბადებული, აქ გაზრდილი და ჩვენმა თაობამ შესანიშნავად იცის ქართული ენა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18





საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური, კომფორტული მომსახურება 24 საათის განმავლობაში

ISSN 2233-3983
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com